საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

23 ივნისი **ხუთშაბათი** 2011

№ 145 (13 442) ფასი 80 თეთრი

# ქართველებს ჩაეთვალათ: მედლები დაეთვალათ!




10

ჩემპიონი დავით მარსაგიშვილი (მარცხნივ)



# ზუგდიდი–მადრიდი ატლეტიკომ გურამ სამუშია დაინახა

3

# 45 000 000

# ნეიმარი გალაქტიკაში




9



# ქუთაისი–პარიზი სტად ფრანსემ ზურაბ ჟვანია მიიწვია

13

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქართული ფეხბურთი

საყრილობო სამზადისი

# აზრი ერთია: კარგია მეტი ხმოსანი აზრია

## ძველი შეცდომების გასწორება: გუნდები სტატუსს იბრუნებენ

25 ივნისს ფეხბურთის ფედერაციის XX ყრილობა გაიმართება. ფედერაციის პრესსამსახურის ცნობით, ყრილობას 32 ხმოსანი დელეგატი დაესწრება:

1. ალექსანდრე რევაზიშვილი (**შიდა ქართლის რეგიონული ფედერაცია**)
2. გიორგი კიკაჩეიშვილი (იმერეთის რეგიონული ფედერაცია)
3. ზვიად ერქვანია (**სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონული ფედერაცია**)
4. ხარიტონ ჩხატარაშვილი (**გურიის რეგიონული ფედერაცია**)
5. სერგო კუტივაძე (**ფეხბურთის მუშაკთა პროფკავშირი**)
6. გიორგი პაპიაშვილი (**"ტორპედო" ქუთაისი**)
7. გიორგი ცინცაძე (**კახეთის რეგიონული ფედერაცია**)
8. გრიგოლ ყაჩლავაშვილი (**მცხეთა-მთიანეთის რეგიონული ფედერაცია**)
9. ერმილე ჩიტალაძე (**რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონული ფედერაცია**)
10. ჯუმბერ ისაკაძე (**სამცხე-ჯავახეთის რეგიონული ფედერაცია**)
11. დიმიტრი ჭანტურია (**აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფეხბურთის ფედერაცია**)
12. ვაჟა ჟვანია (**ვეტერან ფეხბურთელთა კავშირი**)
13. ნინო სორდია (**ქალთა ფეხბურთის ასოციაცია**)
14. ლევან ძორიძე (**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფეხბურთის ფედერაცია**)
15. ავთანდილ თადუმაძე (**"სამტრედია"**)
16. ვარლამ კილასონია (**ქვემო ქართლის რეგიონული ფედერაცია**)
17. რუსლან ბაქრაძე (**ინვალიდ-ამპუტანტ ფეხბურთელთა ლიგა**)
18. გიორგი ნემსაძე (**„დინამო" თბილისი**)
19. რევაზ პერტაია (**„მგლები", ზუგდიდი**)
20. შოთა შერმადინი (**„ოლიმპი", რუსთავი**)
21. მურთაზ შელია (**„სპარტაკი", ცხინვალი**)
22. გიორგი დარჯანია (**ფუტსალის ასოციაცია**)
23. ლევან ბაჯელიძე (**„სიონი", ბოლნისი**)
24. ავთანდილ შალამბერიძე (**მსაჯთა და დამკვირვებელთა კავშირი**)
25. ოთარ გზირიშვილი (**„ზესტაფონი"**)
26. გიორგი აღდგომელაძე (**სამხრეთ ოსეთის ფეხბურთის რეგიონული ფედერაცია**)
27. გოჩა თამაზაშვილი (**თბილისის ფეხბურთის ფედერაცია**)
28. დავით ქანთარია (**„ბიჩ-სოკერის" ასოციაცია**)
29. მალხაზ კაკაურიძე (**„ვიტ ჯორჯია"**)
30. გიორგი ჯანჯღავა (**„კოლხეთი", ფოთი**)
31. დავით ფრანგიშვილი (**ეზოს ფეხბურთის ასოციაცია**)
32. აკაკი ბირბიჩაძე (**საფეხბურთო სკოლების ასოციაცია**).

ყრილობაზე ერთ მნიშვნელოვან საკითხსაც განიხილავენ - "სფფ-ის წევრის სტატუსის შეჩერება". ვის შეუჩერდება და რა მოტივით ფედერაციის წევრის სტატუსი? ამ კითხვით ფედერაციის გენერალური სამდივნოს ხელმძღვანელს, **რევაზ შენგელიას** მივმართეთ.

*"ფედერაციის სტატუსი შეუჩერდება პროფესიული ფეხბურთის ლიგას, რაც მის ამჟამინდელ უმოქმედობას არ უკავშირდება. ფიფას დებულებით, ფედერაციის წევრები არ შეიძლება ერთად იყვნენ პროფლიგა და უმაღლესი ლიგის კლუბები – ასეთი იყო უეფასა და ფიფას მოთხოვნა. ასე რომ, ეს ცვლილება აუცილებელი იყო. სხვაგვარად, ფედერაციის წევრობა უმაღლესი ლიგის კლუბებისთვის უნდა შეგვეჩერებინა"* – გვითხრა შენგელიამ.

*"თუ ყრილობის დელეგატები ახალ წესდებას დაამტკიცებენ, ფედერაციის წევრები გახდებიან პირველი და რეგიონული ლიგების ის კლუბები, რომლებსაც ამის სურვილი ექნებათ და წევრობისთვის საჭირო პროცედურას გაივლიან. ეს იმასაც ნიშნავს, რომ სავსებით შესაძლებელია მომავალ ყრილობაზე დელეგატების რაოდენობის გაზრდა. ცხადია, ისეთ კლუბებს არ ვგულისხმობ, რომლებიც ერთ სეზონში იშლებიან"* – გვითხრა შენგელიამ.

ფიფას დებულებით, ეროვნული ფედერაციის ეგიდით მოთამაშე ნებისმიერი კლუბი მის სუბიექტად ითვლება. სწორედ ამ პრინციპზეა აგებული ფიფას არჩევნები: კონგრესზე ხმის უფლება აჩნია ყველა ეროვნულ ასოციაციას. ეს მოდელი იმასაც ნიშნავს, რომ არჩევნებში ხმოსანი დელეგატი უნდა ჰყავდეთ უმაღლესი, პირველი და რეგიონული ლიგების კლუბებს – არადა, ამ უფლებით ახლა მხოლოდ უმაღლესლიგელები სარგებლობენ.

ფოტო: www.gff.ge



ქართულ ფეხბურთს ყრილობამდეც და ყრილობაზეც საფიქრალი არ ელევა ფოტო: www.gff.ge

ყრილობაზე ფედერაციის წესდებაში სხვა მნიშვნელოვანი ცვლილებებიც იგეგმება: სფფ-ში შემუშავებული ახალი წესდების პროექტის მიხედვით, გაიზრდება ფედერაციის საარჩევნო ყრილობის დელეგატების რაოდენობა.

რამდენიმე წლის წინ, პირველი და რეგიონული ლიგების კლუბებს ფედერაციის წევრის სტატუსი ჩამოართვეს, რაც, ფიფას დებულებიდან გამომდინარე, ნონსენსი იყო. ამით ხელოვნურად შეამცირეს ყრილობის დელეგატთა და იმ სუბიექტების რაოდენობა, რომელთაც ფედერაციის პრეზიდენტობის კანდიდატის წარდგენა შეეძლოთ. ნაკლები დელეგატი მეტ კონტროლს და, ფაქტობრივად, არასასურველი კანდიდატების საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის დაბლოკვას ნიშნავდა.

საქართველოში არსებული საარჩევნო დებულება ფიფას არჩევნებს რომ მოვარგოთ, კონგრესზე ხმის უფლება მხოლოდ მსოფლიოს ჩემპიონატზე გასულ ქვეყნებს დარჩებოდათ.

წლებია, საფეხბურთო სამყაროს ერთი ნაწილი სამართლიან საარჩევნო წესდებას ითხოვდა, მაგალითად, "ჩვენი ფეხბურთის" დამფუძნებლები. ქართული ფეხბურთი არ არის მხოლოდ უმაღლესი ლიგის გუნდებისა და საფეხბურთო მოხელეებისა, ყრილობაზე დაბალი ლიგების კლუბების გაჭირვება და ტკივილიც უნდა მოისმინონ.

ყრილობა დაამტკიცებს აღმასრულებელი კომიტეტის ახალ შემადგენლობასაც. წარდგენილი 20 კანდიდატიდან აღმასკომში მხოლოდ 18 მოხვდება.

**მერაბ მამულაშვილი**

შეჯამება



# ეჰ, კეთილო ბატონო უილსონ...

## რა მშვენიერია თქვენი აზრები და რა სხვა არის ჩვენი ცხოვრება

გუშინ გაცნობეთ, რომ თბილისში ვიზიტად მყოფი ფიფას განვითარების პროგრამების ევროპის მიმართულების მენეჯერი **ევა პასკიე** და ჩრდილოეთ ირლანდიის საფეხბურთო ასოციაციის მარკეტინგისა და კომუნიკაციების განყოფილების ხელმძღვანელი, ფიფას ექსპერტი **ჯეოფ უილსონი** საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში უმაღლესი ლიგის კლუბების წარმომადგენლებს შეხვდნენ.

დეტალების შესახებ "ვიტ ჯორჯიას" სპორტული დირექტორისა და მედიაოფიცრის, **დავით თავართქილაძისგან** შევიტყვეთ.

შეხვედრას ჯეოფ უილსონი უძღვებოდა, რომელმაც ქართული კლუბების ყოველდღიური ცხოვრებითა და განვითარების პროგრამით დიდი დაინტერესება გამოთქვა. მან ქართველებს საკლუბო საქმიანობაში გამოსადეგი არაერთი იდეა გაუზიარა, თუმცა, თავართქილაძის აზრით, ქართული საფეხბურთო რეალობა მათი განხორციელების საშუალებას ნაკლებად იძლევა.

*"კომპეტენტური ევროპელი სპეციალისტის აზრის მოსმენა ყოველთვის საინტერესოა, მაგრამ, სამწუხაროდ, საქართველოში არ გვაქვს იმის პირობები, რომ თანამედროვე საფეხბურთო გზით განვვითარდეთ. ბატონი უილსონი დაინტერესდა, როგორ აპირებენ ქართული კლუბები დამატებითი სპონსორების მიზიდვას. სამწუხაროდ, იმ რეალობაში, როცა სპონსორი საქართველოს ჩემპიონატსა და თასს არ ჰყავს, კლუბებისთვის ახალი შემოსავლების მოძიება ურთულესი საქმეა. ყოველივე ამის მიუხედავად, შეხვედრა მაინც საინტერესო გამოდგა, ბევრი საჭირო სიახლე შევიტყვეთ და სტუმარს მადლობა გადავუხადეთ"*, - გვითხრა თავართქილაძემ.

**ლევან ჯანეზაშვილი**

გაგრა. მზადება ევროტურნირისთვის

# გუნდი 3:0 უგუნდოები

ევროპის ლიგის მონაწილემ და საქართველოს თასის მფლობელმა "გაგრამ" გუშინ მუხრანში ორი საკონტროლო მატჩი გამართა და ორივე **რევაზ ძოძუაშვილის** უგუნდოთა ნაკრებთან, რომელიც ორიოდე დღის წინ 2:0 დაამარცხა.

პირველ შეხვედრაში **გიორგი ჯოხაძის** მიერ 51-ე წუთზე გატანილი ერთადერთი გოლით გაგრელებმა 1:0 გაიმარჯვეს.

გაგრა: **მაღრაძე, ჩხეტიანი, ტყეშელაშვილი, აქუბარდია, ჯიშკარიანი, ჯოხაძე, ჯანაშია, ხუბუა, ხოჯაშვილი, ციცხვაია, გაბედავა.**

შეცვლაზე შევიდნენ: **ჯერემაია, გოგოხია.**

"გაგრამ" მეორე დაპირისპირებაშიც გაიმარჯვა - 4:1. გოლები გაიტანეს გრძელიძემ (2), გაბენიამ და ხუციძემ.

გაგრა: **ბეგაშვილი, გაბუნია, ყურულაშვილი, კალანდაძე, ხუციძე, გედენიძე, ჭკუასელი, მოსიაშვილი, კობერიძე, ორდინსკი, კვანტალიანი.**

შეცვლაზე შევიდნენ: **გრძელიძე, ყიფიანი.**

"გაგრაში" ახალი ფეხბურთელები ვარჯიშობენ: ზუგდიდის "ბაიადან" – **მაკარ აქუბარდია** და **გოგოხია**, ფოთის "კოლხეთიდან" **დათა სიჭინავა**, საჩხერის "ჩიხურადან" მეკარე **გიორგი ბეგაშვილი**, აგრეთვე 17 წლის ნიგერიელი **ჯონ ჯერემაია.**

"გაგრას" საზოგადოებასთან ურთიერთობისა და იურიდიული სამსახურის უფროსის **მიხეილ აფხაზავას** თქმით, ჯერემაია პისკოვეცს მოსწონს და, ალბათ, გუნდში ჩაირიცხება, აქუბარდიასა და გოგოხიას საკითხი მალე გადაწყდება, იანვარში ჩამოსული ნიგერიელი **სულეიმან სადიქი** კი მწვრთნელმა გაუშვა.

ჯერჯერობით ისვენებს საქართველოს თასის ფინალის გმირი, მეკარე **კოკა სეფიაშვილი**, მაგრამ გუნდს მალე შეუერთდება. მცირე ტრავმის გამო გუშინ დაასვენეს **დავით გიგაური.** საშიში არაფერია და ის დღეს ივარჯიშებს.

სპარინგ-მატჩებში არ მონაწილეობდა "გაგრას" ახალწვეული **გიორგი ჭედია**, რომელიც კონტრაქტს დღეს აფორმებს. **გელა ხუბუა** და გიორგი ბეგაშვილი კი გუნდთან ერთად სრული დატვირთვით ემზადებიან.

დაბოლოს: კენჭისყრის მიხედვით, ევროპის ლიგის მეორე ეტაპზე "გაგრას" ფამაგუსტას "ანორთოსისი" ჯერ ზესტაფონში უნდა მიეღო და შემდეგ გასვლაზე ლარნაკაში ეთამაშა. თუმცა ერთმანეთთან და უეფასთან შეთანხმებით, მეტოქეებმა ასე გადაწყვიტეს – 14 ივლისს მატჩს კვიპროსი უმასპინძლებს, 21 ივლისს კი – საქართველო.

**მერაბ მამულაშვილი**

დინამო

**შტურმი–დინამო 0:0**

**დინამო:** ლორია, ოდიკაძე (76. ჰომოლა), თომაშვილი, კაკუბავა, რეხვიაშვილი (46. ხმალაძე), კვეკვესკირი (85. ფირცხალავა), კოშკაძე (70. ახალაია), თექთურმანიძე (60. კახელიშვილი), ლექვთაძე (65. რობერტინიო), ჯილაური (85. ჰაჯიბულიჩი), ფანცხავა (33. იაშვილი/82. ჯუსი)

# შტურმი იყო, მაგრამ ფრე

სლოვენიიდან ავსტრიაში გადასულმა თბილისის „დინამომ" შეკრებაზე დაგეგმილი ბოლო მატჩი გრაცის „შტურმთან" გამართა.

პრაქტიკულად, მთელი მატჩის განმავლობაში თბილისელები უპირატესობას ფლობდნენ. გოლის გატანის შანსიც ჰქონდათ, მაგრამ მასპინძელთა მეკარე უშეცდომოდ თამაშობდა, **გიორგი ლორიას** კი თამაშში ჩართვამ მხოლოდ მეორე ნახევარში მოუწია. საბოლოოდ 0:0.

„დინამო" თბილისში პარასკევს დაბრუნდება, ორიოდე დღე დაისვენებს და ევროპის ლიგის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის შეხვედრისთვის მზადებას განაგრძობს.

www.fcdinamo.ge

ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი **შპს გამომცემლობა ლელო**

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63;** ელფოსტა: **leloltd@gmail.com;** ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **237 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

● აი, ამბავი



# ხოს! სამუშია ატლეტიკომ დაინახა

ზუგდიდის "ბაიას" 16 წლის ნახევარმცველ **გურამ სამუშიას** მადრიდის "ატლეტიკო" სინჯებზე იწვევს. ეს ინფორმაცია "ბაიას" მთავარმა მწვრთნელმა **ელგუჯა ქომეთიანმა** დაგვიდასტურა.

*"გურამი "ატლეტიკოს" ყურადღების ცენტრში თებერვალში მოხვდა, როცა საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებმა მადრიდში ესპანეთთან ორი ამხანაგური მატჩი ჩაატარა. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში "ატლეტიკოდან" ოფიციალური წერილი მივიდა, სადაც ნათქვამია, რომ სამუშიას სინჯებზე იწვევენ",* - გვითხრა ქომეთიანმა.

სამუშია **კობა ჟორჟიკაშვილის** დროინდელ 17-წლამდელთა ნაკრებში ერთ-ერთი გამორჩეული მოთამაშე იყო. ჯერჯერობით უცნობია, როდის გაემგზავრება იგი მადრიდში. დღესდღეობით გურამი "ბაიას" ძირითად გუნდთან ერთად ვარჯიშობს.

მცირე ასაკის მიუხედავად, მან გასულ ჩემპიონატში "ბაიას" მაისურით 11 მატჩი ჩაატარა.

● ზესტაფონი



# იმერლები შინაურ პეიზაჟში

## მთები, ტყეები, თბილი დახვედრა

"ზესტაფონმა" თბილისიდან მიუნხენამდე თითქმის ოთხსაათიანი ფრენისა და მიუნხენიდან ავტობუსით ორსაათიანი მგზავრობის შემდეგ დანიშნულების ადგილას, ტიროლის მხარის დაბა კირხდორფში ჩააღწია.

კომფორტულ სასტუმრო "ზაივალდში" დაბინავებისა და რამდენიმესაათიანი დასვენების შემდეგ გუნდი მახლობლად მდებარე კირხდორფის სპორტული კომპლექსის საფეხბურთო მინდვრისკენ გაეშურა, სადაც საქართველოს ჩემპიონებმა ალპური შეკრების პირველი ვარჯიში ჩაატარეს. მასპინძლები ქართველებს სასტუმროშიც და მოედანზეც გულთბილად შეეგებნენ.

"ზესტაფონის" ფეხბურთელთა უმრავლესობა ჯანმრთელადაა, თუმცა **ნიკოლოზ გელაშვილი, ალექსი ბენაშვილი** და **ზაალ ელიავა** ისევ ინდივიდუალური პროგრამით ემზადებიან. შეკრების მეორე დღიდან გუნდი ორჯერადი ვარჯიშების რეჟიმზე გადავიდა.

პირველ საკონტროლო შეხვედრას "ზესტაფონი" დღეს დაბა ბიშოფსჰოფენში რუმინეთის ყველაზე ტიტულოვან კლუბთან, ბუქარესტის „სტიაუასთან“ გამართავს. მატჩი საღამოს 10-ის ნახევარზე დაიწყება.

გადაწყდა, რომ **გია გეგუჩაძის** გუნდი ავსტრიაში ოთხ სპარინგმატჩს ითამაშებს. 27 ივნისს "ზესტაფონი" კარგად ნაცნობ ლვოვის "კარპატის" გაეჯიბრება, 30 ივნისს კი ძალებს შვეიცარიულ "ბაზელთან" მოსინჯავს. შეკრების მიწურულს, 5 ივლისს, იმერლები ბოლო საკონტროლო შეხვედრას გამართავენ, მეტოქის ვინაობა ზუსტდება.

როგორც ხედავთ, "ზესტაფონის" სამწვრთნელო შტაბი უპირატესობას კვლავაც ძლიერ მეტოქეებთან სპარინგს ანიჭებს, რაც უთუოდ გამართლებულია. წესით, ავსტრიულ მატჩებში გუნდის ავ-კარგი ნათლად უნდა გამოჩნდეს და ჩემპიონთა ლიგის მეორე ეტაპისთვის სათანადო დასკვნების გაკეთებაც უნდა მოესწროს. ზემოთ ჩამოთვლილი გუნდები აშკარად "დაჩიაზე" ძლიერები არიან და თუ "ზესტაფონმა" მათთან დადებით შედეგს მიაღწია, ფეხბურთელებს საკუთარი ძალების რწმენა ერთიორად გაუძლიერდებათ.

"ზესტაფონი" სატრანსფერო ბაზარზე ჯერჯერობით არ აქტიურობს და დაველოდოთ, სეზონის განახლებამდე შეუერთდებიან თუ არა ახალწვეულები ფეროელებს.



ზესტაფონელთა ბომბარდირი ნიკოლოზ გელაშვილი ინდივიდუალური პროგრამით ვარჯიშობს

● U 17. ინტერვიუ მწვრთნელთან

# + ესპანეთი პატარაც ოქროა. ვივარგეთ და ვეტოლსწორეთ

# – ფიზიკა, ფიზიკა, ფიზიკა...

**საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში შემოდგომაზე ჩაერთვება - 21-26 სექტემბერს მოლდოვაში მასპინძლებს, შვედებსა და ბულგარელებს დაუპირისპირდება. ელიტრაუნდში ორი საუკეთესო გავა.**

**ქართველი 17-წლამდელები რამდენიმე დღის წინ ბაქოდან დაბრუნდნენ, სადაც "კასპიის თასზე" მეოთხე ადგილზე გავიდნენ. გუნდის მთავარ მწვრთნელ ვასილ მაისურაძეს აზერბაიჯანული ტურნირისა და ნაკრების მზადების გეგმებზე ვესაუბრეთ.**

**- რამდენად ნაყოფიერი გამოდგა გუნდისთვის "კასპიის თასი"?**

- უაღრესად საჭირო და დროული ტურნირი იყო. საპრიზო სამეულს მიღმა დარჩენამ გული დაგვწყვიტა, მაგრამ მთავარი ის არის, რომ ფეხბურთელებმა საერთაშორისო გამოცდილება მიიღეს. მწვრთნელებმაც თვალნათლივ დავინახეთ გუნდის ყველა დადებითი და უარყოფითი მხარე და ზუსტი წარმოდგენა შეგვექმნა იმის თაობაზე, თუ რაზე გვმართებს მუშაობა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირამდე.

**- ესპანეთთან ფრე საქართველოს ნაკრების აქტივში ჩაიწერა.**

- ორი თამაშის სოლიდურად მოგების შემდეგ ბიჭებმა ამ მატჩში ძალიან მოინდომეს და უძლიერეს მეტოქესთან ღირსეულ შედეგს მიაღწიეს. მე ამ ასაკში ესპანეთისნაირი ძლიერი გუნდი არასდროს მინახავს. ზუსტად იმავე სტილით თამაშობს, როგორითაც ამ ქვეყნის ეროვნული ნაკრები და საოცრად პერსპექტიული ფეხბურთელებითაა დაკომპლექტებული. მოკლედ, ამ გუნდთან მაქსიმალურ შედეგს მივაღწიეთ. მიხარია, რომ საქართველოს ნაკრებმა ამ მატჩში მტკიცე ხასიათი გამოავლინა და ანგარიში შეხვედრის მიწურულს გაათანაბრა. ჩვენმა მცველმა ალეკო ჩაკვეტაძემ ესპანეთს ეფექტური გოლი გაუტანა, რომელიც ტურნირზე ყველაზე ლამაზი გამოდგა.

**- ესპანეთმა ბურთების სხვაობით გვაჯობა და ფინალში გავიდა, საქართველოს ნაკრებმა კი მესამე ადგილისთვის მატჩი აზერბაიჯანთან პენალტების სერიაში წააგო. ჩვენი ფეხბურთელები ხომ არ მოდუნდნენ?**

- არა, მარცხი გადაღლილობას უფრო უკავშირდება. ტურნირი მჭიდრო ვადებში ჩატარდა, თანაც ბაქოში ძალიან ცხელოდა, რასაც მასპინძლები უფრო იყვნენ ნაჩვევნი. რაც მთავარია, აზერბაიჯანთან ძალიან არაობიექტურად გვიმსაჯეს და ჩვენს კარში გამოგონილი თერთმეტმეტრიანი დანიშნეს. ანგარიში მაინც გავათანაბრეთ, მაგრამ, სამწუხაროდ, მატჩისშემდგომი ყველა პენალტი გავაცუდეთ, რაც უფრო ცუდი ფიზიკური მომზადების ბრალია, ვიდრე ფეხბურთელთა ნერვიულობისა, თუმცა ისიც ფაქტია, რომ პენალტებზე მეტი მუშაობა გვმართებს.

**- საქართველოს ნაკრებიდან რომელიმე ფეხბურთელს ხომ ვერ გამოარჩევთ?**

- ბოლომდე კმაყოფილი არავის თამაშით დავრჩენილვარ და ამიტომ ვინმეს გამოყოფისგან თავს შევიკავებ. ბაქოში ალეკო მზევაშვილმა ოთხი გოლი გაიტანა, მაგრამ ტურნირის დასკვნით ფაზაში თამაშს მანაც მოუკლო.

**- როგორი გეგმით მოემზადებით ზაფხულში?**



**- ყველაზე მეტად რომელი კომპონენტის გამოსწორებაა საჭირო?**

- სამწუხაროდ, გუნდი კვლავ მოიკოჭლებს ფიზიკური მომზადების მხრივ, რამაც აზერბაიჯანშიც იჩინა თავი. ეს, უპირველესად, იმითაა გამოწვეული, რომ ნაკრების წევრებს კლუბებში არცთუ საუკეთესო მოსამზადებელი პირობები აქვთ. მხოლოდ სანაკრებო შეკრებაზე ამ პრობლემის აღმოფხვრა, ფაქტობრივად, წარმოუდგენელია, მაგრამ შევეცდებით, ზაფხული ნაყოფიერად გამოვიყენოთ, რათა საკვალიფიკაციო ეტაპს ოპტიმალური კონდიციებით შევხვდეთ.

- როგორც იცით, საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრები ყოველ ზაფხულს მონაწილეობს პალანგის საერთაშორისო ტურნირში და გამონაკლისი არც ახლა იქნება – წლევანდელი ტურნირი 22-28 აგვისტოს იმართება. მანამდე კი აუცილებლად გვჭირდება ერთთვიანი შეკრება. ფედერაცია მის მოწყობას გვპირდება და იმედია, საწვრთნელი პროცესი შეუფერხებლად წარიმართება. შეკრების ადგილი ჯერ უცნობია, მაგრამ ახლავე შემიძლია გითხრათ, რომ ზუგდიდში აღარ წავალთ, რადგან "ბაიას" ბაზაზე ხელოვნური საფარია, ჩვენ კი ბუნებრივ მინდორზე მომზადება გვაქვს გადაწყვეტილი.

**- ევროშესარჩევისთვის ნაკრების შემადგენლობაში ბევრ ცვლილებას უნდა ველოდოთ?**

- ნაკრების ბირთვი უკვე ჩამოყალიბებულია. არის რამდენიმე ვაკანტური ადგილი და ვნახოთ, სექტემბრამდე დარჩენილ დროში ვინ გამოიჩენს თავს. სამწუხაროდ, მდიდარი არჩევანი არ გვაქვს, ზოგ პოზიციაზე ორი ძლიერი ფეხბურთელიც კი არ გვყავს.

**- მეტოქეთა შესახებ თუ ფლობთ ინფორმაციას?**

- მოლდოვის ნაკრების რამდენიმე მატჩის დისკი მოვიპოვე და არ ველოდი, თუ ასეთი ტექნიკური და ბრძოლისუნარიანი გუნდი ეყოლებოდათ. ბულგარეთზეც ბევრი რამ ვიცი და ისიც საკმაოდ ძლიერი ნაკრებია, შვედეთზე კი ჯერ ინფორმაცია არ გვაქვს. ყველა სირთულის მიუხედავად, საბრძოლო განწყობაზე ვართ და გვჯერა, რომ პირველი რაუნდის გადალახვის ძალა შეგვწევს.

გვერდი მოამზადა
**ლევან ჯანეზაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა



კოლხეთი

# ფოთელებს ექვსნულიანი იმედი მისცეს

## ფული იყოს და ფეხბურთელი მოვა

**გასული** წლის გამოცდილებიდან გამომდინარე, სახელმწიფო ბიუჯეტზე დამოკიდებული გუნდის დაფინანსებას მხოლოდ მაშინ დავიჯერებთ, როდესაც შეპირებული თანხა გუნდის ანგარიშზე დაჯდება. თუმცა ფოთის "კოლხეთი", სავარაუდოდ, წლეულს წელში უნდა გაიმართოს.

ამის იმედს გამოთქვამს გუნდის მთავარი მწვრთნელი სოსო ფილია, რომელმაც ბევრი სხვა საინტერესოც გვითხრა.

**- "კოლხეთს" მომზადება ჯერ არ დაუწყია და რას აპირებთ?**

- სეზონისთვის მზადებას ორშაბათს, 27 ივნისს დავიწყებთ. თუმცა მანამდე გარკვეული საკითხებია მოსაგვარებელი.

**- ალბათ, დაფინანსებას გულისხმობთ.**

- ცხადია, უნდა დაზუსტდეს, ვინ და რა ოდენობით დაგვაფინანსებს.

**- კონკრეტულ რიცხვებზეა ლაპარაკი თუ შარშანდელივით გაურკვეველი მდგომარეობაა?**

- ახლა უკეთესი მდგომარეობაა, კონკრეტული თანხა დასახელდა - მომავალი სეზონისთვის "კოლხეთის" ბიუჯეტი მილიონი ლარი იქნება. ფაქტია, რომ ხარჯთაღრიცხვა გაკეთდა და თანხმობა უკვე მიღებული გვაქვს. როგორც გასული ჩემპიონატის მეორე წრეში, გუნდს კვლავ დირექტორთა საბჭო მიხედავს, რომელსაც ხელმძღვანელობენ პრეზიდენტი თენგიზ სარიშვილი და ვიცე-პრეზიდენტი დავით ბაბილუა, ამ პროცესს კი ქალაქის მერი კურირებს.

**- თანხას ვინ ჩარიცხავს?**

- ფოთის პორტი, მერია და ადგილობრივი ბიზნესმენები, ანუ რამდენიმე დამფინანსებელი გვეყოლება.

**- რა ცვლილებებია გუნდში?**

- ორმა ფეხბურთელმა დაგვტოვა: მიხეილ მახვილაძე რუსთავის "მეტალურგში" გადავიდა, ლაშა ძაგანია – ცხინვალის "სპარტაკში", განთავისუფლების ფურცელს ითხოვს დათა სიჭინავაც. მისი საკითხი მალე გადაწყდება.

**- ვინმე დაიმატეთ?**

- სამწუხაროდ, სანამ ჩვენი დაფინანსების საკითხი წყდებოდა, სხვა გუნდებში წავიდნენ ის მოთამაშეები, რომელთა დამატებაც გვსურდა: რევაზ ჯიქია და კობა შალამბერიძე - ცხინვალის "სპარტაკში", რევაზ გოცირიძე ქუთაისის "ტორპედოს" დაუბრუნდა, ოლეგ გველესიანი და, როგორც ვიცი, ნიკა გუშარაშვილიც - გორის "დილაში" მიდიან. თუმცა ჯერ კიდევ არიან თავისუფალი ფეხბურთელები და მილიონიანი ბიუჯეტით შეიძლება სხვათა დამატება.

აქვე ვიტყვი, რომ გუნდში რამდენიმე საინტერესო მოთამაშე გვყავს, რომლებმაც გასულ სეზონშიც გამოავლინეს პოტენციალი.

**- ნიჭიერები ახსენეთ და, ვიცით, რომ ცენტრალურ ნახევარმცველ ლაშა გვალიას რუსთავის "მეტალურგი" იწვევს.**

- დიახ, იწვევს, რადგან მართლაც ნიჭიერი ბიჭია, მაგრამ მიმაჩნია, რომ ერთი წელი "კოლხეთში" დარჩენით უფრო გაიზრდება. ჯერ კიდევ უნდა დავხვეწოთ, მერე კი, დარწმუნებული ვარ, დიდ ფეხბურთს ითამაშებს. მას დიდი პოტენციალი აქვს, დარწმუნებული ვარ, ეროვნულ ნაკრებში თამაშსაც შეძლებს. დიდი ხანია, ასეთი ნიჭიერი ახალგაზრდა ფოთში არ გვყოლია - მოაზროვნე ფეხბურთელია, ეხერხება თამაშის გახსნა, ფეთქებადია. და რაც ყველაზე უცნაურია და მახარებს: ამ სტილის ნახევარმცველებს


სოსო ფილია

საქართველოში სირბილი და მოძრაობა არ უყვართ, ლაშა კი უბურთოდაც ბევრს მოძრაობს და მისი აზროვნება თანაგუნდელებისას უსწრებს. აუცილებლად უნდა დაველაპარაკო ოთარ გაბელიას და ამ ბიჭის ახალგაზრდულში აყვანა ვურჩიო, 19 წლისაა და ამის მიუხედავად, ერთი წელია უმაღლეს ლიგაში გამოცდილი ფეხბურთელივით თამაშობს.

ამას გარდა, მარცხენა ფლანგზე ვათამაშებდი დავით მეგრელიშვილს, საყრდენად კი გიორგი ლემონჯავას – 18-19 წლის ბიჭები არიან და მჯერა, მომავალ სეზონში თავის სიტყვას იტყვიან. ასე რომ, უიმედო მდგომარეობა ნამდვილად არ გვაქვს.

**- ახალ სეზონში რა მიზანი გექნებათ?**

- მილიონიანი ბიუჯეტით სავსებით შესაძლებელია ხუთეულში მოსახვედრად ბრძოლა, პროგრამა - მინიმუმი კი საუკეთესოში რვა გუნდში ყოფნაა.

**მერაბ მამულაშვილი**

სიონი


გია არევაძე

**უმაღლესი** ლიგის ერთ-ერთ ყველაზე „სტაჟიან" წევრად „სიონი" უნდა მივიჩნიოთ: 1995 წლიდან მოყოლებული ბოლნისელები უძლიერესთა შორის ასპარეზობენ. ამ დროის განმავლობაში იშვიათზე იშვიათი იყო შემთხვევა, ქვემოქართლურ გუნდს უმაღლესი ლიგიდან გავარდნის საფრთხე რომ დამუქრებოდა. უფრო პირიქით იყო, — საკუთარი „ხელწერის" მქონე გუნდი მუდამ საშუალო სიძლიერის კატეგორიას მიეკუთვნებოდა და საერთოდაც, ბოლნისიდან ქულ(ებ)ის წამოღება ამ 16 წლის განმავლობაში ყველას უჭირდა. თუმცა, ერთი პერიოდი ბოლნისელებს მართლაც საამაყოდ ჰქონდათ საქმე: 2006 წელს „სიონი" საქართველოს ჩემპიონი გახდა (სხვათა შორის, არც მანამდე და არც ამის მერე - წლევანდლამდე - რაიონის გუნდს საქართველოს ჩემპიონატში არ გაუმარჯვია...)! ამ წარმატებაში ფეხბურთელებთან და მთავარ მწვრთნელთან (კახა ცხადაძე) ერთად ლომის წილი მიუძღოდა კლუბის იმდროინდელ პრეზიდენტს გია არევაძეს, რომელიც ოთხწლიანი პაუზის შემდეგ, შარშან ზაფხულში ამავე პოსტზე დაბრუნდა „სიონში". სამწუხაროდ, ამჯერად „სიონმა" სენსაცია მეორედ ვერ მოახდინა; თუმცა, ევროტურნირებზე მოხვედრას ვინ ჩივის, გასულ სეზონში გუნდმა ძლივს შეინარჩუნა ადგილი უმაღლეს ლიგაში და რომ არა ჩემპიონატის ფინიშზე... რეგლამენტის შეცვლა, არავინ იცის რა და როგორ იქნებოდა. ყოველ შემთხვევაში, „ძველი რეგლამენტით" „სიონს" პლეი ოფში მოუწევდა თამაში გორის „დილასთან" და იმ ერთმატჩიან დაპირისპირებაში მართლაც ძნელი იქნებოდა პროგნოზის გაკეთება. რა თქმა უნდა, გასულ სეზონში „სიონის" არასტაბილურ და, რაც მთავარია, არადამაჯერებელ ასპარეზობას უამრავი მიზეზი ჰქონდა: ობიექტურიც და სუბიექტურიც; ყოველ შემთხვევაში, შემადგენლობითაც და ფინანსებითაც „სიონი" უმაღლეს ლიგაში სამ-ოთხ გუნდს თუ ჩამორჩებოდა, მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბოლნისელებმა ძლივს შეინარჩუნეს ადგილი უმაღლეს ლიგაში. სამწუხაროდ, მთლად დამაიმედებელი სიტუაცია არც ამჟამად არის — უმაღლესი ლიგის გუნდების უმრავლესობამ ახალი სეზონისათვის მზადებაც დაიწყო, ზოგი უცხოეთშია, ზოგიც ბაკურიანსა თუ საქართველოს შავიზღვისპირეთში გადის შეკრებას, აი, „სიონს" კი ჯერ ვარჯიშიც არ დაუწყია! მართალია, ჩემპიონატის დაწყებამდე თვენახევარია დარჩენილი, მაგრამ ახალ სეზონს რომ გუნდი სათანადოდ მომზადებული და შესაბამისი კვალიფიკაციის ფეხბურთელებით უნდა შეხვდეს, ფაქტია. სწორედ ამ საკითხების გასარკვევად მივმართეთ „სიონის" პრეზიდენტს გია არევაძეს, რომელთან საუბარში სხვა თემებსაც შევეხეთ...

# სურვილი და საშუალება

**- „სიონის" გარდა უმაღლესი ლიგის ფაქტობრივად, ყველა გუნდი ახალი სეზონისათვის სერიოზულად ემზადება...**

- ამ ეტაპზე რამდენიმე საკითხზე ვმუშაობთ; უპირველესი საზრუნავი, ჩემი აზრით, სტაბილური დაფინანსება უნდა იყოს, ანუ იმის გარანტია უნდა გვქონდეს, რომ ეს დაფინანსება მთელი სეზონის განმავლობაში იქნება. არანაკლებ მნიშვნელოვანია საკადრო საკითხიც: ჯერჯერობით ვერ გადაგვიწყვეტია, მხოლოდ ადგილობრივ ფეხბურთელებს დავეყრდნოთ თუ სხვა გუნდებიდან მოვიწვიოთ.

**- „სხვა გუნდებში", ქართულს გულისხმობთ?**

- არა, რატომ მხოლოდ ქართულს? არ დაგიმალავთ და უცხოეთიდანაც ვფიქრობთ ფეხბურთელების დამატებას. კიდევ ვიმეორებ, რამდენიმე მიმართულებით ვმუშაობთ და მალე ბევრ რამეს ნათელი მოეფინება.

**- უფრო კონკრეტულად როდის შეგეძლებათ საუბარი?**

- სავარაუდოდ, 30 ივნისს შევიკრიბებით და საკადროსთან ერთად, დაფინანსების საკითხზეც ვიმსჯელებთ. ყოველ შემთხვევაში, მაქსიმუმ 5 ივლისისათვის ბევრად უფრო კონკრეტულად ვისაუბრებ. არადა, არ დავმალავ: არის საკითხები, გადახედვას რომ მოითხოვს.

**- კერძოდ?**

- პირდაპირ გეტყვით: წინა სეზონში „სიონის" საბოლოო შედეგი მართლაც დამაფიქრებელია; ბოლოს და ბოლოს, უმაღლეს ლიგაში ადგილი როგორ შევინარჩუნეთ, თქვენც კარგად მოგეხსენებათ. ჰოდა, ასეთი „სიონი" საერთოდ, ვის სჭირდება? როცა ფეხბურთელი მხოლოდ იმის გამო თამაშობს, სახლში საჭმელი მივიტანოო, მასე არაფერი გამოვა. რა თქმა უნდა, არც უმაგისობაა, მაგრამ გასულ სეზონში „სიონს" რომ დაფინანსება ჰქონდა, თითზე ჩამოსათვლელ ქართულ გუნდებს თუ ჩამოვრჩებოდით.

**- როგორ ფიქრობთ, სეზონის განმავლობაში ხშირმა სამწვრთნელო ცვლილებებმაც ხომ არ იმოქმედეს გუნდის ასეთ უარყოფით შედეგზე?**

- თავდაპირველად გიორგი ყიფიანი მუშაობდა და იმის მიუხედავად, რომ უმაღლეს ლიგაში სადებიუტო სეზონი ჰქონდა, „სიონმა" პირველი ეტაპი V ადგილზე დაასრულა. სამწუხაროდ, ამის შემდგომ კარიერის გაგრძელება უცხოეთში გადაწყვიტა და ჩვენც, ცოტა არ იყოს, ცაიტნოტურ სიტუაციაში აღმოვჩნდით. იძულებული ვიყავით, გუნდის გაწვრთნა ადგილობრივი სპეციალისტისათვის, გიორგი ყიფშიძისათვის მიგვენდო. სხვათა შორის, ამას წინათ თქვენს კოლეგებთან, ცოტა არ იყოს, მკვახედ მომიწია ყიფშიძის მუშაობის შეფასება... ახლა უკან კი არ ვიხევ, უბრალოდ, მართლაც განაწყენებული ვიყავი შედეგებით...

**- თქვენი აზრით, მესამე წრეში „სიონის" ჩავარდნა მხოლოდ და მხოლოდ ყიფშიძის ბრალი იყო?**

- ყველაფერში ყიფშიძეს ვერ დავადანაშაულებ, მაგრამ იგივე ფეხბურთელები არ იყვნენ, წინამორბედის დროს V ადგილზე რომ იმყოფებოდნენ? მერე, ხვიჩა ქასრაშვილი მოვიწვიეთ, სიტუაციაც ცოტა გამოსწორდა, მაგრამ შემდეგ უარესი მოხდა, რასაც ვერაფრით წარმოვიდგენდი: გაყიდული თამაშები ახსენეს და სამიდან... ორში „სიონი" ფიგურირებდა!

**- ეს რომ შეიტყვეთ, რა რეაქცია გქონდათ?**

- ყველანი დათრგუნულები ვიყავით; ასეთ დროს როგორ გინდა, ფსიქოლოგიურად მოამზადო გუნდი... საერთოდ კი, მთლიანობაში გუნდმა რომ სეზონი ჩააგდო, ცალ-ცალკე ყველას ბრალი იყო: ხელმძღვანელებისაც, სამწვრთნელო შტაბისაც, ფეხბურთელებისაც...

**- როცა ხუთი წლის წინ „სიონის" ხელმძღვანელად დაინიშნეთ, ამ გუნდს აბსოლუტურად განსხვავებული მიზნები ჰქონდა...**

- გეთანხმებით, მიზნებიც განსხვავებული ჰქონდა და სხვა კვალიფიკაციის მწვრთნელიც გვყავდა, - კახა ცხადაძეს ვგულისხმობ. თუმცა, ნურც იმას დავივიწყებთ, რომ „სიონის" იმ ტრიუმფში არანაკლები როლი შეასრულა ხვიჩა ქასრაშვილმაც, რომელიც გუნდს I წრეში ხელმძღვანელობდა. სხვათა შორის, ხუთი წლის წინანდელი და ახლანდელი დაფინანსება რომ შევადაროთ, უმნიშვნელო ცვლილება იქნება...

**- კლუბის ამჟამინდელი მფლობელობის საკითხი თუ გაირკვა?**

- ამ ეტაპისათვის კლუბი ისევ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ბალანსზეა; ანუ სახელმწიფოს გუნდია..

**- კი, მაგრამ „მადნეული"?**

- „მადნეული" სპონსორია და, როგორც საუბრის დასაწყისში აღვნიშნე, სავარაუდოდ 30 ივნისს შევიკრიბებით და ბევრ რამეს გავარკვევთ.

**- ამ ეტაპზე იმის თქმა თუ შეგიძლიათ, რომ ბოლნისელებს ახალ სეზონში უმაღლეს ლიგაში გუნდი უეჭველად ეყოლებათ?**

- „სიონის" საჩემპიონო სეზონის დროს ბოლნისის გამგებელი ვიყავი და რასაც ვამბობდი, ჩემს ყველა დაპირებას ვასრულებდი; სამწუხაროდ, დღეს ვერავის ვერაფერს შევპირდები, თუმცა, რა დასამალია, რომ უდიდესი სურვილი მაქვს, „სიონი" კვლავაც აღორძინდეს. ოღონდ, ის შემთხვევაა, ადამიანის სურვილი და საშუალება ერთმანეთს რომ უნდა ემთხვეოდეს...

**გია ტუხაშვილი**

ტორპედო

# კვარაცხელიას უკრაინა უნდოდა და უნდა


ვახტანგ კვარაცხელია

ქუთაისის „ტორპედოს" ვებგვერდის ცნობით, 23 წლის ფორვარდი **ვახტანგ კვარაცხელია** უკრაინაში გაფრინდა, სადაც პირველი დივიზიონიდან ვიშალიგაში აღზევებულ „ალექსანდრიაში" გასინჯავენ.

ფეხბურთელმა გასულ სეზონში ქუთაისელთა შემადგენლობაში სულ სამი ბურთი გაიტანა.

კვარაცხელიას კარიერის უკრაინაში გაგრძელება შარშანაც სურდა, მას ლუგანსკის "ზარია" იწვევდა, მაგრამ ფიფას წესებმა ტრანსფერი დააბრკოლა – სეზონში მესამე კლუბში გადასვლა აკრძალულია, კვარაცხელიამ კი სეზონი "ვიტ ჯორჯიაში" დაიწყო, შემდეგ გადავიდა "ტორპედოში", "ზარია" კი მესამე გუნდი გამოდიოდა.

"ტორპედოში" გამოცდილი თავდამსხმელის, **რევაზ გოცირიძის** დაბრუნება იმაზე მიუთითებს, რომ ქუთაისელები კვარაცხელიას წასვლისთვის წინასწარ ემზადებოდნენ, ამბიციური გუნდისთვის მხოლოდ ერთი გამოცდილი ფორვარდის (**გია მეგრელაძის**) იმედად დარჩენა გაუმართლებელი იქნებოდა.

შეგახსენებთ, რომ "ალექსანდრიაში" საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ყოფილი წევრი **დავით თარგამაძე** თამაშობს.

**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონი

# გუშინ ველარ...

**ბოლოდროინდელი** მატჩებისგან განსხვავებით, რუსული პრემიერლიგის გუშინდელი ტური ქართველებისთვის არცთუ წარმატებული გამოდგა. რამდენიმე ჩვენებურს გუშინ საერთოდ არ უთამაშია, დანარჩენებმა კი თავი ბევრით ვერაფრით გამოიჩინეს.

ყაზანში "რუბინმა" "ვოლგას" 2:0 სძლია. მასპინძელთა სათადარიგოთა სკამზე იჯდა ახალგაზრდა **საბა კვირკველია**, ნიჟნინოვგოროდელთა შემადგენლობაში კი მხოლოდ **გია გრიგალავამ, მათე ვაწაძემ** და **ოთარ მარცვალაძემ** ითამაშეს – პირველმა ორმა სრულად, მესამე კი თამაშში 54-ე წუთიდან ჩაერთო. **გოგიტა გოგუა** დისკვალიფიცირებული იყო, **ლაშა სალუქვაძეს** ყოფილ კლუბთან თამაშის უფლება არ ჰქონდა, **გოჩა ხოჯავა** კი ტრავმირებულია.

**ჯანო ანანიძე** ამჯერადაც მოსკოვის "სპარტაკის" სასტარტო შემადგენლობაში იყო და შეუცვლელადაც ითამაშა, მაგრამ მან და მისმა თანაგუნდელებმა მოსკოვურ დერბიში "დინამოსთან" ვერაფერი გააწყვეს – 0:2.

"ანჟიმ" სტუმრად "კრილია სოვეტოვი" 1:0 დაამარცხა, დაღესტნელთა კარი **ნუკრი რევიშვილმა** დაიცვა.

ქართველები ერთმანეთს კრასნოდარში დაუპირისპირდნენ. **ლევან გვაზავას** "ტერეკმა" **ალექსანდრე ამისულაშვილის** "კრასნოდარს" 2:0 მოუგო. გვაზავა ძირითადში იყო და 71-ე წუთზე შეცვალეს, მასპინძელთა ქართველმა კაპიტანმა კი მოედანზე 90 წუთი გაატარა.

ნალჩიკის "სპარტაკი" პერმში "ამკართან" 0:1 დამარცხდა, **დავით სირაძე** სტუმართა 18-კაციან განაცხადშიც არ იყო.

**ლევან ჯანეზაშვილი**


ჯანო ანანიძე გუშინაც ძირითადში იყო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩელსი

# დაასამარებს „ჩელსი“ ბოასს?



## ვილას-ბოასმა 3-წლიანი გააფორმა

წარსულში ცნობილი თავდამსხმელი, ტელე და საგაზეთო ჟურნალისტი **იან რაიტი** „ჩელსის“ ახალ მწვრთნელზე ასე წერს:

„თუ ანდრე ვილას-ბოასს „სტემფორდ ბრიჯზე“ წარმატება სურს, გასახდელში პირველივე დღიდან უნდა მოიპოვოს ავტორიტეტი. მის მეთოდებს წამყვანმა მოთამაშეებმა ეჭვით რომ შეხედონ, საქმე თავიდანვე ცუდად წაუვა. „ჩელსის“ რანგისა და ამბიციის მქონე გუნდში 33 წლის, გამოუცდელი მწვრთნელის მიყვანა ძალიან თამამი ნაბიჯი იყო. პირადად მე ვილას-ბოასს დიდ იღბალს ვუსურვებ, ახლა ყველაზე მეტად მას ეს სჭირდება.

არ დაგავიწყდეთ, რომ კარლო ანჩელოტიმ „ჩელსის“ დუბლი მოაგებინა და მაინც გააგდეს. შესაბამისად, ვილას-ბოასმა უნდა იცოდეს, რომ თუ პირველივე წელიწადს ჩემპიონთა ლიგას არ მოიგებს, მასაც იგივე ბედი ელის. ვფიქრობ, ეს უდიდესი წნეხია კაცისთვის, რომელმაც უნდა გაწვრთნას გუნდი, სადაც რამდენიმე ვარსკვლავი მისი ასაკისაა. ჯონ ტერის, ფრენკ ლემპარდს და დიდიე დროგბას ვილას-ბოასი ახსოვთ, როგორც ჟოზე მოურინიოს ასისტენტთა შორის ყველაზე დაბალი რანგის თანამშრომელი, რომელსაც განსაკუთრებულისთვის ინფორმაციის შეგროვება ევალებოდა. ის, რომ მან პორტუგალიაში ჩემპიონის ტიტული მოიგო, არაფერს ნიშნავს. ინგლისში ვილას-ბოასს ავტორიტეტი თავიდან აქვს მოსაპოვებელი.

„არსენალში“ რომ დანიშნეს არსენ ვენგერი 50 წელს უახლოვდებოდა, მაგრამ ფეხბურთელები გამომცდელის თვალით ვუყურებდით. არსენმა პირველივე დღიდან ყველაფერი თავის ადგილზე დააყენა. მან თავიდანვე საინტერესო ვარჯიში ჩაგვიტარა და ავტორიტეტიც მოიპოვა. ვფიქრობ, ვილას-ბოასს ზუსტად იგივე აქვს გასაკეთებელი „ჩელსიში“.

თუმცა, „ლურჯებს“ ერთი განსხვავებული თვისება, მე ვიტყოდი, პრობლემა აქვთ. ამ კლუბში კეთდება მხოლოდ ის, რაც რომან აბრამოვიჩს მოეპრიანება. მე რომ „ჩელსის“ ფანი ვყოფილიყავი, მეპატრონეს ჟოზე მოურინიოს გაგდებას არ ვაპატიებდი, „იარაღს ავისხამდი“, მაგრამ ინგლისის ყველა სხვა მეპატრონისგან განსხვავებით აბრამოვიჩი წყლიდან მშრალად ამოვიდა — მას არავინ არაფერი უთხრა.

ამას წინათ წავიკითხე, რომ ვილას-ბოასის სანაცვლოდ 13,2 მილიონი ფუნტის გადახდის შემდეგ თანხა, რომელიც „ჩელსიმ“ ბოლო ოთხ წელიწადში მწვრთნელების შესაძენად გაიღო, 50 მილიონ ფუნტს გასცდა. ეს, რასაკვირველია, სრულიად გიჟური რიცხვია, თუმცა აბრამოვიჩის სიმდიდრის კაცისთვის არაფერს ნიშნავს.

კიდევ, კლუბის აღმასრულებელი შეფი, რონ გურლი ამბობდა, რომ „ჩელსის“ შედეგიანობა და სტაბილურობა არ დაეწუნება, რადგან ბოლო 6 წელიწადში გუნდმა 10 ჯილდო მოიპოვა. მართალი გითხრათ, ამ შეხედულებას ბოლომდე ვერ ვიზიარებ, რადგან კარგად ვიცი, რომ ამ ხნის განმავლობაში „ჩელსიმ“ სწორედ ის ჯილდო ვერ მოიგო, რომელიც მისი მეპატრონისთვის ყველაფერს ნიშნავს. სხვა მხრივ კი, რასაკვირველია, „ლურჯებს“ წარმატებული გუნდი ჰყავთ. გასაკვირიც კი იქნებოდა, ასეთი ფეხბურთელების ყიდვის შემდეგ ვერაფერი რომ მოეგოთ, მაგრამ მენეჯმენტის, მოთამაშეებისა და ტაქტიკის შერჩევაში ნამდვილი სტაბილურობა რომ ყოფილიყო, მერწმუნეთ, შედეგი გაცილებით უკეთესი იქნებოდა.

თანხა, რომელიც მათ ბავშვთა აკადემიის მშენებლობაში დახარჯეს, ალბათ, შემდეგი 20 წლის განმავლობაში ვარსკვლავების აღზრდის გარანტია უნდა ყოფილიყო, მაგრამ, როგორც ვხედავთ, ჯერჯერობით „ლურჯებმა“ მხოლოდ ჯოშ მაკეჩრანი გაზარდეს. ეს კი მწვრთნელების და, შესაბამისად, პოლიტიკის ცვლის ბრალია. ოთხი წელიწადიც კი არ არის გასული, რაც „ჩელსიმ“ ექვსი მწვრთნელი შეცვალა. ვლოცულობ, ვილას-ბოასის საქმეც ცრემლით და გოდებით რომ არ დამთავრდეს. იმედი მაქვს, „ჩელსი“ ამ ახალგაზრდა კაცს ჩინებულად დაწყებულ კარიერას არ დაუნგრევს“.

სანამ მიმომხილველები პროგნოზებს გამოთქვამენ, თავად ანდრე ვილას-ბოასმა „ჩელსისთან“ სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა. „ლურჯები“ ახალი თავკაცის საზოგადოებისთვის წარდგენას ივლისში აპირებენ. დასავლეთლონდონელთა შეფებს უნდათ, რომ წარდგენამდე, რამდენიმე დღე მან ფეხბურთელებთან წაიმუშაოს.

ცნობილია, რომ ვილას-ბოასი ლონდონში „პორტუდან“ ორ თანაშემწეს წაიყვანს. ერთი მათგანია ფიზიკური მომზადების სპეციალისტი **ჟოზე მარია როჩა**, ხოლო მეორე, მოწინააღმდეგე გუნდების „მზვერავი“ **დანიელ სოუზა**. ვილას-ბოასი არ მალავს, რომ „პორტუდან“ ორი ფეხბურთელის წაყვანაც სურს. ლაპარაკია 25 წლის კოლუმბიელ თავდამსხმელ **ფალკაოზე** და 24 წლის პორტუგალიელ ნახევარმცველ **ჟოაო მოუტინიუზე**. პორტუგალიური კლუბის პრეზიდენტმა **ჟორჟე ნუნუ პინტუ და კოსტამ** ორივე მათგანს მყისვე ფასი დაადო. ფალკაოზე თქვა, რომ ის 26,5 მილიონი ფუნტი ღირს, ხოლო მოუტინიუ 35,5 მილიონად დააფასა.

პინტუ და კოსტამ თქვა, რომ „ჩელსიმ“ ვილას-ბოასის თაობაზე პირველად მაისში ჩამოუგდო სიტყვა:

„როდესაც ანდრე დაახლოებით ერთი თვის წინ, უქმეებზე ლონდონს გაემგზავრა, მის ასისტენტს, ვიტორ პერეირას დავურეკე და ვუთხარი, მწვრთნელის პოსტის დასაკავებლად მზად თუ ხარ-მეთქი“.

თუმცა, ყველაფერი ერთი კვირის წინ გადაწყდა, რაც საბოლოოდ გაირკვა, რომ **გუუს ჰიდინკი** „სტემფორდ ბრიჯზე“ არ გადავა. ამას წინათ, ვილას-ბოასმა თქვა, რომ ლონდონი ის ქალაქია, სადაც სიამოვნებით იცხოვრებს.

პორტუგალიურმა პრესამ კი დაწერა, რომ მას ბუკინგემის სასახლეში ერთი ფრთაც კი ეკუთვნის. საქმე ის გახლავთ, რომ 1890 წელს პორტუგალიის მეფე **კარლოს I-მა ჟოზე ჟერარდო დე ვილას ბოასი** გუილომილის პირველ ვიკონტად დანიშნა. ეს ტიტული მემკვიდრეობით ანდრეს პაპის ძმას, **ჟოზე რუის** ერგო, რომელსაც ვაჟი აღარ ჰყოლია. გარდა ამისა, ანდრე ვილას-ბოასი სხვადასხვა მხრიდან ორი ბარონის ნათესავია.

ისტორია

# ღმერთის ხელის 25 წლისთავზე

ინგლისური ფეხბურთის ვეტერან **კრის უოდლს** კარგად ესმის, რატომ ეზიზღებათ მის სამშობლოში **დიეგო მარადონა** — ეს თემა ფეხბურთის სამშობლოში „ღმერთის ხელის“ 25 წლისთავზე, 22 ივნისს გაახსენდათ. დიახ, მეოთხედი საუკუნის წინ, მეხიკოს ლეგენდარულ სტადიონ „აცტეკაზე“, მსოფლიოს ჩემპიონატის მეოთხედფინალში მარადონამ ინგლისელებს პირველი გოლი ხელით გაუტანა. დღეს უკვე 50 წლის უოდლს ცხადად ახსოვს ის ბრაზი და აღშფოთება, თამაშის შემდეგ მათ გასახდელში რომ სუფევდა. ის იგონებს:

„გასაოცარია, მაგრამ 25 წლის მერეც ვფიქრობ, რა მოხდა იმ დღეს. მას მერე უამრავ ინგლისელ ფანს შევხვედრივარ. ისინი კვლავ მარადონაზე არიან გაბრაზებული. მართლაც საშინელებაა, როდესაც ასეთი რამ შენს გუნდს ემართება. გარედან, ალბათ, ყველაფერი უფრო იოლად ჩანს, მაგრამ როდესაც ეს შენ გეხება, კაცი, რომელმაც ასეთი რამ გაგიკეთა, მთავარი მტერი ხდება. გოლი, რომელიც არ უნდა ჩათვლილიყო, ყველაზე ცუდ დროს გავიდა, როდესაც ტაბლოზე 0:0 ეწერა. იმ მომენტამდე რიხიანად ვთამაშობდით და გვნამდა, რომ ნახევარფინალში გავიდოდით.

თამაშის შემდეგ ჩვენს გასახდელში დიდი ბრაზი ტრიალებდა. ისევე, როგორც ყველა ინგლისელი, განბილებულები ვიყავით. მარადონამ კი იხელთა მომენტი და ყველამ კარგად ვიცით, რაც გააკეთა. ვიდეოტექნოლოგიები რომ ყოფილიყო, ყველა ნათლად დაინახავდა, რომ გოლი არ უნდა ჩათვლილიყო, მაგრამ მაშინ კი არა, ვიდეოტექნოლოგიებს დღესაც ამაოდ ველოდებით“.



მართალია, ინგლისელი ფეხბურთელები მარადონას პირველ გოლს დღემდე უნამუსობად მიიჩნევენ, უოდლი აღფრთოვანებით ლაპარაკობს არგენტინელის მეორე გოლზე, რომელიც მათ კარში სამი წუთის შემდეგ გავიდა. უოდლი იმ მომენტში მოედნის კიდესთან იდგა და მოედანზე შესასვლელად ხურდებოდა. ის ამბობს:

„ეს იყო გენიალური გოლი. კინაღამ ტაში დავუკარი, მაგრამ ვიცოდი, რომ ამის გაკეთება არ შეიძლებოდა“.

უოდლი მოედანზე თამაშის 64-ე წუთზე შევიდა და ინგლისელთა შეტევაში დიდი მონაწილეობა მიიღო. **გარი ლინეკერმა** ერთი საპასუხო გოლი მისი დახმარებით გაიტანა. უოდლი განაგრძობს:

„ჩვენ შესანიშნავი გუნდი გვყავდა. მწვრთნელი ბობი რობსონი იყო და არც შემადგენლობაში გვაკლდა ვარსკვლავები. ძალიან კარგად ვიყავით მომზადებული და ვგრძნობდით, რომ ჩემპიონობაც შეგვეძლო, მაგრამ ყველაფერი ერთმა უსამართლობამ და ერთმა გენიალურმა ეპიზოდმა დააყენა ყირაზე. ინგლისში ძალიან ბევრი ადამიანი არასდროს აპატიებს მარადონას ხელით გატანილ გოლს. სამაგიეროდ, გარი ლინეკერი დარჩება მარადიულ გმირად. მან იმ შეხვედრაში არგენტინას გოლი გაუტანა“.

არსენალი



# სესკი ანწევება

„არსენალის“ 24 წლის კაპიტანი **სესკ ფაბრეგასი** თავის გუნდზე ზეწოლას ცდილობს. ესპანელ ნახევარმცველს უნდა, რომ ის „ბარსელონაში“ გაყიდონ. მოგეხსენებათ, „ბარსელონა“ ფაბრეგასის მშობლიური ქალაქის გუნდია, სადაც ის ბავშვთა სკოლაში დადიოდა. ტრანსფერი, სავარაუდოდ, შედგება, მაგრამ ამწუთას მხარეები ფასზე ვერ თანხმდებიან. „არსენალი“ აცხადებს, რომ სესკს 35 მილიონ ფუნტზე იაფად არ გაყიდის. 35,5 მილიონი ფუნტი 40 მილიონი ევრო გახლავთ.

„ბარსელონას“ პრეზიდენტი **სანდრო როსელი** ამბობს, რომ ფაბრეგასი ყველა ღონეს ხმარობს, რათა „მეთოფეები“ დაიყოლიოს. როსელმა თქვა:

„სესკი ყველაფერს აკეთებს, რათა ლონდონიდან წამოვიდეს. პეპ გვარდიოლა ფეხბურთელების ფასებში კარგად ერკვევა და ამბობს, რომ ფაბრეგასი 40 მილიონი ევრო ნამდვილად არ ღირს. „ბარსელონა“ „არსენალს“ ნაკლებს სთავაზობს და თუ ისინი არ დაგვთანხმდებიან, ტრანსფერი ჩაიშლება“.

„ბარსელონას“ ვალი 507 მილიონ ევროს შეადგენს და, შესაბამისად, კატალონიელები ბაზარზე ფულს უხვად ვერ ხარჯავენ. თან, მათ ამ ზაფხულში სხვა დიდი გეგმებიც აქვთ. მაგალითად, „უდინეზესგან“ ჩილელი **ალექსის სანჩესის** ყიდვა უნდათ, რაც საკმაოდ ძვირი საქმეა. შესაბამისად, ფაბრეგასის საყიდელი ფულის ასაგროვებლად, შეიძლება მეორეხარისხოვანი მოთამაშეების გაყიდვა მოუხდეს.

ამასობაში დიდი ბრძოლებია საკუთრივ „არსენალში“, მეპატრონეთა შორისაც. **ალიშერ უსმანოვმა** თავისი წილი 29 პროცენტზე მეტად გაზარდა, რითაც ხაზი გაუსვა, რომ ამერიკელ **სტენ კრეონკს** არაფერს დაუთმობს. არადა, კრეონკს რუსეთში გამდიდრებული უზბეკის წილის შესყიდვაც უნდოდა და მას ერთ აქციაში 11,750 ფუნტს სთავაზობდა. კრეონკი „არსენალის“ მთავარ მეწილედ აპრილში იქცა, როდესაც კლუბის აქციათა 66,1 პროცენტს დაესაკუთრა.

უსმანოვი ერთი ცოტა წინ „არსენალის“ სხვა მეწილეთა კრიტიკითაც კი გამოვიდა. მან თქვა, რომ ექვსწლიანი ხელმოცარვა მარტო მწვრთნელისა და ფეხბურთელების კი არა, მათი ბრალიც არის. 57 წლის მილიარდერმა თქვა:

„თუ მეპატრონეთა საბჭოს წევრობა უშედეგო პერიოდის შორიდან ყურება, ჯიბის გასქელება და იმის გამოცხადებაა, რომ ბილეთების ისედაც ძვირი ფასი კიდევ უფრო იზრდება, მაშინ მე ამ გაერთიანების წევრობა არ მინდა. სამაგიეროდ, დიდი სიამოვნებით მივიღებ მონაწილეობას წარმატებისთვის ბრძოლაში, ინვესტიციების ჩადებაში და გულშემატკივრისთვის იმის დამტკიცებაში, რომ მათ კლუბის მართვაში თავიანთი სიტყვა ეთქმით“.

ფულჰემი

# ტერმინატორი

ჰოლანდიელი მწვრთნელი **მარტინ იოლი** „ფულჰემის“ ოფისში მივიდა და ინგლისელ ჟურნალისტებს ტერმინატორის იერით მიმართა: „ხომ ვამბობდი, რომ დავბრუნდებოდი!“

55 წლის სპეციალისმა „კრეივენ კოტეჯზე“ ორწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. ახლა იგი **მარკ ჰიუზს** შეცვლის. შეგახსენებთ, ტომ იოლი პრემიერლიგაში, ბოლოს, თითქმის ოთხი წლის წინ მუშაობდა. მაშინ ის „ტოტენჰემ ჰოთსპურმა“ დაითხოვა სამსახურიდან. იოლმა თქვა:

„არნოლდ შვარცენეგერის პერსონაჟის მსგავსად სულ ერთსა და იმავეს ვიმეორებდი: მე დავბრუნდები! და როგორც ხედავთ, დავბრუნდი! ინგლისი მსოფლიოში მთავარი საფეხბურთო ქვეყანაა. მიუხედავად იმისა, რომ „ტოტენჰემში“ ვილაც-ვილაცები ცუდად მომექცნენ. მე ინგლისელი ხალხი მიყვარს. უოლსოლში რომ ვცხოვრობდი, არადა, უოლსოლი საცხოვრებლად საუკეთესო ადგილი ნამდვილად არ არის, მაშინაც კი მიხაროდა ინგლისში ყოფნა.

გერმანიასა და ჰოლანდიაში ადამიანი შენს ნებაზე გრძნობ თავს. ინგლისში სხვა ვითარებაა, აქ გაკონტროლებენ, ფეხბურთელები გაიძულებენ საუკეთესო თვისებები გამოამჟღავნო და ლონდონიც დიდებული ქალაქია. მოკლედ, თუ კაცი ფეხბურთში მოღვაწეობ, პრემიერლიგაზე უკეთეს ადგილს ვერ ინატრებ“.

შემდეგ იოლს „ტოტენჰემის“ ამბები გაახსენეს. ჰოლანდიელმა ბრძანა, რომ მას „დეზებისთვის“ დასამტკიცებელი არაფერი აქვს და თუკი 2007 წლის განშორების გამო ვინმეს გული უნდა სწყდებოდეს, ეს, უპირველეს ყოვლისა, ჩრდილოლონდონური კლუბის თავმჯდომარე **დენიელ ლივი** უნდა იყოს.

„ინგლისში პირველად რომ ჩამოვედი დენიელს ვუთხარი, თუ ჩემს საქმეში არ ჩაერევი და მუშაობას მაცდი, ქუჩაში ხალხი მეფესავით მოგექცევა-მეთქი. სამწუხაროდ, მან ჩემი ნათქვამი ყურად არ იღო. პრობლემა კი ის იყო, რომ „სფურზში“ რაც ფეხბურთთან იყო დაკავშირებული, ყველაფერს დამიენ კომოლი („ლივერპულის“ საფეხბურთო საქმეთა ფრანგი დირექტორი, რომელიც ადრე „ტოტენჰემში“ მუშაობდა) ატრიალებდა. არადა, თუ გნებავთ, შეადარეთ: მე „ტოტენჰემში“ აარონ ლენონი და გარეთ ბეილი მივიყვანე, კომოლიმ კი ბენუა ასუ-ეკოტო. მაგრამ არა უშავს. გულში წყენა არ ჩამიდია. დენიელი ძალიან მიყვარს, კარგი კაცია.



მარტინ იოლი

არ მოვიტყუები, ლივიმ სამსახურიდან რომ გამაგდო, ძალიან მეწყინა, მაგრამ მალე გადამიარა, რადგან „ჰამბურგში“ წავედი, ეს კი ის გუნდია, რომელსაც 55 ათასი აბონემენტიანი ფანი დაუდის სტადიონზე. მე „ჰამბურგი“ ევროლიგის ნახევარფინალში გავიყვანე. სხვათა შორის, შემდეგ დენიელმა ისე დამირეკა, გეგონება არაფერი მომხდარიყო. მას ფეხბურთელის მოყიდვა უნდოდა“.

თუმცა, ეს ყველაფერი უკვე წარსულია. დღეს მარტინ იოლი „ფულჰემის“ თავკაცია და დასავლეთ ლონდონის ამ გუნდთან დაკავშირებით თავს არ იტყუებს.

„აქ, „კრეივენ კოტეჯზე“ არავინ ელის, რომ ჩემპიონთა ლიგაში თამაშის უფლებას მოიპოვებს. ჩვენ „არსენალის“ და „ტოტენჰემის“ კალიბრის კლუბი არ ვართ, მაგრამ ამბიციები ჩვენც გვაქვს“.

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცხოური ფეხბურთი

### გერმანია. ბუნდესლიგის კალენდარი

# ორთავიანი ბუნდესლიგა

**ბუნდესლიგის 2011-12 წლების სეზონის კალენდარი უკვე დადგენილია. გერმანიის პროფესიული ფეხბურთის ლიგის საიტზე ის უკვე გამოქვეყნდა. 5 აგვისტოს, მსოფლიოში ყველაზე დასწრებად საფეხბურთო ტურნირს მოქმედი ჩემპიონი "დორტმუნდი" შინ "ჰამბურგთან" დაპირისპირებით გახსნის. დანარჩენი გუნდები კი მეორე დღეს ჩაერთვებიან. წილისყრამ რამდენიმე საინტერესო წყვილის შეხვედრა "გვაჩუქა". შარშანდელი სეზონის იმედგაცრუება "ბაიერნი" გავარდნას ძლივს გადარჩენილ "მიონხენგლადბახს" მიიღებს. გერმანიის ყველაზე ტიტულოვანი კლუბების დაპირისპირება პირველ ტურში გარკვეულად ტრადიციასავით ჩამოყალიბდა. ასე გაიხსნა მაგალითად 1996-1997, 2001-2002, 2002-2003 და 2005-2006-ის სეზონები. დამაინტრიგებელია ასევე "შტუტგარტისა" და "შალკეს" შეხვედრაც. „ბაიერნისა" არ იყოს, არც "შალკეს" დაუკლია ხელი - მონწოდების სიმაღლეზე წინა წელს ისიც ვერ იდგა. ახლა კი მოკლედ მოგახსენებთ, თუ რას ვფიქრობთ ჩემპიონატის სავარაუდო გამარჯვებულებზე:**

## ფავორიტი №1: ბაიერნი

ზემოთაც აღვნიშნეთ, რომ რეკორდმაისტერმა წინა წელი ჩააგდო, თანაც ისე, რომ კარგა ხანია მსგავსი არაფერი დამართნია. 15 მარტს "ინტერთან" ჩემპიონთა ლიგაში გამოვარდნის შემდეგ, შეიძლება ითქვას, რომ გუნდმა სეზონი დაასრულა, რადგან ამ დროს ის ცხრილში მე-4 ადგილზე იყო, "დორტმუნდთან" ჩამორჩენა კი 16 ქულას აღწევდა. თუკი **იუპ ჰაინკესმა** გუნდს სტაბილურობა შესძინა, ლიდერები ტრავმებმა არ გაანამა და რაც მთავარია, **მარიო გომესმაც** შეინარჩუნა შარშანდელი ფორმა, მიუნხენელებს ჩემპიონობის გაფორმება... 30-ე ტურში დორტმუნდშივე შეეძლებათ. თამამი პროგნოზია, მაგრამ ჩვენ ვრისკავთ.

## ფავორიტი №2: დორტმუნდი

მოქმედი ჩემპიონების ახალგაზრდულ გუნდს დიდი გამოცდა ელის, წინ ხომ ჩემპიონთა ლიგაა! ტურნირი, რომელსაც დიდი ძალები სჭირდება. თუკი "ბორუსიამ" მოახერხა და შარშანდელი გუნდის ხერხემალი ბოლომდე შეინარჩუნა (**ნური შაჰინის** გამოკლებით, ვინც უკვე "რეალშია"), **იურგენ კლოპის** გუნდს შეეძლება ჩემპიონობისთვის ბრძოლა. აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ პერ კლოპს გერმანიაში ყველაზე პერსპექტიული გუნდი ჰყავს და მისგან ყველაფერი მოსალოდნელია.

ფავორიტი №3-ის გამორჩევა უკვე ძნელი საქმეა. შეიძლებოდა დაგვესახელებინა "შალკე" და "ლევერკუზენი", მაგრამ თავს შევიკავებთ. ჩვენი პროგნოზი ასეთია: ვერცხლის სინისთვის რეალურად მხოლოდ ორი გუნდი იბრძოლებს. მთავარი ინტრიგა კი შემდეგია, ვინ იქნება შარშანდელი "მაინცივით" გუნდი-გამოხტომა. **თომას ტუხელს** გაუჭირდება ანალოგიური სასწაულის გამეორება, რადგან გუნდის შარშანდელი ლიდერები მის განკარგულებაში უკვე აღარ არიან, **ლუის ჰოლტბი** "შალკემ" დაიბრუნა, **ანდრე შიურლეს** კი "ლევერკუზენთან" კონტრაქტი ჯერ კიდევ 2010 წლის შემოდგომაზე ჰქონდა გაფორმებული.

**ლევან ბიბილაშვილი**

**I ტური. 5 აგვისტო. 2011 წ.**

დორტმუნდი-ჰამბურგი

**6-7 აგვისტო**

ვერდერი-კაიზერსლაუტერნი
ჰანოვერი-ჰოფენჰაიმი
მაინცი-ლევერკუზენი
შტუტგარტი-შალკე
კიოლნი-ვოლფსბურგი
აუგსბურგი-ფრაიბურგი
ჰერტა-ნიურნბერგი
ბაიერნი-მიონხენგლადბახი

**II ტური. 13-14 აგვისტო**

ლევერკუზენი-ვერდერი
შალკე-კიოლნი
ჰამბურგი-ჰერტა
ნიურნბერგი-ჰანოვერი
ფრაიბურგი-მაინცი
კაიზერსლაუტერნი-აუგსბურგი
ჰოფენჰაიმი-დორტმუნდი
ვოლფსბურგი-ბაიერნი
მიონხენგლადბახი-შტუტგარტი

**III ტური. 19-21 აგვისტო**

დორტმუნდი-ნიურნბერგი
ბაიერნი-ჰამბურგი
ვერდერი-ფრაიბურგი
ჰანოვერი-ჰერტა
მაინცი-შალკე
შტუტგარტი-ლევერკუზენი
კიოლნი-კაიზერსლაუტერნი
მიონხენგლადბახი-ვოლფსბურგი
აუგსბურგი-ჰოფენჰაიმი

**IV ტური. 26-28 აგვისტო**

ლევერკუზენი-დორტმუნდი
შალკე-მიონხენგლადბახი
ჰამბურგი-კიოლნი
ჰანოვერი-მაინცი
ნიურნბერგი-აუგსბურგი
ფრაიბურგი-ვოლფსბურგი
კაიზერსლაუტერნი-ბაიერნი
ჰოფენჰაიმი-ვერდერი
ჰერტა-შტუტგარტი

**V ტური. 9-11 სექტემბერი**

დორტმუნდი-ჰერტა
ბაიერნი-ფრაიბურგი
ვერდერი-ჰამბურგი
მაინცი-ჰოფენჰაიმი
შტუტგარტი-ჰანოვერი
კიოლნი-ნიურნბერგი
ვოლფსბურგი-შალკე
მიონხენგლად.-კაიზერსლაუტერნი
აუგსბურგი-ლევერკუზენი

**VI ტური. 16-18 სექტემბერი**

ლევერკუზენი-კიოლნი
შალკე-ბაიერნი
ჰამბურგი-მიონხენგლადბახი
ჰანოვერი-დორტმუნდი
ნიურნბერგი-ვერდერი
ფრაიბურგი-შტუტგარტი
კაიზერსლაუტერნი-მაინცი
ჰოფენჰაიმი-ვოლფსბურგი
ჰერტა-აუგსბურგი

**VII ტური. 23-25 სექტემბერი**

ბაიერნი-ლევერკუზენი
შალკე-ფრაიბურგი
ვერდერი-ჰერტა
მაინცი-დორტმუნდი
შტუტგარტი-ჰამბურგი
კიოლნი-ჰოფენჰაიმი
ვოლფსბურგი-კაიზერსლაუტერნი
მიონხენგლადბახი-ნიურნბერგი
აუგსბურგი-ჰანოვერი

**VIII ტური. 30.09-02.10.2011**

დორტმუნდი-აუგსბურგი
ლევერკუზენი-ვოლფსბურგი
ჰამბურგი-შალკე
ჰანოვერი-ვერდერი
ნიურნბერგი-მაინცი
კაიზერსლაუტერნი-შტუტგარტი
ჰოფენჰაიმი-ბაიერნი
ჰერტა-კიოლნი
ფრაიბურგი-მიონხენგლადბახი

**IX ტური. 14-16 ოქტომბერი**

ბაიერნი-ჰერტა
შალკე-კაიზერსლაუტერნი
ვერდერი-დორტმუნდი
მაინცი-აუგსბურგი
ფრაიბურგი-ჰამბურგი
შტუტგარტი-ჰოფენჰაიმი
კიოლნი-ჰანოვერი
ვოლფსბურგი-ნიურნბერგი
მიონხენგლადბახი-ლევერკუზენი

**X ტური. 21-23.10.2011**

დორტმუნდი-კიოლნი
ლევერკუზენი-შალკე
ჰამბურგი-ვოლფსბურგი
ჰანოვერი-ბაიერნი
ნიურნბერგი-შტუტგარტი
კაიზერსლაუტერნი-ფრაიბურგი
ჰოფენჰაიმი-მიონხენგლადბახი
აუგსბურგი-ვერდერი
ჰერტა-მაინცი

**XI ტური. 28-30 ოქტომბერი**

ბაიერნი-ნიურნბერგი
შალკე-ჰოფენჰაიმი
ჰამბურგი-კაიზერსლაუტერნი
მაინცი-ვერდერი
ფრაიბურგი-ლევერკუზენი
შტუტგარტი-დორტმუნდი
კიოლნი-აუგსბურგი
ვოლფსბურგი-ჰერტა
მიონხენგლადბახი-ჰანოვერი

**XII ტური. 4-6 ნოემბერი**

დორტმუნდი-ვოლფსბურგი
ლევერკუზენი-ჰამბურგი
ვერდერი-კიოლნი
ჰანოვერი-შალკე
მაინცი-შტუტგარტი
ნიურნბერგი-ფრაიბურგი
ჰოფენჰაიმი-კაიზერსლაუტერნი
აუგსბურგი-ბაიერნი
ჰერტა-მიონხენგლადბახი

**XIII ტური. 18-20 ნოემბერი**

ბაიერნი-დორტმუნდი
შალკე-ნიურნბერგი
ჰამბურგი-ჰოფენჰაიმი
ფრაიბურგი-ჰერტა
კაიზერსლაუტერნი-ლევერკუზენი
შტუტგარტი-აუგსბურგი



კიოლნი-მაინცი
ვოლფსბურგი-ჰანოვერი
მიონხენგლადბახი-ვერდერი

**XIV ტური. 25-27 ნოემბერი**

დორტმუნდი-შალკე
ვერდერი-შტუტგარტი
ჰანოვერი-ჰამბურგი
მაინცი-ბაიერნი
ნიურნბერგი-კაიზერსლაუტერნი
ჰოფენჰაიმი-ფრაიბურგი
კიოლნი-მიონხენგლადბახი
აუგსბურგი-ვოლფსბურგი
ჰერტა-ლევერკუზენი

**XV ტური. 2-4 დეკემბერი**

ლევერკუზენი-ჰოფენჰაიმი
ბაიერნი-ვერდერი
შალკე-აუგსბურგი
ჰამბურგი-ნიურნბერგი
ფრაიბურგი-ჰანოვერი
კაიზერსლაუტერნი-ჰერტა
შტუტგარტი-კიოლნი
ვოლფსბურგი-მაინცი
მიონხენგლადბახი-დორტმუნდი

**XVI ტური. 9-11 დეკემბერი**

დორტმუნდი-კაიზერსლაუტერნი
ვერდერი-ვოლფსბურგი
ჰანოვერი-ლევერკუზენი
მაინცი-ჰამბურგი
ნიურნბერგი-ჰოფენჰაიმი
შტუტგარტი-ბაიერნი
კიოლნი-ფრაიბურგი
აუგსბურგი-მიონხენგლადბახი
ჰერტა-შალკე

**XVII ტური. 16-18 დეკემბერი**

ლევერკუზენი-ნიურნბერგი
ბაიერნი-კიოლნი
შალკე-ვერდერი
ჰამბურგი-აუგსბურგი
ფრაიბურგი-დორტმუნდი
კაიზერსლაუტერნი-ჰანოვერი
ჰოფენჰაიმი-ჰერტა
ვოლფსბურგი-შტუტგარტი
მიონხენგლადბახი-მაინცი

**XVIII. 20-22 იანვარი. 2012 წ.**

ლევერკუზენი-მაინცი
შალკე-შტუტგარტი
ჰამბურგი-დორტმუნდი
ნიურნბერგი-ჰერტა
ფრაიბურგი-აუგსბურგი
კაიზერსლაუტერნი-ვერდერი
ჰოფენჰაიმი-ჰანოვერი
ვოლფსბურგი-კიოლნი
მიონხენგლადბახი-ბაიერნი

**XIX ტური. 27-29 იანვარი**

დორტმუნდი-ჰოფენჰაიმი
ბაიერნი-ვოლფსბურგი
ვერდერი-ლევერკუზენი
ჰანოვერი-ნიურნბერგი
მაინცი-ფრაიბურგი
შტუტგარტი-მიონხენგლადბახი
კიოლნი-შალკე
აუგსბურგი-კაიზერსლაუტერნი
ჰერტა-ჰამბურგი

**XX ტური. 3-5 თებერვალი**

ლევერკუზენი-შტუტგარტი
შალკე-მაინცი
ჰამბურგი-ბაიერნი
ნიურნბერგი-დორტმუნდი
ფრაიბურგი-ვერდერი
კაიზერსლაუტერნი-კიოლნი
ჰოფენჰაიმი-აუგსბურგი
ვოლფსბურგი-მიონხენგლადბახი
ჰერტა-ჰანოვერი

**XXI ტური. 10-12 თებერვალი**

დორტმუნდი-ლევერკუზენი
ბაიერნი-კაიზერსლაუტერნი
ვერდერი-ჰოფენჰაიმი
მაინცი-ჰანოვერი
შტუტგარტი-ჰერტა
კიოლნი-ჰამბურგი
ვოლფსბურგი-ფრაიბურგი
მიონხენგლადბახი-შალკე
აუგსბურგი-ნიურნბერგი

**XXII ტური. 17-19 თებერვალი**

ლევერკუზენი-აუგსბურგი
შალკე-ვოლფსბურგი
ჰამბურგი-ვერდერი
ჰანოვერი-შტუტგარტი
ნიურნბერგი-კიოლნი
ფრაიბურგი-ბაიერნი
კაიზერსლაუტერნი-მიონხენგლად.
ჰოფენჰაიმი-მაინცი
ჰერტა-დორტმუნდი

**XXIII ტური. 24-26 თებერვ. 2012**

დორტმუნდი-ჰანოვერი
ბაიერნი-შალკე
ვერდერი-ნიურნბერგი
მაინცი-კაიზერსლაუტერნი
შტუტგარტი-ფრაიბურგი
კიოლნი-ლევერკუზენი
ვოლფსბურგი-ჰოფენჰაიმი
მიონხენგლადბახი-ჰამბურგი
აუგსბურგი-ჰერტა

**XXIV ტური. 3-4 მარტი**

დორტმუნდი-მაინცი
ლევერკუზენი-ბაიერნი
ჰამბურგი-შტუტგარტი
ჰანოვერი-აუგსბურგი
ნიურნბერგი-მიონხენგლადბახი
ფრაიბურგი-შალკე
კაიზერსლაუტერნი-ვოლფსბურგი
ჰოფენჰაიმი-კიოლნი
ჰერტა-ვერდერი

**XXV ტური. 9-11 მარტი**

ბაიერნი-ჰოფენჰაიმი
შალკე-ჰამბურგი
ვერდერი-ჰანოვერი
მაინცი-ნიურნბერგი
შტუტგარტი-კაიზერსლაუტერნი
კიოლნი-ჰერტა
ვოლფსბურგი-ლევერკუზენი
მიონხენგლადბახი-ფრაიბურგი
აუგსბურგი-დორტმუნდი

**XXVI ტური. 16-18 მარტი**

დორტმუნდი-ვერდერი
ლევერკუზენი-მიონხენგლადბახი
ჰამბურგი-ფრაიბურგი
ჰანოვერი-კიოლნი
ნიურნბერგი-ვოლფსბურგი
კაიზერსლაუტერნი-შალკე
ჰოფენჰაიმი-შტუტგარტი
აუგსბურგი-მაინცი
ჰერტა-ბაიერნი

**XXVII ტური. 23-25 მარტი**

ბაიერნი-ჰანოვერი
შალკე-ლევერკუზენი
ვერდერი-აუგსბურგი
მაინცი-ჰერტა
ფრაიბურგი-კაიზერსლაუტერნი
შტუტგარტი-ნიურნბერგი
კიოლნი-დორტმუნდი
ვოლფსბურგი-ჰამბურგი
მიონხენგლადბახი-ჰოფენჰაიმი

**XXVIII ტური. 30 მარტი-1 აპრილი**

დორტმუნდი-შტუტგარტი
ლევერკუზენი-ფრაიბურგი
ვერდერი-მაინცი
ჰანოვერი-მიონხენგლადბახი
ნიურნბერგი-ბაიერნი
კაიზერსლაუტერნი-ჰამბურგი
ჰოფენჰაიმი-შალკე
აუგსბურგი-კიოლნი
ჰერტა-ვოლფსბურგი

**XXIX ტური. 7-8 აპრილი**

ბაიერნი-აუგსბურგი
შალკე-ჰანოვერი
ჰამბურგი-ლევერკუზენი
ფრაიბურგი-ნიურნბერგი
კაიზერსლაუტერნი-ჰოფენჰაიმი
შტუტგარტი-მაინცი
კიოლნი-ვერდერი
ვოლფსბურგი-დორტმუნდი
მიონხენგლადბახი-ჰერტა

**XXX ტური. 10-11 აპრილი**

დორტმუნდი-ბაიერნი
ლევერკუზენი-კაიზერსლაუტერნი
ვერდერი-მიონხენგლადბახი
ჰანოვერი-ვოლფსბურგი
მაინცი-კიოლნი
ნიურნბერგი-შალკე
ჰოფენჰაიმი-ჰამბურგი
აუგსბურგი-შტუტგარტი
ჰერტა-ფრაიბურგი

**XXXI ტური. 13-15 აპრილი**

ლევერკუზენი-ჰერტა
ბაიერნი-მაინცი
შალკე-დორტმუნდი
ჰამბურგი-ჰანოვერი
ფრაიბურგი-ჰოფენჰაიმი
კაიზერსლაუტერნი-ნიურნბერგი
შტუტგარტი-ვერდერი
ვოლფსბურგი-აუგსბურგი
მიონხენგლადბახი-კიოლნი

**XXXII. 20-22 აპრილი**

დორტმუნდი-მიონხენგლადბახი
ვერდერი-ბაიერნი
ჰანოვერი-ფრაიბურგი
მაინცი-ვოლფსბურგი
ნიურნბერგი-ჰამბურგი
ჰოფენჰაიმი-ლევერკუზენი
კიოლნი-შტუტგარტი
აუგსბურგი-შალკე
ჰერტა-კაიზერსლაუტერნი

**XXXIII. 28 აპრილი**

ლევერკუზენი-ჰანოვერი
ბაიერნი-შტუტგარტი
შალკე-ჰერტა
ჰამბურგი-მაინცი
ფრაიბურგი-კიოლნი
კაიზერსლაუტერნი-დორტმუნდი
ჰოფენჰაიმი-ნიურნბერგი
ვოლფსბურგი-ვერდერი
მიონხენგლადბახი-აუგსბურგი

**XXXIV. 5 მაისი**

დორტმუნდი-ფრაიბურგი
ვერდერი-შალკე
ჰანოვერი-კაიზერსლაუტერნი
მაინცი-მიონხენგლადბახი
ნიურნბერგი-ლევერკუზენი
შტუტგარტი-ვოლფსბურგი
კიოლნი-ბაიერნი
აუგსბურგი-ჰამბურგი
ჰერტა-ჰოფენჰაიმი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ. ვალტერ ძენგა

# ძენგა და ფეხბურთი



28 აპრილს არაბთა გაერთიანებული საამიროების კლუბ "ალ ნასრის" ფეხბურთელებმა თავის მწვრთნელს, სახელგანთქმულ იტალიელ ვალტერ ძენგას 51-ე დაბადების დღეზე სიურპრიზი მოუწყვეს – უზარმაზარი ტორტი აჩუქეს. ამ საჩუქარმა ძენგას გაახსენა, რომ მან უკვე შეაბიჯა მეექვსე ათწლეულში. სინიორ ვალტერი ყოველთვის გამოირჩეოდა ადამიანებთან ურთიერთობის უნარით. სწორედ ამიტომაა, რომ მასთან ინტერვიუს აღება არასოდეს ყოფილა პრობლემა. ამჯერად მას ფიფას ვებგვერდის კორესპონდენტი ელაპარაკა. მასალას ჩვენ მცირე შემოკლებით გთავაზობთ.

**- როგორ მოგწონთ სპარსეთის ყურეში ცხოვრება?**

- რა თქმა უნდა, აქ ყველაფერი განსხვავებულია იმისგან, რასაც ადრე ვიყავი მიჩვეული. ყველა ადგილს აქვს თავისი სპეციფიკა. არაბულ ქვეყნებში ცხოვრების წესი ჰგავს თურქულს. რაც შეეხება ფეხბურთს, ის თავად ცდილობს შეინარჩუნოს თავისთავადობა, მიუხედავად იმისა, სად იმყოფებით. მე კი ვცდილობ, აქ ევროპული პროფესიონალიზმი დავნერგო, ის, რაც ყველაზე მეტად აკლია აქაურობას. ჩემი საქმიანობა სწორედ იმას ემსახურება, რომ გამოვავლინო საუკეთესო თვისებები ფეხბურთელებში.

**- ოდესმე თუ გიფიქრიათ, რომ ფეხბურთი ამ ქვეყანაში მოგიყვანდათ?**

- ხანდახან არ გაქვს ხოლმე დრო, რომ დაფიქრდე. ფეხბურთის გამო, როგორც ფეხბურთელი ამერიკაში წავედი, კარიერა სწორედ იქ დავასრულე და მწვრთნელობა "ნიუ ინგლენდ რევოლუშენში" დავიწყე. ამის მერე იტალიაში წავედი, ბოლო წლებში კი რამდენიმე ქვეყანასა და რამდენიმე კლუბში მომახვედრა ბედმა.

**- ადვილი იყო თქვენთვის ამ საქმის დაწყება? ხალხი ფიქრობს, რომ მეკარემ მეკარეთა მწვრთნელობას უნდა მიჰყოს ხელი.**

- იცით რა, ისეთი ცნება, როგორიცაა "იოლი სამუშაო", არ არსებობს. ხოლო მოსაზრება, რომ მეკარე არ შეიძლება კარგი მწვრთნელი დადგეს, ერთ-ერთი ის სულელური მითია, რაც მომისმენია. ამის არანაირი წინაპირობა არ არსებობს. ფეხბურთში ზოგადად ძალიან ბევრი ცრურწმენაა. ყოველთვის ვეკითხები ხოლმე ადამიანებს, განა არ გაუგიათ რუმინეთში ვალენტინ სტანესკუს, ბელგიაში კი მიშელ პრუიდომის მაგალითები. ისინი ამტკიცებენ, რომ მეკარესაც შეუძლია გახდეს კარგი სპეციალისტი.

**- როგორ აღწერდით თქვენს კარიერას დღეს?**

- კმაყოფილი ვარ იმით, რასაც მივაღწიე. აგერ 40 წელია ფეხბურთით ვცხოვრობ და ეს დასასრული ჯერ კიდევ არ არის. როგორც სხვების შემთხვევაში ხდება ხოლმე, იყო მშვენიერი მომენტები და იყო ცუდი პერიოდებიც ჩემს კარიერაში. თუმცა ცხოვრებამ მასწავლა, რომ უკან არ უნდა მოვიხედო. ჩემი ფეხბურთელობის დროინდელ არც ერთ ფოტოს არ ვინახავ შინ. რაც არის არის, ყველაფერი წარსულია. რა მნიშვნელობა აქვს იმას, რა იყო 20 წლის წინ. მე მხოლოდ აწმყოსა და მომავალზე ვფიქრობ. ბევრი რამ მინახავს კარიერის განმავლობაში და ყველაფერმა ერთად მე მაქცია გამოცდილ ადამიანად. ცხრა წლის ვიყავი, როცა ეს ყველაფერი დაიწყო, ვითამაშე უმაღლეს დონეზე, ახლა მწვრთნელი ვარ. ერთადერთი, სადაც დავბრუნდებოდი, ეს 1990 წლის იტალიის ნაკრებია, თუმცა ესეც წარსულია.

**- რას გამოყოფდით თქვენი კარიერიდან?**

- ღმერთმა მომცა ტალანტი და მე ის არ გამიფლანგავს. როგორც ფეხბურთელმა, ბევრ რამეს მივაღწიე: ვითამაშე მსოფლიოს ჩემპიონატზე, ჩემი ქვეყნის ნაკრების ღირსება მრავალჯერ დავიცავი. კლუბებს შორის კი სადაც მითამაშია, "ინტერს" ავარჩევდი, იქ ხომ ტიტულები მოვიგე.

**- ოცნებობთ "ინტერის" მწვრთნელობაზე?**

- სამუშაო რომ შემომთავაზონ, რა თქმა უნდა, უარს არ ვიტყვი, მაგრამ ოცნებებში ცხოვრება არ მიყვარს. არ ვფიქრობ, რომ უნდა ვიჯდე და ბედნიერება თავისით მოვა ჩემთან. მიყვარს ჩემი საქმე და ამიტომაც მირჩევნია კონცენტრირებული ვიყო. მაგალითად ამ წუთას "ალ ნასრზე". ყველაფერს ვაკეთებ, რომ გუნდი მაქსიმალურად გაძლიერდეს.

**- ვილაცები ამბობენ, რომ აქ თქვენმა მუშაობამ შეიძლება თქვენს შანსებზე იმოქმედოს, რომ ოდესმე ისევ ევროპაში დაბრუნდეთ სამუშაოდ.**

- სულაც არ მაინტერესებს, თუკი ვინმე მიიჩნევს, რომ მე საწყალი მწვრთნელი ვარ და უკან დავიხიე, რადგან ევროპაში აღარ ვმუშაობ. მე ვარ იქ, სადაც უნდა ვიყო. აქაურობა ძალიანაც მომწონს და სხვა რამეზე ფიქრისთვის დრო ნამდვილად არ მრჩება. წინა შემთხვევების მსგავსად, ახლაც კარგ კლუბში ვმუშაობ.

**- რა იყო ყველაზე დიდი პრობლემა, რომელსაც მწვრთნელობის დროს შეეჯახეთ?**

- ენობრივი ბარიერი. „კატანიასა" და "პალერმოში" ყველაფერი მარტივად იყო. მე ვლაპარაკობ ინგლისურად, მაგრამ ის არ არის ჩემი მშობლიური ენა. მაგალითად „ალ ნასრში" ჩემი ნალაპარაკები სამ ენაზე ითარგმნება, ფრანგულად ისმაელ ბანგურასთვის, ესპანურად ლიმასთვის და დანარჩენებისთვის არაბულად. ძნელია, როცა ლოდინი გიწევს, თუ როდის გადაითარგმნება ყოველი დეტალი. ძნელია ამის შემდეგ ფიქრების ხელახლა მოკრება.

**- როგორ ატარებთ დროს დუბაიში?**

- საწვრთნელი პროცესის მომზადება, ვარჯიში, თამაშები – საქმე ბევრია. ამ ყველაფერს საშუალოდ სადღაც 5-6 საათი მიაქვს. ფეხბურთს მიღმა კი დროს ოჯახთან ერთად ვატარებ. შვილებთან ერთად ვთამაშობ, ან მეგობრებთან ერთად სადმე ვსადილობ.

**- ფაბიო კანავაროს თუ შეხვდით?**

- ჩვენ მეგობრები ვართ, ერთ ქვეყანაში ვცხოვრობთ და ჩვენი მეუღლეებიც კარგად უგებენ ერთმანეთს.

**- თავის დროზე თქვენი შვილის, სამირასთვის რატომ აარჩიეთ არაბული სახელი?**

- ჩემი მეუღლე რვა ენას ფლობს, მათ შორის არაბულს. სწავლით კი ის რუმინეთში სწავლობდა. მე, ისევე როგორც მას, მიყვარს ეს სამყარო და ამიტომაც გადავწყვიტე ასე მოვქცეულიყავი. ერთი შვილი თუ კიდევ გვეყოლება, მასაც არაბულ სახელს დავარქმევთ.

**- არაბთა გაერთიანებული საამიროები რითი განსხვავდება საუდის არაბეთისგან?**

- ჩემი აზრით, არც ისეთი სხვაობაა. ტრადიციები და ჩვეულებები მსგავსია, ფეხბურთში კი მცირე სხვაობა ნამდვილად არის. საუდის არებეთში ხალხს უფრო უყვარს ფეხბურთი. 30-40 ათასი ფანი ტრიბუნებზე არავის უკვირს, აქ კი სტადიონები შედარებით ცარიელია.

**- როგორ ფიქრობთ, "ინტერი" მოახერხებს სკუდეტოს მოგებას ამ სეზონში?**

- არ შემიძლია ამის გამოცნობა. დროში სხვაობის გამო სერია A-ს თვალს ნაკლებად ვადევნებ.

ამბები

## კოკა სახელად რემი გარდი

### ლიონს წყაროდან შამპანურის მოტანა უნდა



რემი გარდი

გუშინ დილას საინფორმაციო სააგენტო "როიტერმა" არცთუ ისე მოულოდნელი ინფორმაცია გაავრცელა: "ლიონი" უახლოეს საათებში მთავარ მწვრთნელს წარადგენსო. თავად ეს ამბავი დიდი არაფერი, მაგრამ კანდიდატურა კი იყო ცოტა დამაინტრიგებელი. ლაპარაკია **კლოდ პიუელის** ყოფილ ასისტენტ **რემი გარდზე**. სპეციალისტზე, რომელსაც აქამდე მთავარ მწვრთნელად არასოდეს უმუშავია. "ფრანს ფუტბოლმა" უმალ შეგვახსენა, რომ მუსიე რემი, როგორც ფეხბურთელი, "ლიონის" ღირსებას 6 წლის განმავლობაში, 1987-დან 1993-მდე იცავდა, კარიერის დასრულების შემდეგ კი კლუბში ძირითადად ტექნიკური პოსტები ეკავა.

შუადღეზე სპეციალური პრესკონფერენცია დაგეგმილ დროს დაიწყო. ჟურნალისტებთან შეხვედრას, როგორც მოსალოდნელი იყო, პრეზიდენტი **ჟან-მიშელ ოლა** წარუძღვა. მან საზოგადოებას აუწყა, რომ ხელშეკრულება ერთი წლით გაფორმდა, მისი გაგრძელების პერსპექტივით. ბატონმა პრეზიდენტმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება გარდისთვის გუნდის ჩაბარებაზე მან და მისმა მრჩეველმა **ბერნარ ლაკომბმა** ერთხმად მიიღეს. აი, რა განაცხადა შეხვედრის დასასრულს თავად ახალმა მწვრთნელმა: *"ვამაყობ, რომ ჩემმა კლუბმა ამხელა ნდობა გამომიცხადა. "ლიონში" თავს ყოველთვის ისე ვგრძნობდი, როგორც სახლში. ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ ხელმძღვანელობისგან მხარდაჭერას ვგრძნობ. სიმართლე გითხრათ, დიდხანს ფიქრი გადაწყვეტილების მისაღებად არ დამჭირვებია. ჩემთვის ეს ნიშნავს ძალიან დიდ ნაბიჯს წინ. მიმაჩნია, რომ ამხელა ტვირთის ზურგზე წამოსაკიდებლად მზად ვარ. ჩემ წინ ძალიან მაღალი თამასაა გადებული, რადგან ვალდებულნი ვართ, "ლიონს" ის ძველი მდგომარეობა დავუბრუნოთ, რამდენიმე წლის წინ რომ იყო. აუცილებლად შევეცდებით ლამაზი თამაშის ჩვენებას და შედეგების ისე მიღწევას. არსენ ვენგერს ველაპარაკე და მან მითხრა, რომ თუკი გუნდი თამაშისგან სიამოვნებას ვერ მიიღებს, ვერც სასურველ ტიტულებს მოიპოვებსო".*

ვინც არ რისკავს, შამპანურსაც ვერ სვამსო, გაგვიგია, მაგრამ კოკა წყალს ყოველთვის რომ ვერ მოიტანს, ეგეც ნათქვამია. რამდენად გამძლე გამოდგება კოკა სახელად რემი გარდი და მოიტანს თუ არა ის წყაროდან შამპანურს, ამას მხოლოდ დრო გვაჩვენებს.

## პორტუმ თავკაცი იპოვა

თანამდებობიდან **ანდრეს ვილას-ბოასის** გადადგომის შემდეგ "პორტუს" ახალი დამრიგებელი დიდხანს არ უძებნია. გუნდს მისი ერთ-ერთი თანაშემწე **ვიტორ პერეირა** ჩაიბარებს. ევროპის ლიგის გამარჯვებულ გუნდში მისვლა და ამბიციურ ამოცანებთან შეჭიდება რთული საქმეა. თავად მწვრთნელს ეს ესმის: *"მადლობას ვუხდი კლუბის პრეზიდენტს, მთლიანად ხელმძღვანელობას ჩემდამი ნდობისთვის. მინდა დაგარწმუნოთ, რომ "პორტუ" გააგრძელებს გამარჯვებათა გზას. ოპტიმიზმის საფუძველს ის მაძლევს, რომ ჩვენს გუნდს ჯერ კიდევ შეუძლია მომატება. პროგრამა მინიმუმი პორტუგალიის ჩემპიონატის მოგება იქნება, მეტს თუ შევნდებით, მთლად უკეთესი".*

"პორტუს" პრეზიდენტ **პინტუ და კოშტას** ჟურნალისტებმა ვილას-ბოასთან კონტრაქტის განყვეტაზე კომენტარი სთხოვეს: *"ჩვენ ანდრეზე გაბრაზებულები არ ვართ, რადგან კლუბმა მასთან კონტრაქტის განყვეტის სანაცვლოდ მშვენიერი კომპენსაცია მიიღო. ესეც რომ არა, მასთან ერთად გუნდი წარმოუდგენელ სიმაღლეებს შესწვდა. ამ გამარჯვებებში კი მისი წილის გადაფასება წარმოუდგენელია. არა, მასზე გაბრაზების მართლა არანაირი ობიექტური საფუძველი არ გვაქვს".*

## მოლაპარაკებები არ ყოფილა

"აიაქსის" 23 წლის მარჯვენა მცველის **გრეგორი ვან დერ ვილის** შესახებ "რომასთან" არანაირი მოლაპარაკებები არ ყოფილაო, - განაცხადა მისმა აგენტმა **ჰაკიმ სილმანიმ**. არადა, იტალიური წყაროები ამტკიცებდნენ, რომ ყველაფერი უკვე გადაწყვეტილიაო. მათ ამის თქმის საფუძველს ის აძლევდა, რომ პრესამ "რომას" სპორტული დირექტორი **ვალტერ საბატინი** ამსტერდამში ნახა. რატომ ესტუმრებოდა ამ ქალაქს, ძნელი მისახვედრი ალბათ არ უნდა იყოს. თუმცა ფეხბურთელის აგენტი შეხვედრის ფაქტს უარყოფს: *"გარწმუნებთ, "რომას" ოფიციალურ წარმომადგენლებს ამ საკითხზე არ შევხვედრივარ. ამ წუთას ყველაფერი მშვიდად არის. გრეგორის ხომ "აიაქსთან" კონტრაქტი კიდევ ორი წლით აკავშირებს. არც კლუბს სურს ფეხბურთელის გაყიდვა, მით უფრო, რომ როგორც ვიცი, მათ ოფიციალურად არც ერთი წინადადება, არც "რომასგან" და არც სხვებისგან, ჯერ არ მიუღიათ. რა მოხდება უახლოეს 2 თვეში, ამას ვნახავთ. ჩემი კლიენტი კი ამ წუთას შვებულებაშია და მშვიდად ისვენებს".*

## იუვე: მატრი, პეპე, მოტა და კვალიარელა

"იუვენტუსის" ფეხბურთელები **ალესანდრო მატრი, სიმონე პეპე, მარკო მოტა** და **ფაბიო კვალიარელა** კლუბში დარჩებიან, - გვამცნობს "ქალბატონის" ოფიციალური საიტი. გასულ წელს ისინი გუნდში იჯარის წესით თამაშობდნენ და ტურინელებმა მათი ტრანსფერების გამოსყიდვა გადაწყვიტეს. ასე რომ, "კალიარი" მატრიში 10,5 მილიონს მიიღებს, "უდინეზე" პეპეში – 7,5-ს, მოტაში 3,75-ს, "ნაპოლი" კი კვალიარელას 10,5 მილიონად შეელევა. პირველმა სამმა "ბიანკონერისთან" 4-4-წლიანი კონტრაქტები დადო, უკანასკნელმა - 3-იანი.

## არნახული ჯარიმა დიეგოს

"ვოლფსბურგის" ბრაზილიელი ნახევარმცველი **დიეგო რიბასი** კლუბმა ფეხბურთის ისტორიაში ალბათ ყველაზე სოლიდური თანხით დააჯარიმა – სამხრეთამერიკელი ნახევარ მილიონ ევროს გადაიხდის. ყოველ შემთხვევაში ამ თანხას ასახელებენ გერმანული ვებგვერდები, თავად კლუბის პრესსამსახური ადასტურებს, რომ ჯარიმა მართლაც სერიოზულია, მაგრამ კონკრეტულ ციფრს არ ამხელს.

შეგახსენებთ, თუ რა გახდა "მგლების" ხელმძღვანელობის გაბრაზების საფუძველი: გასული სეზონის 34-ე ტურის მატჩში **ფელიქს მაგათმა** ფეხბურთელი "ჰოფენჰაიმთან" მატჩის (1:3 "ვოლფების" სასარგებლოდ) განაცხადში არ შეიყვანა, რის გამოც ბრაზილიელი გაბრაზდა ისე, რომ ნებართვა არავისთვის უთხოვია, დატოვა სასტუმრო, სადაც კლუბი ცხოვრობდა და მატჩის მიმდინარეობისას არც "რაინ-ნეკარ-არენაზე" გამოჩენილა.

გვერდი მოამზადა
ლევან ბიბილაშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბარსელონა. სეზონის სტატისტიკური შეჯამება

# გენიოსები ციფრებში

## ბარსას გაბრწყინების სტატისტიკური საიდუმლოებები




და მაინც, რის ხარჯზე მიაღწია წარმატებას „ბარსელონამ", რომელსაც ბოლო სეზონში ყოზე მოურინიოს „რეალის" სახით მოძლიერებული კონკურენტი ჰყავდა? ხოსეპ გვარდიოლას ბიჭები აგერ უკვე სამი სეზონია, მუდმივ პროგრესში არიან, ახალ და ახალ სიმაღლეებს იპყრობენ. ამიტომაც, „რეალს" გაძლიერებამ ვერ უშველა, რადგან თავად „ბარსამაც" მოუმატა. ეს ყველაფერი კი ძალიან კარგად გამოჩნდება, თუკი, ჩვენი აზრით, ძალზე საინტერესო სტატისტიკურ ცხრილებს ჩაუსხდებით. მოკლედ, შესავალი რომ არ გაგვიგრძელდეს (აბა, „ბარსაზე" ახალს რას ვიტყვით), პირდაპირ საქმეზე გადავიდეთ...

### გოლები და საგოლე პასები

**ლიონელ მესი** „ბარსელონას" ბომბარდირია. მან ლა ლიგაში 31 გოლი გაიტანა და ევროპის ნებისმიერ ქვეყანაში ამ მაჩვენებლით საუკეთესო იქნებოდა, მაგრამ არგენტინელი ესპანეთში ბომბარდირი ვერ გახდა - **კრიშტიანო რონალდომ** სეზონის ბოლოს თავი გაიგიჟა და ისტორიული რეკორდი დაამხო - 40 გოლი გაიტანა! თუკი გოლებში ერთ კონკურენტს მაინც ჩამორჩა, საგოლე პასებში მესის ბადალი მთელ ლა ლიგაში არ ჰყავდა და, ბუნებრივია, არც - „ბარსელონაში". ქვემოთ ცხრილში იმასაც ნახავთ, თუ ვინ იყვნენ საგოლე პასების ადრესატები. ეს სტატისტიკა საკმაოდ საინტერესო დაკვირვების საშუალებას იძლევა - მაგალითად, რომელ ფეხბურთელს ვისთან უფრო გამოსდის თამაში.

გოლები: **მესი (31), ვილია (18), პედრო (13), ინიესტა (8), კრკიჩი (6), პიკე, ჩავი, კეიტა (3), ტ. ალკანტარა, დ. ალვეში (2), ხეფრენი, ბარტრა, პუიოლი, აფელაი, ბუსკეტსი (1); აკასიეტე (ალმერია) - 1 ს. კ.**

| საგოლე პასები | | |
|---|---|---|
| ფეხბ. | პასი | ვის |
| მესი | 18 | 8 ვილია, 4 პედრო, 3 კრკიჩი, 2 ალკანტარა, 1 პიკე |
| ალვეში | 15 | 6 მესი, 3 ვილია, 2 პედრო, 1 ჩავი, ინიესტა, ბარტრა, კრკიჩი |
| პედრო | 7 | 3 მესი, 2 ინიესტა, 1 ვილია, ბუსკეტსი |
| ჩავი | 7 | 2 ვილია, 1 კეიტა, ინიესტა, პიკე, პუიოლი, პედრო |
| ვილია | 5 | 4 მესი, 1 კეიტა |
| ინიესტა | 3 | 1 ვილია, ჩავი, მესი |
| ბუსკეტსი | 3 | 2 ვილია, პიკე |
| მაქსველი | 2 | 1 აკასიეტე (ს.კ.), ჩავი |
| კრკიჩი | 2 | 1 ხეფრენი, მესი |
| კეიტა | 2 | 1 მესი, პედრო |
| ხეფრენი | 1 | 1 ვილია |
| ს. რობერტო | 1 | 1 აფელაი |
| პიკე | 1 | 1 ინიესტა |
| ადრიანო | 1 | 1 მესი |
| ფონტასი | 1 | 1 პედრო |

### დაცვას მიხედეს, თან როგორ!

„ბარსელონას" მთელ სეზონში 21 გოლი გაუტანეს. ეს 19-მა ფეხბურთელმა მოახერხა და მხოლოდ ორმა შეძლო 1-ზე მეტი გოლის გატანა კატალონიელთა კარში. სეზონის დასაწყისში პარაგვაელმა **ნელსონ ვალდესმა** ნამდვილი ფურორი მოახდინა, როცა „კამპ ნოუზე" დუბლი შეასრულა და „ერკულესს" სენსაციურად მოაგებინა. 2 გოლი გაუტანა „ბარსას" „ხეტაფეს" კაპიტანმა (ახლა კი „სევილიას" ახალწვეულმა) **მანუ დელ მორალმაც**, თუმცა ერთი მან პენალტის ნიშნულიდან შეაგდო. 21-დან 11 გოლი ესპანელების ანგარიშზეა, 3 ურუგვაელების (**სტუანი, სება ფერნანდესი, იფრანი**). 2-2 პარაგვაელებისა (ვალდესი) და პორტუგალიელების (**რონალდო, დუდა**) ანგარიშზეა, თითო ბრაზილიელის (**ნილმარი**), ეკვადორელისა (**კაისედო**) და იტალიელის (**ოსვალდო**) ანგარიშზეა.

### პეპის არმია და რეზერვი

ხოსეპ გვარდიოლამ სეზონში 28 ფეხბურთელი გამოიყენა, კიდევ 4 ერთხელ მაინც მოხვდა განაცხადში, თუმცა არც ერთხელ არ უთამაშია (**მინიო, ოლასაბალი, ვასკესი, დეულოფეუ**).

ჩემპიონატში ყველაზე მეტი დრო მოედანზე **დანი ალვეშმა** გაატარა - 2 900 წუთი. 28 წლის ბრაზილიელს სულ ცოტათი ჩამორჩა **ვიქტორ ვალდესი** - 2 880 წუთი. მესამე ადგილზე ლეო მესია - 2 859 წუთი. ყველაზე ცოტა ითამაშა 19 წლის **ორიოლ რომეუმ** - 8 წუთი. მასზე ოდნავ მეტი მოუწიათ თამაშმა **ნოლიტოს** (14 წთ) და **მარტინ მონტოიას** (19 წთ). სასტარტო შემადგენლობაში ყველაზე მეტჯერ, 32-32-ჯერ მოხვდნენ **დავიდ ვილია, ანდრეს ინიესტა** და ვიქტორ ვალდესი. მხოლოდ ორი ფეხბურთელია, რომელსაც თამაში კი მოუწია, მაგრამ სასტარტოში - არა (ნოლიტო და ორიოლ რომეუ). ყველაზე მეტჯერ ტყუილუბრალოდ იჯდა სათადარიგოთა სკამზე მეკარე **ხოსე პინტო** - 31-ჯერ მისი თამაშში ჩართვა პეპს არ დასჭირვებია. 23-ჯერ იყო სათადარიგო და მოედანზე 18-ჯერ შევიდა **ბოიან კრკიჩი. სეიდუ კეიტას** შემთხვევა უფრო შთამბეჭდავია - 23-დან 20 შემთხვევაში ის თამაშში ჩაერთო. **ხავიერ მასკერანოს**, რამდენჯერაც იჯდა სათადარიგოთა სკამზე (18), იმდენჯერ მოუწია მოედანზე გასვლამ. მაშინ, როცა **ადრიანო კორეიას** 21-დან 4-ჯერ მისცეს თამაშის შანსი.

**მეკარეები:** ვალდესი (32 თ), პინტო (6).

**მცველები:** დ. ალვეში (35), პიკე (31), აბიდალი (26), მაქსველი (25), პუიოლი (17), ადრიანო (15), მილიტო (10), ფონტასი (6), ბარტრა (2), მონტოია (2).

**ნახევარმცველები:** კეიტა (35), ინიესტა (34), ჩავი (31), ბუსკეტსი (28), მასკერანო (27), აფელაი (16), ტ. ალკანტარა (12), ჯონათანი (2), რომეუ (1), ს. რობერტო (1).

**თავდამსხმელები:** ვილია (34), მესი (33), პედრო (33), კრკიჩი (27), ხეფრენი (8), ნოლიტო (2).

**სასტარტო 11 (ოპტიმალური):** ვალდესი - დ. ალვეში, პიკე, პუიოლი, აბიდალი - ჩავი, ბუსკეტსი, ინიესტა - პედრო, მესი, ვილია.

**სასტარტო 11 (სტატისტიკით):** ვალდესი - დ. ალვეში, პიკე, აბიდალი, მაქსველი - ჩავი, ბუსკეტსი, ინიესტა - პედრო, მესი, ვილია.

### ყველაზე მეტჯერ შეცვლაზე

| ფეხბ. | მატჩი | საშ. |
|---|---|---|
| 1. კეიტა | 20 | 14 წთ. |
| 2. კრკიჩი | 18 | 17 |
| 3. პედრო | 9 | 30 |
| 4. მასკერანო | 9 | 14 |
| 5. აფელაი | 9 | 9 |
| **ყველაზე მეტჯერ შეცვალეს** | | |
| 1. პედრო | 19 | 75 |
| 2. ვილია | 16 | 78 |
| 3. ჩავი | 14 | 75 |
| 4. ინიესტა | 13 | 80 |
| 5. ადრიანო | 7 | 70 |

| ტოპ-10 დონ ბალონის შეფასებებით | |
|---|---|
| მესი | 7,33 |
| ინიესტა | 6,97 |
| ჩავი | 6,71 |
| ვალდესი | 6,63 |
| ალვეში | 6,60 |
| ვილია | 6,53 |
| პიკე | 6,29 |
| ბუსკეტსი | 6,18 |
| პედრო | 5,97 |
| აბიდალი | 5,96 |

### ტრავმები და ყვითლები

სეზონში სულ ორჯერ გააძევეს „ბარსას" ფეხბურთელი - სექტემბერში ვილია „ბილბაოსთან" შეხვედრაში გააძევეს, ხოლო ნოემბერში „ხეტაფესთან" მატჩში **ჟერარდ პიკემ** მიიღო წითელი ბარათი. ვილიამ პირდაპირი წითელი ბარათი მიიღო, პიკემ კი ორი ყვითელი. საერთოდ კი „ბარსელონას" ყველაზე უდისციპლინო ფეხბურთელი ამ სეზონში პიკე იყო.

| უდისციპლინოები | | |
|---|---|---|
| ფეხბ. | ყვ. ბარ. | წით. ბარ. |
| პიკე | 10 | 1 |
| ალვეში | 10 | - |
| ჩავი | 6 | - |
| მასკერანო | 6 | - |
| ვალდესი | 6 | - |
| ბუსკეტსი | 4 | - |
| ვილია | 3 | 1 |
| კეიტა | 3 | - |
| ადრიანო | 3 | - |
| პუიოლი | 3 | - |
| აბიდალი | 3 | - |
| მესი | 3 | - |

*სხვები: 2 და ნაკლები გაფრთხილება.*

„ბარსელონას" კარში 5 პენალტი დაინიშნა. ვერ გაიტანა მხოლოდ სანტანდერელმა **მომო ტჩიტემ.** დელ მორალმა (ხეტაფე), **ირაოლამ** (ბილბაო), რონალდომ (რეალი) და **ჩაბი პრიეტომ** (რეალ სოსიედადი) კი შეაგდეს. „ბარსელონას" სასარგებლოდ დაინიშნა 5 პენალტი. აქედან 4 ლეო მესიმ გაიტანა, 1 - ბოიან კრკიჩმა.

| ხანგრძლივი ტრავმები | | | |
|---|---|---|---|
| დღე | როდიდან | როდემდე | შენ. |
| 48 აბიდალი | 15 მარტი | 2 მაისი | |
| ღვიძლის სიმსივნის ოპერაცია | | | |
| 45 პუიოლი | 23 იანვარი | 9 მარტი | |
| მუხლის ტრავმა | | | |
| 45 მონტოია | 1 მაისი | 15 ივნისი | |
| ლავიწის ძვალის მოტეხილობა | | | |
| 42 კრკიჩი | 9 აპრილი | 21 მაისი | |
| მუხლის ჯვარედინი იოგების ნაწილობრივი დაზიანება | | | |
| 40 ადრიანო | 21 აპრილი | 31 მაისი | |
| ფეხის ტრავმა | | | |

| გაცდენა ტრავმების გამო ტაიმში | |
|---|---|
| დღე | ფეხბურთელი |
| 72 | კრკიჩი |
| 64 | მილიტო |
| 56 | პუიოლი |
| 48 | აბიდალი |
| 45 | მონტოია |

| თარიღი | მეტოქე | ანგ. | სქემა | კარისკენ | კარში | ჯარ. | კუთხ. | ოფს. | % | მაყ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **შინ** | | | | | | | | | | |
| 11 სექტ. | ერკულესი | 0-2 | 4-2-1-3 | 16 | 9 | 7 | 13 | 5 | 76 | 62 000 |
| 22 | სპორტინგი | 1-0 | 4-3-3 | 16 | 6 | 14 | 8 | 3 | 80 | 66 947 |
| 03 ოქტ. | მალიორკა | 1-1 | 4-3-3 | 26 | 10 | 7 | 13 | 3 | 72 | 79 085 |
| 16 | ვალენსია | 2-1 | 4-3-3 | 12 | 9 | 9 | 8 | 9 | 54 | 85 000 |
| 30 | სევილია | 5-0 | 4-3-3 | 16 | 9 | 13 | 11 | 6 | 73 | 81 020 |
| 13 ნოემბ. | ვილიარეალი | 3-1 | 4-1-2-3 | 14 | 5 | 22 | 4 | 5 | 65 | 90 000 |
| 29 | რეალი | 5-0 | 4-3-3 | 14 | 7 | 11 | 4 | 5 | 63 | 97 000 |
| 12 დეკ. | სოსიედადი | 5-0 | 4-3-3 | 21 | 9 | 9 | 11 | 2 | 78 | 74 931 |
| 02 იანვ. 2011 | ლევანტე | 2-1 | 4-3-3 | 21 | 8 | 15 | 10 | 4 | 80 | 71 681 |
| 16 | მალაგა | 4-1 | 4-3-3 | 12 | 9 | 12 | 8 | 6 | 72 | 71 576 |
| 22 | რასინგი | 3-0 | 4-3-3 | 14 | 11 | 6 | 6 | 4 | 70 | 70 072 |
| 05 თებ. | ატლეტიკო | 3-0 | 4-3-3 | 15 | 8 | 11 | 5 | 2 | 68 | 84 766 |
| 20 | ბილბაო | 2-1 | 4-3-3 | 20 | 6 | 8 | 7 | 5 | 75 | 83 533 |
| 05 მარ. | სარაგოსა | 1-0 | 4-3-3 | 23 | 11 | 9 | 13 | 4 | 80 | 78 965 |
| 19 | ხეტაფე | 2-1 | 4-3-3 | 15 | 6 | 10 | 6 | 2 | 75 | 81 913 |
| 09 აპრ. | ალმერია | 3-1 | 4-3-3 | 19 | 7 | 11 | 8 | 1 | 73 | 80 452 |
| 23 | ოსასუნა | 2-0 | 4-3-3 | 11 | 2 | 11 | 6 | 1 | 70 | 73 285 |
| 08 მაის. | ესპანიოლი | 2-0 | 4-3-3 | 15 | 6 | 12 | 9 | 5 | 68 | 89 994 |
| 15 | დეპორტივო | 0-0 | 4-3-3 | 9 | 2 | 11 | 5 | 1 | 78 | 70 044 |
| **სტუმრად** | | | | | | | | | | |
| 29 აგვ. | რასინგი | 3-0 | 4-3-3 | 9 | 5 | 14 | 5 | 8 | 63 | 19 095 |
| 19 სექტ. | ატლეტიკო | 2-1 | 4-3-3 | 14 | 8 | 14 | 6 | 9 | 69 | 53 000 |
| 25 | ბილბაო | 3-1 | 4-3-3 | 23 | 11 | 8 | 8 | 4 | 74 | 40 000 |
| 23 ოქტ. | სარაგოსა | 2-0 | 3-4-3 | 18 | 10 | 12 | 4 | 4 | 74 | 35 000 |
| 07 ნოემ. | ხეტაფე | 3-1 | 4-3-3 | 15 | 9 | 8 | 3 | 5 | 69 | 17 000 |
| 20 | ალმერია | 8-0 | 4-1-2-3 | 18 | 13 | 7 | 5 | 1 | 75 | 17 000 |
| 04 დეკ. | ოსასუნა | 3-0 | 4-3-3 | 15 | 9 | 7 | 5 | 4 | 74 | 18 043 |
| 18 | ესპანიოლი | 5-1 | 4-3-3 | 19 | 10 | 15 | 7 | 8 | 59 | 40 010 |
| 08 იანვ. 2011 | დეპორტივო | 4-0 | 4-3-3 | 7 | 5 | 6 | 7 | 2 | 74 | 34 000 |
| 29 | ერკულესი | 3-0 | 4-3-3 | 22 | 5 | 7 | 8 | 6 | 73 | 29 500 |
| 12 თებ. | სპორტინგი | 1-1 | 4-3-3 | 14 | 7 | 8 | 10 | 3 | 76 | 28 000 |
| 26 | მალიორკა | 3-0 | 4-3-3 | 7 | 4 | 9 | 2 | 3 | 74 | 21 227 |
| 02 მარ. | ვალენსია | 1-0 | 3-5-2 | 18 | 9 | 7 | 5 | 2 | 62 | 50 800 |
| 13 | სევილია | 1-1 | 4-3-3 | 12 | 7 | 10 | 4 | 2 | 75 | 45 000 |
| 02 აპრ. | ვილიარეალი | 1-0 | 4-3-3 | 9 | 6 | 14 | 7 | 4 | 69 | 23 000 |
| 16 | რეალი | 1-1 | 4-1-2-3 | 10 | 5 | 13 | - | 5 | 72 | 80 354 |
| 30 | სოსიედადი | 1-2 | 4-3-3 | 12 | 7 | 11 | 6 | 3 | 76 | 30 000 |
| 11 მაის. | ლევანტე | 1-1 | 4-3-3 | 9 | 2 | 4 | 3 | 4 | 84 | 20 000 |
| 21 | მალაგა | 3-1 | 4-3-3 | 17 | 7 | 8 | 8 | 1 | 61 | 28 500 |

ესპანეთი

### დვალიშვილის მეწყვილე ესპანეთში

„მალიორკამ" **ლადო დვალიშვილის** თანაგუნდელი, 24 წლის ფორვარდი **ტომერ ჰემედი** შეიძინა. „ბერმელიონესის" ოფიციალური საიტის ცნობით, ყველა დეტალი შეთანხმებულია და ჰაიფას „მაქაბის" შემტევი დღეს გაივლის სამედიცინო შემოწმებას. ჰემედი ბოლო სეზონის წინ დაუბრუნდა „მაქაბის" (განათხოვრებული იყო) და სასტარტო 11-ეულში დამკვიდრებაც შეძლო. ქართველის და ებრაელის დუეტმა ჯამში 25 გოლი გაიტანა სეზონში (13 - ჰემედი, 12 - დვალიშვილი). სხვათა შორის, ტომერ ჰემედმა რამდენიმე დღის წინ გლაზგოს „რეინჯერსი" უარით გაისტუმრა.

„მალაგა" აგრძელებს აქტიურ სატრანსფერო პოლიტიკას. ამდენი ყიდვის შემდეგ, ანდალუსიურმა კლუბმა გასხვისებასაც მიჰყო ხელი. გუნდი 21 წლის მარცხენა მცველმა **მანუ ტორესმა** დატოვა, რომელიც სეგუნდადივიზიონის „კარტახენაში" გადავიდა. იქ ტორესი ყოფილ თანაგუნდელებს, **რუბენს, კალას და ხორდი პაბლოს** შეუერთდა. „კარტახენას" ახალ სეზონში ლა ლიგის საგზურის მოპოვება აქვს დასახული.

„სევილიამ" გერმანელი ნახევარმცველი **პიოტრ ტროხოვსკი** წარადგინა: *„სევილიას" სასარგებლოდ არჩევანის გაკეთება არ გამჭირვებია. ძალიან მიხარია, რადგან დიდ კლუბში მოვედი. აქ ძალიან ბევრი უმაღლესი დონის ფეხბურთელია და ერთი სული მაქვს, მათთან ერთად ახალი სეზონისთვის დავიწყო მზადება"*, - განაცხადა ტროხოვსკიმ, რომელსაც ნახევარდაცვის შუაში სურს თამაში, თუმცა ფლანგზეც არ იტყვის უარს.

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

● ტრანსფერები


18.00 CUATRO EUROPEO SUB 21 ESPAÑA-BIELORRUSIA
Si gana La Rojita estará en los Juegos y en la final
MARCA
Un año de gloria
JARRAS HISTÓRICAS DEL REAL MADRID
26
EL MADRID ATA A LA SENSACIÓN BRASILEÑA
'O REI' NEYMAR
Florentino está dispuesto a pagar los 45 millones de su cláusula, aunque negocia una rebaja • Cobrará 5 kilos por temporada y uno más si es Balón de Oro • Pulveriza las marcas de Messi y Kun a su edad
Kun no está descartado pero sólo si sale Higuaín o Benzema
VARANE 10 KILOS POR EL CENTRAL FRANCÉS DE 18 AÑOS
ATLÉTICO
Reyes y Forlán rechazan la oferta del Galatasaray
MUNDIAL 86
MEJOR BLANCO DE ESPAÑA
MONTE BLANCO
RAMÓN BILBAO

22 ივნისის მარკა

45 000 000

# ნეიმარი გალაქტიკაში

## მარკა: ბრაზილიელი რეალში 6 სეზონში 30 მილიონ ევროზე მეტს მიიღებს

გუშინდელი „მარკა“ ერთობ მყვირალა სათაურით გამოვიდა - ბრაზილიელი თინეიჯერი **ნეიმარი** „რეალში“ გადავიდა. ყველაზე პოპულარული ესპანური გაზეთის მტკიცებით, „სანტოსის“ ფორვარდმა და „სამეფო კლუბმა“ კონტრაქტი უკვე შეათანხმეს, ჯერი კლუბებზეა. ნეიმარი „რეალში 6 სეზონს დაყოფს და წელიწადში 5 მილიონ ევროს მიიღებს გასამრჯელოდ. ამ თანხას სპეციალური ბინუსები დაემატება, თუკი 19 წლის ბრაზილიელი ბევრ გოლს გაიტანს.

მომავალ კვირაში მოლაპარაკების მაგიდას კლუბები მიუსხდებიან, „სანტოსი“ 45 მილიონ ევროს არაფერს აკლებს. როგორც ჩანს, „რეალიც“ შეგუებულია ამ თანხას. „მარკა“ ამტკიცებს, რომ მიუხედავად ნეიმარის ტრანსფერისა, „რეალში“ **სერხიო აგუეროს** მისვლა არ გამორიცხულა. უბრალოდ, ახლა აგუეროს ტრანსფერი მხოლოდ იმ შემთხვევაში შედგება, თუკი „რეალიდან“ **ქარიმ ბენზემა** ან **გონსალო იგუაინი** წავა. „რეალის“ ოფიციალურმა საიტმა „მარკას“ ინფორმაციას დუმილით უპასუხა...

● ევროპის ჩემპიონატი. U-21. ნახევარფინალები

# ნანატრი ფინალი

| ესპანეთი-ბელარუსი | 3:1 (1:1 დ.დ.) |
|---|---|

**ესპანეთი (4-1-4-1):** დე ხეა - მონტოია, ბოტია, ა. დომინგესი (77. კრკიჩი), დიდაკ ვილა - ხ. მარტინესი - მატა, ტ. ალკანტარა, ანდერი (58. კაპელი), მუნიაინი (70. ხეფრენი) - ა. ლოპესი.

**ბელარუსი (4-4-2):** გუტორი - ვერეტილო, ფილიპენკო, პოლიტევიჩი, პოლიაკოვი - პერეპეჩკო (61. ბეგა), დრაგუნი, სივაკოვი, ნეხაიჩიკი - ვორონკოვი (69. ბუკატკინი), სკავიში (84. რეკიში).

**გოლები:** 0:1 ვორონკოვი (38), 1:1 ა. ლოპესი (89), 2:1 ა. ლოპესი (105), 3:1 ხეფრენი (113)

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:** ადრიან ლოპესი (ესპანეთი)

| შვეიცარია-ჩეხეთი | 1:0 (0:0 დ.დ.) |
|---|---|

**შვეიცარია (4-1-4-1):** ზომერი - კოხი, კლოზე, როსინი, ბერარდი - ლუშტენბერგერი - შაჩირი, ჰოხშტრასერი (71. აბრაში), ფრაი (78. გავრანოვიჩი), ემეგარა (111. კოსტანცო) - მეჰმედი.

**ჩეხეთი (4-1-4-1):** ვაცლიკი - ვაჩა, მაზუხი, სუხი, ჩელუსტკა - გეცოვი - დოჩკალი, მორავეკი (83. ხრამოსტა), მარეჩეკი, ჩერნი (112. კადლეცი) - კოზაკი (63. პეხარტი).

**გოლი:** 1:0 მეჰმედი (114)

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:** მეჰმედი (შვეიცარია)

წუხელ დანიაში ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის ნახევარფინალური მატჩები გაიმართა.

ფინალში ესპანეთისა და შვეიცარიის ნაკრებები გავიდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ესპანელები აშკარა ფავორიტები იყვნენ ბელარუსებთან მატჩში, ისინი სასწაულებრივ გადაურჩნენ მარცხს - 89-ე წუთამდე **ლუის მილიას** შეგირდები 0:1-ს აგებდნენ. ვიბორგში სლავები 38-ე წუთზე დაწინაურდნენ **ანდრეი ვორონკოვის** აკრობატულ ნახტომში შესრულებული დარტყმის შემდეგ. საპასუხო გოლის კომბინაცია ბარსელონელებმა დაიწყეს, **ტიაგო ალკანტარამ ხეფრენ სუარესი** მოძებნა, რომლის ჩამოწოდებულსაც „დეპორტივოს“ ცენტრფორვარდმა **ადრიან ლოპესმა** მიუსწრო.

პირველ დამატებით ტაიმში ადრიანმა გამარჯვების გოლი თავით გაიტანა (ეს მისი მე-5 გოლია ჩემპიონატზე), შემდეგ კი თავი ხეფრენმა გამოიჩინა. მეორე ნახევარფინალშიც გამარჯვებული დამატებითმა დრომ გამოავლინა. მეორე დამატებით ტაიმში ჩეხების კარში შვეიცარიელმა **მეჰმედიმ** გაიტანა გამარჯვების გოლი.

**ფინალი. 25 ივნისი**
**შვეიცარია-ესპანეთი**

# ბოიანი რომაელია

## 10 მილიონი და 5 სეზონი

გუშინ „რომას“ სპორტულმა დირექტორმა **ვალტერ საბატინიმ** განაცხადა, რომ „ბარსელონასთან“ შეთანხმება მიღწეულია და 20 წლის **ბოიან კრკიჩი** ახალი სეზონიდან „რომაში“ ითამაშებს. საბატინი სამშაბათს ესპანურ ქალაქში იმყოფებოდა, გუშინ კი განაცხადა, რომ მისი მისია შესრულებულია: *„ჩვენ მივაღწიეთ შეთანხმებას, როგორც „ბარსელონასთან“, ასევე თავად ფეხბურთელთან. ახლა, როცა მოლაპარაკებების ძირითადი ნაწილი დასრულებულია, ვიმედოვნებთ, რომ ტრანსფერს თავი მალე დაედგმება“*, - განუცხადა საბატინიმ „სქაი იტალიას“.

ჯერჯერობით უცნობია, ბოიან კრკიჩის ტრანსფერი პერმანენტულ ხასიათს ატარებს თუ იჯარაა, თუმცა ესპანური წყაროები პირველ ვარიანტს ემხრობიან და ამბობენ, რომ „რომა“ ახალგაზრდა ფორვარდის სანაცვლოდ 10 მილიონ ევროს გადაიხდის. „სქაი სპორტი“ ამტკიცებს, რომ კრკიჩი იჯარით გადადის იტალიის დედაქალაქში, თუ გაამართლებს, ესპანელს სეზონის ბოლოს ავტომატურად გაუფორმებენ კონტრაქტს, ხოლო სატრანსფერო თანხა 10-15 მილიონ ევროს შორის იქნება.

მას შემდეგ, რაც **ლუის ენრიკემ** „რომა“ ჩაიბარა, ბოიანის იტალიური ტრანსფერი აქტიური თემა გახდა, რადგან ფეხბურთელს ძალიან კარგი ურთიერთობა აქვს მწვრთნელთან, რომელიც მისი დამრიგებელი იყო, როცა ბოიანი „ბარსას“ სარეზერვო გუნდში ბრწყინავდა. ამას დავურთოთ ის ფაქტი, რომ ბოიანმა ვერც ამ სეზონში შეძლო სასტარტო სამეულში დამკვიდრება, „ბარსელონას“ შემტევი ტრიო ასე გამოიყურებოდა - **პედრო-მესი-ვილია**. პერსპექტივაში კი კრკიჩს ორი სერიოზული კონკურენტიდან (**ალექსის სანჩესი** და **ჯუზეპე როსი**) ერთ-ერთი (თუ ორივე არა) ელოდა...

ბოიანი მეტეორივით შეიჭრა ესპანურ ფეხბურთში, მისგან ძალიან დიდ წარმატებას ელოდნენ, თუმცა ჯერჯერობით ეს პროგნოზი არ მართლდება.

უფრო მეტი შევიტყვეთ ფეხბურთელის პერსონალური ვებსაიტიდან, სადაც წერია, რომ ბოიანმა სწორედ ლუის ენრიკეს ფაქტორი გაითვალისწინა, როცა გადაწყვეტილება მიიღო. მწვრთნელი მას „რომას“ მომავალი წარმატებების საკვანძო ფიგურად მოიაზრებს, ხოლო ბოიანი კი მხოლოდ მეტ სათამაშო წუთს ითხოვს, რათა ყველას დაუმტკიცოს, რომ ნამდვილი ვარსკვლავია. აქვე ვიგებთ, რომ კონტრაქტი, სავარაუდოდ, ხუთწლიანი იქნება, მაგრამ „რომას“ პირველი ორი სეზონის შემდეგ მისი გადახედვის შესაძლებლობა ეძლევა. სატრანსფერო თანხა კი სწორედ 10 მილიონი ევროა.

ის სერბი ფეხბურთელის, **ბოიან კრკიჩისა** („ცრვენა ზვეზდაში“ თამაშობდა) და კატალონიელი **მარია ლუისა პერესის** ვაჟია. ბოიანი 9 წლის ასაკიდან „ბარსაში“ იზრდება და დღემდე მხოლოდ ამ კლუბის ფეხბურთელი იყო. 5 წელიწადში კრკიჩმა „ბარსას“ ახალგაზრდულ გუნდებში 900 გოლი გაიტანა!

2007 წლის აპრილში კრკიჩმა პირველად მოირგო „ბარსას“ ძირითადი გუნდის მაისურა და ეგვიპტურ „ალ აჰლისთან“ თამაშში გოლიც შეაგდო. მალე ოფიციალური დებიუტიც შედგა - 2007 წლის სექტემბერში, „ოსასუნასთან“ მატჩში ბოიანმა 78-ე წუთზე **ჯოვანი დოს სანტოსი** შეცვალა. ის მაშინ 17 წლისა და 19 დღის იყო. ამით კრკიჩმა **ლიონელ მესის** რეკორდი დაამყარა, ახლა ის ითვლება „ბარსელონას“ ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელად, რომელმაც ლა ლიგაში ითამაშა. სულ მან ჩემპიონატში 104 თამაშში 26 გოლი გაიტანა. ფეხბურთელმა დეკემბერში „ბარსელონასთან“ 2015 წლამდე გააგრძელა კონტრაქტი.

ბოიან კრკიჩი ესპანეთის ახალგაზრდული ნაკრებების ერთ-ერთი ლიდერი იყო, მას თბილისშიც აქვს ნათამაშები. ის ახლაც გუნდთან ერთად დანიაშია, ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატზე. ესპანეთის ნაკრებში კი ჯერ მხოლოდ ერთხელ ითამაშა - 2008 წელს სომხების წინააღმდეგ 10 წუთი.

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**



ბოიანმა ბარსას მაისურა გაიხადა



ძიუდო. ევროპის ჭაბუკთა პირველობა



# სამინისტრომ ძიუდოისტებს კიმონოები აჩუქა

დღეს, გამთენიისას ძიუდოისტ ჭაბუკთა ბიჭებისა და გოგოების გუნდები მალტურ კოტონერაში გაფრინდნენ, სადაც 24-26 ივნისს თანატოლთა ევროპის ჩემპიონატში გამოვლენ. ბიჭების ნაკრებში **ზაზა ხუბულური** (50), **ბაჩანა ბოლქვაძე, ივანე მამისაშვილი** (ორივე - 55), **თამაზ კირაკოზაშვილი, ჯუმბერ ჩიხიაშვილი** (ორივე - 60), **გიორგი მუზაშვილი, აპოლონ ზურაბიანი** (ორივე - 66), **ლევან გუგავა, ბექა დონლვანი** (ორივე - 73), **ბექა ღვინიაშვილი, ადამ ვარაზაშვილი** (ორივე - 81), **შალვა ჩოჩელი, გურამ თუშიშვილი** (ორივე - 90), **გიორგი ლაზუაშვილი, გიორგი გელაშვილი** (ორივე - +90) იჭიდავებენ, გოგოებში კი **გურანდა შოთაძე, მარიამ ციხელაშვილი** (ორივე - 52), **მარიამ ჯანაშვილი** (57) და **ანა მინდიაშვილი** (63) გამოვლენ.

გუშინ ძიუდოს აკადემიაში ჭაბუკებმა ღია ვარჯიში გამართეს, რომელსაც საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს სპორტის დეპარტამენტის უფროსი **ირაკლი სამყურაშვილიც** დაესწრო. ის ძიუდოისტებთან ხელცარიელი არ მისულა - ფედერაციას საჩუქრად ძიუდოს 100 ახალი კიმონო გადასცა, რომელიც ძირითადად მოზარდებისთვისაა განკუთვნილი. თან ეს ფორმები იმ ახალი მოთხოვნების მიხედვითაა შეკერილი, რასაც ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის ბოლოდროინდელი რეფორმები ითვალისწინებს. აქვე გეტყვით, რომ საერთაშორისო ფედერაციამ ამ დღეებში კიდევ ერთი სიახლის შესახებ მიიღო გადაწყვეტილება - ამიერიდან წყვილში პირველ ნომრად დასახელებული (რასაც კენჭისყრა განსაზღვრავს) ძიუდოისტი თეთრი ფერის კიმონოთი იჭიდავებს. ეს სიახლე ძალაში 11-14 აგვისტოს კიევში გასამართი ჭაბუკთა მსოფლიოს ჩემპიონატიდან შევა. ამავე წესებით ჩატარდება მსოფლიოს პირველობაც უფროსთა შორის 23-28 აგვისტოს პარიზში.

ორივე ნაკრებში შემადგენლობის შერჩევა ხანგრძლივი პროცესი გამოდგა. განსაკუთრებით - ბიჭებში, სადაც ტურნირებიც მეტი იყო და - კანდიდატიც. აქვე გეტყვით, რომ მათი ნაკრების თავკაც **გიორგი ვაზაგაშვილისთვის** ეს პირველი ოფიციალური შეჯიბრებაა საბერძნეთიდან სამშობლოში დაბრუნების შემდეგ. ამ გუნდისთვის საევროპოდ პირველი შესარჩევი ტურნირი საქართველოს ჩემპიონატი იყო, თუმცა ქვეყნის მასშტაბით და განსაკუთრებით უცხოეთში - ანთალიასა და კიევში გამართულმა შეჯიბრებებმა წონათა უმეტესობაში ყველაფერი თავდაყირა დააყენა, ნაკრებმა კი საბოლოო სახე საკონტროლო შეხვედრების შემდეგ მიიღო. საქართველოს ჩემპიონთაგან ორივე უცხოური ტურნირის მოგება მხოლოდ ორმა შეძლო - კირაკოზაშვილმა და ჩოჩელმა, რომელმაც დამატებით საკუთარი ხარჯებით პოლონეთშიც იჭიდავა და მეორეზე გავიდა. ასევე ორივეგან გაიმარჯვა საქართველოს ბრინჯაოს პრიზიორმა გუგავამ და აკი იქცა კიდეც შესარჩევი ციკლის ყველაზე დიდ მოულოდნელობად. აღსანიშნავია, რომ მან კიევში საქართველოს ჩემპიონი დონლვანიც დაამარცხა. საქართველოს ჩემპიონთაგან საზღვარგარეთ თითო ტურნირი მუზაშვილმა, ლაზუაშვილმა და ღვინიაშვილმაც მოიგეს. ვაზაგაშვილს მონაწილის საკონტროლოებით გამოვლენა 50-ში დასჭირდა, სადაც ყველასათვის მოულოდნელად, ხუბულურმა გაიმარჯვა. არადა, ის საქართველოს ჩემპიონატში პირველივე წრიდან გავარდა.

გოგოების დამრიგებელმა **გია თენაძემ** ეს კვარტეტი უფრო საშეკრებო რეჟიმში შეარჩია, თუმცა მათ საერთაშორისო ტურნირებიც იჭიდავეს. მაგალითად, ანთალიაში გამართული ევროპის თასი, სადაც ჯანაშვილი ჩემპიონი გახდა, ციხელაშვილი მესამეზე გავიდა (ოღონდ იქ 57-ში იასპარეზა), მინდიაშვილი კი მეხუთე იყო. ჯანაშვილი ამ თაობაში უდაოდ გამოკვეთილი ლიდერია, მაგრამ, სამწუხაროდ, მოსამზადებელ პერიოდში გაცივდა, ფილტვების ანთება გადაიტანა, თუმცა თენაძეს მისი მაინც ეიმედება.

ჩემპიონატი 24 ივნისს დაიწყება და პირველ დღეს ბიჭებიდან 50, 55 და 60-ის, გოგოებიდან კი 40, 44 და 48-ის წარმომადგენლები იჭიდავებენ. 25-ში ჩვენი გოგოებიდან ყველას ერთად მოუწევს ტატამზე გასვლა, რადგან ამ სამი წონის სპორტსმენები იასპარეზებენ, ბიჭებიდან კი - 66-73-ის, ხოლო დანარჩენები ბოლო დღეს იბრძოლებენ მედლებისთვის. ჩემპიონატს ქართველი მსაჯი **ამირან ტოტიკაშვილიც** განსჯის.

**ირაკლი თავაძე**

თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

თავისუფალი ჭიდაობა. ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი

# ბუშე! ეს უკვე დიდი შედეგია

## პროცესი შეუქცევადი - მიზეზი მექრთამეობა

საქართველოს ახალგაზრდა „თავისუფალთა“ ნაკრები ბრწყინვალედ გამოვიდა სერბულ ზრენჯანინში დამთავრებულ ევროპის ჩემპიონატში. **ნუგზარ სხირელის** შეგირდებმა პირველი დღის სამ მედალს (1 ვერცხლი, 2 - ბრინჯაო) გუშინ კიდევ 3 დაუმატეს, ოღონდ ამათგან 2 ოქროა, 1 - ბრინჯაო. კონტინენტის ჩემპიონები, მოლოდინისამებრ, გუნდის გამოკვეთილი ფავორიტები - **ვლადიმერ ხინჩეგაშვილი** (55) და **დავით მარსაგიშვილი** (84) გახდნენ, ბრინჯაოს პრიზიორად კი მძიმეწონოსანი **გენო პეტრიაშვილი** მოგვევლინა. აქვე გუშინწინდელი მონაგარიც გავიხსენოთ - **ბექა პეტრიაშვილი** (74) მეორეზე გავიდა, ბრინჯაო კი **თენგიზ ჩოჩიშვილმა** (60) და **თედო ებანოიძემ** (96) მოიპოვეს. ამდენად, ნაკრების საერთო მონაგარი ორი ოქრო, ერთი ვერცხლი და სამი ბრინჯაოა. დაგვეთანხმებით, რვაკაციან გუნდში ექვსი მედალი ძალიან კარგი შედეგია. გუნდურ ჩათვლაში ჩვენმა ნაკრებმა 63 ქულა დააგროვა, როგორც - რუსეთმა და პირველობა ორივემ გაინაწილა. ისიც საინტერესოა, რომ ორივე დღეს ლეიბზე 4-4 ქართველი გადიოდა, რომლებმაც 3-3 მედალი მოიპოვეს. პირველ დღეს უმედლოდ **ლაშა ტალახაძე** (50) დარჩა, თუმცა ბრინჯაოსთვის იმანაც იჭიდავა, გუშინ - **დავით ტლაშაძე** (66), რომელიც მომავალ ჩემპიონთან, რუს **ბაიმირზა კადისოვთან** დამარცხდა, მაგრამ მან მერე ვერც სანუგეშოში ივარგა.

ჩემპიონთა დუეტმა შესაშური შემართებით იჭიდავა, თუმცა მარსაგიშვილი მაინც უნდა გამოვარჩიოთ - ხინჩეგაშვილს სამიოდე შეხვედრაში დამატებითი დრო დასჭირდა, ამან კი ოთხივე ორთაბრძოლა ძირითად დროში მოიგო, აქედან სამში კი წმინდად იმარჯვა. ოღონდ ამათგან ფინალში სომეხი **ვაჩე ტამრაზიანი** პირდაპირ ბეჭებზე დააგდო 5-ქულიანზე, მეოთხედფინალში უკრაინელ **დავიდ კალაშიანსა** და ნახევარფინალში რუს **ალბერტ ციპინოვს** ილეთების კასკადი დაატეხა თავს და ერთნაირი ანგარიშით - 13:0 მოუგო, ამ ორ შეხვედრაში ოთხივე პერიოდში ქულებით წმინდად გაიმარჯვა. მას მხოლოდ თურქი **მურატ ოზკონი** გაუძალიანდა პირველ შეხვედრაში - 4 ქულის მეტი არ დაუთმო.

ხინჩეგაშვილი ევროპის ფინალში შარშანაც გავიდა, თუმცა მაშინდელისგან განსხვავებით, ამჯერად წარმატებით დაასრულა. სერბეთში მას დამატებითი დრო სომეხ **მატეოს საროიანთან,** ნახევარფინალში თურქ **მეჰმეთ სოილერთან** და ფინალში რუს **არსენ კურამაგომედოვთან** დასჭირდა (თუმცა რუსთან პირველი პერიოდი 1:1-ზე, ბოლო ქულის გამო დათმო. სამაგიეროდ, მერე 4 უპასუხო ქულა აართვა), რუმინელი **დავიდ დობრე** ამანაც ბეჭებზე დასცა, უკრაინელ **ვიტალი გურსკის** კი ასევე ორივე პერიოდი მოუგო სუფთად.

პეტრიაშვილმა რუმინელი **შანდორ მოლნოსი** და მოლდოველი **ეგორ ოლარი,** უბრალოდ, გადათელა ძირითად დროშივე - როცა 7-8 ქულით მოუგებ პერიოდს, სხვა შეფასებას ვერ გავაკეთებთ. ვერ გეტყვით, ნახევარფინალში რა დააკლდა ბელარუს **იჰარ ძიაჩკოსთან** შეხვედრაში - გამოცდილება, ძალა თუ გამძლეობა, მაგრამ ორივე პერიოდი ერთნაირი ანგარიშით წააგო - 0:2. ძიაჩკო შარშანაც გამოდიოდა ამ ნაკრებში, ასაკითაც უფროსია, გამოცდილებაც მეტი აქვს და რაც მთავარია, კარგად მომზადებული ჩავიდა სერბეთში - ჩემპიონი გახდა. შესაძლოა, პეტრიაშვილს ფიზიკურად გაუჭირდა, რასაც ისიც გვაფიქრებინებს, რომ ბრინჯაოსთვის შეხვედრაში დამატებითი დრო დასჭირდა გერმანელ **ტონი ბერჰარდტთან**. სამაგიეროდ, იმ მოგებულ პერიოდებში 11 ქულა მოიპოვა. საერთოდ, მისი სტატისტიკა ასეთია - მეტოქეებს 35 ქულა აართვა, თავად კი 14 დაკარგა. იქნებ ეს მეორე მაჩვენებელიც მაღალია, მაგრამ მძიმეწონოსნის კვალობაზე მოპოვებული 35 ქულა საყურადღებო შედეგია. თან კიდევ ერთხელ გავითვალისწინოთ, რომ 16 წლის ბავშვზეა ლაპარაკი, რომელიც 197 სანტიმეტრია და 102 კილოგრამს იწონის. ეჭვი არაა, ის კიდევ მოიმატებს წონაში ანუ მისი სახით მძიმე წონას ახალი გოლიათი ეზრდება.

სამწუხაროდ, თვითონ ჩემპიონატი ორგანიზაციულად აშკარად დაბალი დონისაა და არც მონაწილეთა სიმრავლით გამოირჩევა. ტურნირიდან ცნობები, პრაქტიკულად, არ მოდის, მხოლოდ შუაღამისას ანახლებენ შეხვედრათა ოქმებს. ამასთან, წონებში 15-20 მონაწილე გამოდის. შედეგად, წონების ნახევარში შეხვედრები მერვედფინალიდან იწყება, ხოლო დანარჩენ ნახევარში მეთექვსმეტედფინალში მხოლოდ წინასწარი ეტაპის რამდენიმე ორთაბრძოლა იმართება. ჭიდაობაში მონაწილეთა რაოდენობის შემცირება ბოლო წლებში შეუქცევადი პროცესი გახდა, რაც პირდაპირ კავშირშია სპორტის ამ სახეობაში გავრცელებულ მექრთამეობასთან, კორუფციასა და ალებ-მიცემობასთან.

**ირაკლი თავაძე**



ვლადიმერ ხინჩეგაშვილი (მარჯვნივ)

ტყვიის სროლა. მიუნხენის მსოფლიოს თასი

# თასი მარცხით დაიხურა

მიუნხენში მიმდინარე მსოფლიოს თასზე გამოსვლა **ნინო სალუქვაძემაც** წარუმატებლად დაასრულა. პნევმატური პისტოლეტით 10-მეტრიან დისტანციაზე შესარჩევ ციკლში კვლავაც მისთვის შეუფერებლად დაბალი შედეგი ჰქონდა - 381 ქულა, რაც 127 მონაწილეს შორის 27-ე მაჩვენებლი აღმოჩნდა. ნინომ საკუთარი შესაძლებლობები ყველაზე მეტად მესამე სერიაში გამოავლინა, სადაც რვაჯერ ათიანი დააზიანა, ორჯერ - ცხრიანი და 98 ქულა დააგროვა. სამწუხაროდ, სხვებში დაბალი შედეგები ჰქონდა - პირველ ორში 95-95, მეოთხეში - მხოლოდ 93. აღსანიშნავია, რომ ამ 40 გასროლაში ერთხელ ჰქონდა 8-იანი, თუმცა საერთო მონაგარში 9-იანები აშკარად სჭარბობდა.

თვითონ შეჯიბრება ფრანგმა **სტეფანიე ტიროდემ** მოიგო. ის და სერბი მსოფლიოს ჩემპიონი **ზორანა არუნოვიჩი** თავიდანვე დაწინაურდნენ 388-388 ქულით, მაგრამ ფინალში ფრანგი ბევრად უკეთ გაისარჯა - 100,3 დააგროვა, სერბმა - 99,5. საბოლოოდ ტიროდემ 488,3 ქულით მოიპოვა ჩემპიონობა, რაც მის კარიერაში მოგებული მსოფლიოს თასის მხოლოდ მეორე ეტაპია, ვერცხლი კი არუნოვიჩს ერგო 487,5-ით. მესამეზე ავსტრალიელი მსოფლიოს ვერცხლ-ბრინჯაოსა და ოლიმპიადის მესამე პრიზიორი, 48 წლის **ლოლიტა იევლევსკაია** დარჩა - 484,2. ამჯერად ოლიმპიადის ლიცენზიები ტიროდემ, ახალგაზრდებში რუსმა ევროპის ორგზის ჩემპიონმა **ლუბოვ იასკევიჩმა** და ევროპის პოლონელმა პრიზიორმა **ბეატა ბარტკოვ-კვიტკოვსკამ** მოიპოვეს.

ამ ტურნირით მსოფლიოს თასების სერია დასრულდა. ახლა წინ 1-14 აგვისტოს ბელგრადში გასამართი ევროპის ჩემპიონატია სპორტული პისტოლეტიდან სროლაში, 18-24 სექტემბერს კი პოლონურ ვარშავაში მსოფლიოს თასის სუპერფინალია.

**ირაკლი თავაძე**

ჭადრაკი

# ესაძე ვერ შეაჩერეს

9 შესაძლებლიდან 9 ქულა! — ასეთი მაჩვენებლით დაასრულა რვაწლიანებში საქართველოს პირველობა ქუთაისელმა **თამარ ესაძემ.** ბოლო ტურში მან შავი ფიგურებით თანაქალაქელ **ელენე ძოწენიძეს** სძლია, არადა, ჩემპიონობა ვადამდე ჰქონდა განაღდებული. 7 ქულით მეორე ადგილზე გავიდა გორელი **ნინო დარჩიაშვილი,** რომელმაც გუშინ **ნია დონლვანი** (ქუთაისი) დაამარცხა. ეს უკანასკნელი 6 ქულით მე-3 ადგილს დასჯერდა. ამდენივე ქულით, მაგრამ უარესი კოეფიციენტით მეოთხე-მეექვსე ადგილები ნინო ნაჭყებიამ (სამტრედია), **ანა იარაჯულმა** (თბილისი) და **მარიამ ნოსელიძემ** (ქუთაისი) გაინაწილეს. ამ ასაკის ბიჭებში პირველობა არავის დაუთმო თბილისელმა **ნიკოლოზ კაჭარავამ,** რომელმაც მთელი ტურნირის განმავლობაში მხოლოდ ნახევარი ქულა დაკარგა. გუშინ მან **ნიკა კევლიშვილს** (საგარეჯო) მოუგო. გამარჯვებულს ქულით ჩამორჩა და ვერცხლის მედალი ხვდა **საბა ლომსაძეს** (თბილისი). 6,5-6,5 ქულით, შესაბამისად, მესამე-მეოთხე ადგილები **დავით გაბუნიამ** (თბილისი) და **ვახო ესვანჯიამ** (სამტრედია) გაიყვეს.

12-წლიან გოგონათა ბოლო ტურში ერთპიროვნულმა ლიდერმა **ნინო ჯალალონიამ** (ქუთაისი) ოქროს მედლისთვის **თეა ჭოლაძესთან** (ქუთაისი) ყაიმი იმყოფინა — ცხრა შესაძლებლიდან 8 ქულას მოუყარა თავი. მეორე ადგილოსანი **ნინო დახუნდარიძე** (ქუთაისი) მართალია, გუშინ თეთრი ფიგურებით **სალომე სანიკიძეს** (თბილისი) დანებდა, მაგრამ წინა ტურებში მოგროვებული 7 ქულა ვერცხლისთვის საკმარისი აღმოჩნდა: 6,5 ქულით ბრინჯაო **თამარ ფაშკურიძეს** (ტყიბული) ერგო.

ვაჟებში ლიდერთა ბოლო ტურის პაექრობა ყაიმით დამთავრდა: დაზავდნენ **გიორგი ინანეიშვილი** (ქუთაისი) და **ირაკლი ახვლედიანი** (ბათუმი). ამ ნახევარმა ქულამ ზღვისპირელი მოჭადრაკე კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე აიყვანა, რიონისპირელი სპორტსმენი დააზარალა, რადგან ინანეიშვილმა საბოლოოდ 7 ქულა მოაგროვა, რამდენიც გორელმა **ლუკა ლიჩელმა,** მაგრამ ამ უკანასკნელმა მეტოქეს უკეთესი კოეფიციენტით გაასწრო და მეორე ადგილი დაიკავა. ინანეიშვილი მესამე ადგილს დაყაბულდა.



ტურნირის გამარჯვებულები — ესაძე, კაჭარავა, ჯალალონია და ახვლედიანი თანატოლთა შორის მსოფლიოს პირველობაზე ითამაშებენ, ხოლო დარჩიაშვილი, ლომსაძე, დახუნდარიძე და ლიჩელი ევროპელებს დაუპირისპირდებიან.

**ვაჟა დანელია**

# ლიდერობა დათმო

ჯერმუკში სომეხი მოჭადრაკის კარენ ასრიანის მე-4 საერთაშორისო მემორიალზე რამდენიმე ტურის განმავლობაში ქართველი დიდოსტატი **კონსტანტინე შანავა** მეწინავეობდა. გუშინ იგი თეთრი ფიგურებით მასპინძელ **ტიგრან კოტანჯიანთან** დამარცხდა და ლიდერობაც დათმო. მეწინავეთა დანარჩენი პარტიები ყაიმით დამთავრდა: დაზავდნენ — მიხაილ ულიბინი-მაქსიმ ტუროვი, დანიილ დუბოვი-რობერტ ჰოვანესიანი, ჰრაირ სიმონიანი-ელშან მორადიაბადი. ასევე ქულა გაიყვეს შოთა აზალაძემ და არტურ ჩიბუხჩიანმა, ოვიკ ჰაირაპეტიანმა და დავით მალალაშვილმა, ნაიკ ტამაზიანმა და ბაჩანა მორჩიაშვილმა. სამწუხაროდ, ჩვენი მანდილოსნები დამარცხდნენ: ნინო ბაციაშვილი-ტიგრან ჰარუთინიანთან, ხოლო სოფიო გვეტაძე-არმან პეტროსიანთან.

ქართველთა მონაგარი 7 ტურის შემდეგ: შანავა-5, აზალაძე, მალალაშვილი-4,5-4,5 მორჩიაშვილი-4, ბაციაშვილი-3,5, გვეტაძე-2,5 ქულა.

მერვე ტურში ლიდერები ასე დაწყვილდნენ: კოტანჯიანი (6)-გლეიზეროვი (5), ტუროვი (5)-დუბოვი (5), ჰოვანესიანი (5)-სიმონიანი (5), ნადანიანი (5)-შანავა (5), იდანი (5)-ულიბინი (5). ქართველები: მოსადიაბადი (4,5)-აზალაძე, მალალაშვილი-ტუროვა (4,5), მორჩიაშვილი-სადუკასოვა (4), ბაციაშვილი-ერანიანი, ჰაკიმიფარდი (2,5)-გვეტაძე.

**ვაჟა დანელია**

## ქართული სპორტი

### სპორტის ხალხური სახეობები

# ცხენნი



ცხენნი იგივეა, რაც „ცხენდოლვი". აღმოსავლეთ საქართველოს მთაში გავრცელებული დოღის სახეობა. იმართებოდა მიცვალებულის სულის მოსახსენიებლად. ხევსურეთში ცხენნს უწყობდნენ 8-10-დან 60-70 წლის ასაკამდე, ქალსაც და კაცსაც. თუ ჭირისუფალი მიცვალებულს ცხენს არ „ურბოლებდა", იტყოდნენ, მკვდარი დაუმარხავი დარჩაო. დოღს მართავდნენ მიცვალებულის დაკრძალვის დღეს, მაგრამ, თუ რაიმე მიზეზის გამო (დიდთოვლობა, ჭირისუფლის მოუმზადებლობა) ეს არ ხერხდებოდა, გადადებაც შეიძლებოდა. ჭირისუფალი „მტყობიების" საშუალებით შეუთვლიდა ნათესავებსა და მოკეთეებს, დოღს ვაწყობ, წამოდი და თან შენი ცხენიც წამოიყვანე „ცხენს გირევ"-ო. დოღში უმთავრესად ახლო ნათესავების ცხენებს ურევდნენ: მიცვალებულის დედის ძმისას, მამის სახლისას, მამიდისას, ბიძაშვილისას, ცოლოურისას, აგრეთვე, თანასოფლელისას და სხვებისას. მხედრების რაოდენობა დამოკიდებული იყო „ჭირის პატრონზე", მის ნათესაობაზე, ქონებასა და გულუხვობაზე. ზოგ თემში ცხენების რაოდენობა კენტი უნდა ყოფილიყო, ზოგან კი ამას ყურადღება არ ექცეოდა. დაკრძალვის დღეს დოღის მონაწილენი გროვდებოდნენ ჭირისუფლის ოჯახში, სადაც ქალები უკვე საგანგებოდ ამზადებდნენ (რთავდნენ) მიცვალებულის, ანუ „სულის ცხენს". ხევსურებს დოღში მხოლოდ უბელო ცხენი გამოჰყავდათ, რათა რბოლის დროს არ გაოფლიანებულიყო და არ დაღლილიყო. შეკაზმული ცხენით გამოდიოდნენ თუშეთში, ხევსა და ფშავში. ხევსურთში ცხენებს შემდეგ ჯგუფებად ყოფდნენ: მარბოლი, საფერხე, იორღა და საბარგე. დოღში მარბოლი ცხენები მონაწილეობდნენ. რომელიც პირველი მიდიოდა, „მენინავე" იყო, ხოლო მეორე „მეორ მარბოლი". მიცვალებული, ანუ ხევსურულად „ცივი", სახლიდან გარეთ გამოჰქონდათ და მოხერხებულ ადგილზე დაასვენებდნენ.

იქვე გაიმართებოდა"ცხენ-ტაბლა" და დოღის მონაწილეები შესანდობარს შესვამდნენ. ბოლოს მოიყვანდნენ „სულის ცხენს". „ჭირის პატრონი" ცხენს სოფლის ბიჭებიდან საუკეთესო მხედარს შეურჩევდა და შეჯიბრების მონაწილეებს გზას „გაუკვეთდა", ანუ დოღის მარშრუტს აძლევდა. გზის „გაკვეთის" შემდეგ, მხედრები შესხდებოდნენ ცხენებზე, „ცივს" სამჯერ შემოუვლიდნენ და გზას გაუდგებოდნენ. „სადოლე მანძილისათვის ირჩევენ იმ სოფელს, სადაც მიცვალებულის სადოლე სუფრაა დადგმული... მხედრები დანიშნულ სოფელში მივლენ და სადოლე სუფრას მიუსხდებიან: მიცვალებულს შენდობას ეტყვიან და შემდეგ იქიდან ყველანი ერთბაშად მიცვალებულის ოჯახისკენ გამოჭენდებიან. მხედრები დაწინაურებას ცდილობენ; სადოლე მიჯნაზე ჭირისუფალს მედოლე უყენია, რომელიც მხედრების გამარჯვებას თვალყურს ადევნებს. ვინც მიჯნას პირველი გადმოლახავს, მას ეძლევა პირველი საჩუქარიც. ეს ხევსურული დოღი გულ-შემზარავია: პირველობის მაძიებელი მხედრები ციცაბო და ღადა-ღუდა ბილიკებზე გრიალით მიჰქრიან. მთელი სოფელი ღელავს და ელის დაწინაურებულ მხედარს და გლოვას ჩქარა გამარჯვებულთა ყიჟინა სცვლის" (სერგი მაკალათია).

გამარჯვებულსა და სხვა მონაწილეებს „დოლვის დამყენებლები" ჭირისუფლის დავალებით „დოლვს" (ჯილდოს) გადასცემდნენ. ჩვეულებრივ ეს იყო ძროხა, მოზვერი, ცხვრები, ფლას-ფარდაგი, ქვაბი, თოფი, ხმალი, ჯაჭვის პერანგი და სხვ. როდესაც ჭირის პატრონი ბევრ რამეს დააყენებდა დოლვად, იტყოდნენ, მძიმე დოლვი ჰქონდაო.

### წყალბურთი

# ოთხთა ტურნირი ოლიმპიკში



საწყლოსნო კომპლექსი „ოლიმპიკი" 24-26 ივნისს წყალბურთელთა თბილისის საერთაშორისო ტურნირს უმასპინძლებს. მთავარი პრიზისთვის საქართველოს ეროვნულ და ახალგაზრდულ ნაკრებებთან ერთად ბელარუსები და აზიის წლევანდელი ჩემპიონი ყაზახებიც იბრძოლებენ. ამ შეჯიბრებას ჩვენი ქვეყნის პირველი გუნდისთვის ძალთა შესამოწმებლად და გამოცდილების გასამდიდრებლად უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს თუნდაც იმიტომ, რომ ქართველ წყალბურთელებს 2 ივლისს მანჩესტერში ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის გადამწყვეტი მატჩი ელით ბრიტანელებთან.

ორიოდე დღის წინათ E ჯგუფის ფავორიტებმა ბერძნებმა ათენში კუნძულელებს განმეორებით შეხვედრაში 14:4 აჯობეს, 12 ქულით პირველ ადგილზე გავიდნენ და პლეი ოფში თამაშის უფლებაც მოიპოვეს. ჯგუფიდან გასასვლელი მეორე საგზურის ბედს ბრიტანეთისა და საქართველოს ნაკრებთა დაპირისპირება გადაწყვეტს. ჩვენებურებმა შესარჩევი ასპარეზობის სტარტზე ინგლისელებს შინ 9:3 სძლიეს და გათამაშების ცხრილში 3 ქულა ჩაიწერეს. ჩვენმა მეტოქემ აქამდე გამართული სამივე ორთაბრძოლა დათმო და ახლა 2 ივლისის მატჩს იმედით მოელის, თუმცა ბრიტანელთა მდგომარეობა საკმაოდ რთულია, რადგან საქართველოს ნაკრებს, სულ მცირე, 7 ბურთით მაინც უნდა მოუგონ, ჩვენებურებს კი ხუთბურთიანი სხვაობით მარცხიც ხელს აძლევთ.

E ჯგუფის სატურნირო მდგომარეობა 23 ივნისისთვის:

| | თ | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| საბერძნეთი | 4 | 4 | 0 | 54:20 | 12 |
| საქართველო | 3 | 1 | 2 | 23:30 | 3 |
| დ. ბრიტანეთი | 3 | 0 | 0 | 9:36 | 0 |

**ვაჟა დანელია**

## ლელო წარმოგიდგენთ ქართული სპორტის ქრონიკები ბიბლიოთეკა

### მსოფლიოს ჩემპიონები საქართველოდან

# გურამ საღარაძე



დაიბადა 21. 03. 1939, თბილისში. თავისუფალი ჭიდაობა (78 კგ). ორგზის მსოფლიოს ჩემპიონი (1963, 65) და ორგზის მეორე პრიზიორი (1966, 67), ევროპის ჩემპიონატის მესამე პრიზიორი (1968). 1964 წლის ტოკიოს ოლიმპიური თამაშების მეორე პრიზიორი, სსრკ სამგზის ჩემპიონი (1964-66) და მესამე პრიზიორი (1968), სსრკ ხალხთა IV სპარტაკიადის მეორე პრიზიორი (1967). სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი და დამსახურებული მწვრთნელი, ფილას, ღირსებისა და ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენების კავალერი, თბილისის საპატიო მოქალაქე.

### პირველი, პირველმა, პირველად...

**პირველი** აკრობატი საქართველოდან, რომელმაც მოიპოვა ევროპის და მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული, იყო **ნანა კიკალიშვილი**. ორივე ამ წარმატებას მან 1980 წელს მიაღწია.

**პირველმა** გაზეთ „თბილისის" მიერ დაწესებული პრიზი - „ოქროს ბუცი" დაიმსახურა **ილია დათუნაშვილმა**. ეს პრიზი ენიჭებოდა ფეხბურთელს, რომელიც ყველაზე მეტ გოლს გაიტანდა ერთ მატჩში. დათუნაშვილმა ერევნის „არარატთან" თამაშში გაიტანა 5 ბურთი.

**პირველად** 1981 წელს ევროპის ფეხბურთელთა საუკეთესო ათეულში ერთდროულად მოხვდა ორი ქართველი ფეხბურთელი **ალექსანდრე ჩივაძე** და **რამაზ შენგელია** უკრაინელ **ოლეგ ბლოხინთან** ერთად საბჭოთა ნაკრებიდან.

### ერთადერთი ჩემპიონი



# გელა კეტაშვილი

**გელა კეტაშვილი** პირველი და ერთადერთი ქართველი ფეხბურთელია, რომელმაც ოლიმპიური ჩემპიონის საპატიო წოდება მოიხვეჭა. ერთ-ერთ ყველაზე საფეხბურთო რესპუბლიკას მანამდე ოლიმპიური ჩემპიონი არ ჰყავდა. 1956 წელს, მელბურნში, როცა საბჭოთა კავშირის ნაკრებმა პირველად მოიპოვა ოლიმპიური ოქროს მედლები, გამარჯვებული გუნდის ღირსებას საქართველოს არც ერთი წარმომადგენელი არ იცავდა, მომდევნო ოლიმპიადებში კი საბჭოთა ფეხბურთელებმა ვერ იქნა და ვერ გაიმეორეს მელბურნის მიღწევა. ან სულაც ადრეულ ეტაპზე ეთიშებოდნენ ასპარეზობას, ან, როგორც 1972, 1976 და 1980 წლებში, მესამე ადგილს სჯერდებოდნენ. ბრინჯაოს მედალოსნებს შორის ჩვენი ფეხბურთელებიც არიან: **მურთაზ ხურცილავა, რევაზ ძოძუაშვილი** (1972), **ალექსანდრე ჩივაძე, თენგიზ სულაქველიძე** და **რევაზ ჩელებაძე** (1980). ასე რომ, ბრინჯაოს მედალოსნები გვყავდა, ოქროსი კი - არა.

### ლეგენდად ქცეული სინამდვილე

XX საუკუნის დასაწყისის ერთ-ერთ უძლიერეს ქართველ ფალავანს **კოსტა მაისურაძეს** სხვადასხვა დროს დამარცხებული ჰყავდა საქართველოს და უცხოეთის არაერთი სახელოვანი მოჭიდავე. საარაკო ღონეს იგი უჩვენებდა საცირკო გამოსვლებშიც. ლეგენდად შემორჩა ნამდვილი ამბავი მისი ფიზიკური შესაძლებლობების შესახებ. ფალავნის მშობლიური რაიონის ონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ინახება რკინის ზოდი, რომელიც კოსტა მაისურაძეს მკლავზე დაუხვევია. სწორედ ამ რკინის ზოდითაა სურათზე



ალზექდილი კოსტას გვერდით მდგარი მისი მეუღლე.

### ფოტომატიანე. 90 წლის წინათ



თბილისის „შევარდენის" ფეხბურთელთა გუნდი. 1921 წელი. მარცხნიდან: ანდრო ჟორდანია, ვახტანგ ამბოკაძე, ევგენი ფრუიძე, კოტე მამამთავრიშვილი, კულვეცი, გიტო გიორგაძე, ვლადიმერ ნაჭყებია, გიგული მახათაძე, გიორგი ნებიერიძე, მორეტი.

### თარიღი

**23-29 ივნისი**

**23. 1903 წ.** დაიბადა **ბორის დიაჩკოვი** - მძლეოსნობა. გარდაიცვალა 1985 წელს.

**23. 1994 წ.** სეოკ-ის თაოსნობით საქართველოში საფუძველი ჩაეყარა ოლიმპიური დღის აღნიშვნას.

**24. 1940 წ.** დაიბადა **რენა აბჟანდაძე** - ჩოგბურთი. გარდაიცვალა 1995 წელს.

**24. 1933 წ.** დაიბადა **ნადეჟდა დვალიშვილი** - მძლეოსნობა.

**24. 1951 წ.** ლისის ტბაზე გაიხსნა კომპლექსური წყალჯომარდობის სადგური.

**24. 1951 წ.** თბილისში გაიმართა ამიერკავკასიის რესპუბლიკების ტრადიციული მატჩი ცურვასა და წყალბურთში. გამარჯვება ორივე სახეობაში საქართველოს წარმომადგენლებს ხვდათ წილად.

**26. 1951 წ.** ზუგდიდის სტადიონ-იპოდრომზე მოეწყო მოსწავლეთა სპორტული ზეიმი.

**27. 1937 წ.** დაიბადა **გივი ჩოხელი** - ფეხბურთი. გარდაიცვალა 1994 წელს.

**27. 1991 წ.** დაფუძნდა საქართველოს ფარიკაობის ეროვნული ფედერაცია.

**28. 1951 წ.** სოხუმში საჩვენებელი გამოსვლა გამართეს მსოფლიოს მრავალგზის რეკორდსმენმა ძალოსნობაში **გ. ნოვაკმა** და სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა **მ. ჟლენტმა.**

**29. 1951 წ.** თბილისის დინამოელებმა შეინარჩუნეს საქართველოს თასი წყალბურთში.

### თქვენთვის ერუდიტებო

**1. რომელი წლიდანაა საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია უეფას წევრი?**

ა — 1991 წლიდან
ბ — 1992 წლიდან
გ — 1993 წლიდან

**2. სად მოიპოვა დავით გობეჯიშვილმა შესაბამისად ოლიმპიური ოქროს და ვერცხლის მედლები?**

ა — ბარსელონასა და ატლანტაში
ბ — სეულსა და ბარსელონაში
გ — ატლანტასა და სეულში

**3. რომელი წლიდან დაინერგა საქართველოში თავისუფალი ჭიდაობა?**

ა — 1918 წლიდან
ბ — 1931 წლიდან
გ — 1939 წლიდან

**4. ძიუდოში სულ რამდენი ოლიმპიური მედალი მოიხვეჭეს საქართველოს სპორტსმენებმა?**

ა — 8
ბ — 15
გ — 17

**5. რომელ წელს გახდნენ ქართველი ხელბურთელები (7:7) სსრ კავშირის პირველი ჩემპიონატის ჩემპიონები?**

ა — 1962 წელს
ბ — 1964 წელს
გ — 1966 წელს

პასუხები: 1-გ, 2-ბ, 3-გ, 4-ბ, 5-ა.

### სათავეები

# მძლეოსნობით იწყებოდა

ჩვენი ქვეყნის სპორტსმენთა პირველი დიდი წარმატება საკავშირო ჩემპიონატებში 1924 წლით თარიღდება, იგი მძლეოსნობაზე მოდის. სადაც საქართველოს სამმა წარმომადგენელმა 9 სახეობაში მოიპოვა გამარჯვება. ესენი იყვნენ იმ დროისათვის საკმაოდ ცნობილი სპორტსმენები ვლადიმერ დიაჩკოვი, ივანე სერგეევი და ბორის დიაჩკოვი. ვ. დიაჩკოვმა ოთხი პირველი ადგილი მოიგო (თარჯბენი 110 მ სიმაღლეზე და ჭოკით ხტომა და ადგილიდან სიგრძეზე ხტომა), ი. სერგეევმა იმარჯვა სამ სახეობაში (ბადროს ტყორცნა, ხუთჭიდი და ათჭიდი), ხოლო ბ. დიაჩკოვმა ორ სახეობაში (სამხტომსა და ესტაფეტაში 4X100მ.). 1925 წელს ი. სერგეევმა მსოფლიო რეკორდზე უკეთესი შედეგი აჩვენა ყუმბარის ტყორცნაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა



● 1999 წელს დაბადებულთა ფესტივალი

# ჰიუნდაი ფინიშთან პირველია

ვაკეში მდებარე აკადემიის დარბაზში „ჰიუნდაის" გამარჯვებით დასრულდა 1999 წელს დაბადებულთა საკალათბურთო ფესტივალი.

გადამწყვეტი მატჩები საინტერესოდ წარიმართა, თუმცა შეჯიბრების მშვენება მისი ფინალი გამოდგა, რომელშიც ერთმანეთს „ჰიუნდაი" და „ორბი" ერკინებოდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ „ორბმა" მატჩი კარგად დაიწყო და პირველი მეოთხედის შემდეგ 12:2 დაწინაურდა, „ჰიუნდაიმ" მოახერხა მობილიზება და დიდი შესვენებისთვის ჩამორჩენა 2 ქულამდე შეამცირა, მესამე მეოთხედის ბოლოს კი 24:22 დაწინაურდა. საბოლოოდ **ლაშა თოიძისა** და **ნიკოლოზ ჩერქეზიშვილის** გაწვრთნილმა „ჰიუნდაიმ" 35:30 მოიგო და ფესტივალის გამარჯვებული გახდა.

მესამე ადგილზე სამედიცინო უნივერსიტეტის გუნდი გავიდა, რომელმაც ოთხეულში შესული რეგიონის ერთადერთი წარმომადგენელი „ფოთი" 46:26 დაამარცხა. ფინალური მატჩის ბოლოს მოეწყო დაჯილდოება, ასევე გამოარჩიეს საუკეთესო მოთამაშეები, რომლებიც ეროვნული ნაკრების წევრთა მაისურებით დასაჩუქრდნენ.



**ნახევარფინალები**

**20 ივნისი**

**ფოთი–ორბი 20:42**

**0:8, 8:6, 9:17, 3:11**

**ფოთი:** ჯანელიძე (10), ლატარია, მალანია, ჯგუბუჩია, ხურცილავა (1), პერტაია (6), ქორჩილავა (1), ხავთასი, სინიცინი, სალაყაია (2), პაპავა.

**ორბი:** მღებრიშვილი, მამალაძე (4), გიგაური, სვანიძე, მეცხვარიშვილი (4), ბოხუა, მჭედლიშვილი (2), ჭოლაძე (2), ჩალაბოვი (7), ყირიმელი (23).

**სამედიცინო–ჰიუნდაი 20:46**

**4:5, 6:10, 4:13, 6:18**

**სამედიცინო:** ქვილორია (4), დ .ავალიანი (2), გოგოლაშვილი (2), დოლიძე, ალავიძე (2), გ. კეკელიძე, გ. ავალიანი (2), კაციაშვილი, ნ. კეკელიძე, მამუკელაშვილი (4), ჩიგოგიძე (4), მაღლაკელიძე.

**ჰიუნდაი:** გამყრელიძე (6), სისაური (2), ბეციაშვილი (4), ს. ქავთარაძე (2), გ. ქავთარაძე (11), ფიფია (2), კაკუბერი (4), ბითაძე (7), მაჭავარიანი (2), ცაგარეიშვილი (4), ფეიქრიშვილი (2), თოიძე.

**მატჩი მე-3 ადგილისთვის**

**21 ივნისი**

**სამედიცინო–ფოთი 46:26**

**22:9, 10:2, 1:9, 13:6**

**სამედიცინო:** ქვილორია, დ. ავალიანი (5), გოგოლაშვილი (2), დოლიძე, ალავიძე (7), გ. კეკელიძე, გ. ავალიანი, კაციაშვილი (4), ნ. კეკელიძე (2), მამუკელაშვილი (20), ჩიგოგიძე (2), მაღლაკელიძე (4).

**ფოთი:** ჯანელიძე (3), ლატარია, მალანია, ჯგუბუჩია, ხურცილავა (15), პერტაია (4), ქორჩილავა, ხავთასი, სინიცინი (4), სალაყაია, პაპავა.

**ფინალი**

**21 ივნისი**

**ორბი–ჰიუნდაი 30:35**

**12:2, 2:10, 8:12, 8:11**

**ორბი:** მღებრიშვილი, მამალაძე, გიგაური, სვანიძე, მეცხვარიშვილი (4), ბოხუა, მჭედლიშვილი, ჭოლაძე, ჩალაბოვი, ყირიმელი (26).

**ჰიუნდაი:** გამყრელიძე (4), სისაური, ბეციაშვილი, ს. ქავთარაძე (1), გ. ქავთარაძე (17), ფიფია, კაკუბერი (5), ბითაძე (8), მაჭავარიანი, ცაგარეიშვილი, ფეიქრიშვილი, თოიძე.

**საუკეთესოები**

**ჰიუნდაი:** ა. კაკუბერი, გ. გამყრელიძე.

**ორბი:** ნ. ყირიმელი, ლ. მჭედლიშვილი

**სამედიცინო:** ი. გოგოლაშვილი, ს. მამუკელაშვილი

**ფოთი:** ზ. ჯანელიძე, ს. ხურცილავა

**ვაჟა სიმონიშვილი**

● სუპერლიგა. შსს

# დაშლის პირას...

| I წრე | |
|---|---|
| სამედიცინო-შსს | 71:84 |
| შსს-დინამო | 121:66 |
| ბათუმი-შსს | 71:79 |
| შსს-ქუთაისი | 90:86 დ.დ. |
| სტუ-შსს | 83:109 |
| შსს-აგრარული | 100:66 |
| თსუ-შსს | 94:85 |
| შსს-ენერჯი | 60:61 |
| არმია-შსს | 97:86 |
| შსს-სოხუმი | 87:80 |
| **II წრე** | |
| შსს-სამედიცინო | 74:54 |
| დინამო-შსს | 68:96 |
| შსს-ბათუმი | 91:75 |
| ქუთაისი-შსს | 81:68 |
| შსს-სტუ | 90:83 |
| აგრარული-შსს | 68:85 |
| შსს-თსუ | 96:98 |
| ენერჯი-შსს | 68:90 |
| შსს-არმია | 72:81 |
| სოხუმი-შსს | 73:78 |
| **1/4 ფინალი** | |
| შსს-სოხუმი | 77:72 |
| სოხუმი-შსს | 78:70 |
| შსს-სოხუმი | 75:79 |
| **V-VIII ადგილები** | |
| შსს-ენერჯი | 91:76 |
| **V ადგილი** | |
| შსს-სამედიცინო | 78:69 |

**გუშინ „არმიის" შესახებ დავწერეთ, გადავხედეთ გასულ სეზონს და გავეცანით გუნდში მომხდარ სიახლეებს. დღეს შსს-ს წარმოგიდგენთ. ეს გუნდი 2008 წელს შეიქმნა და საფეხურეობრივად უმჯობესდებოდა.**

■ ■ ■

პირველ სეზონში (2008-09) გუნდმა და სუპერლიგამ ერთმანეთი „გაიცნეს": მთავარი მწვრთნელის, **ზურაბ ტომარაძის** ხელში საჩემპიონო შემადგენლობა ნამდვილად არ მოხვედრილა, თუმცა თავიდანვე ითქვა, რომ პირველ სეზონში საპრიზო ადგილების დაკავება შსს-ს მიზანი არ იყო.

სეზონის შუაში შეიცვალა მთავარი მწვრთნელი - ზურაბ ტომარაძის ნაცვლად მეორე წრეში გუნდს **კახა შენგელია** გაუძღვა. საინტერესოა, რომ კახას საკალათბურთო კარიერა სამი წლის დასრულებული ჰქონდა, მაგრამ **რამაზ გოგობერიშვილის** გაცილების მატჩში იმდენად ეფექტურად ითამაშა, რომ შსს-სგან მიწვევა მიიღო და მოთამაშე-მწვრთნელის სტატუსით ჩაამთავრა სეზონი.

■ ■ ■

მომდევნო ჩემპიონატში (2009-10) შსს ახალ საფეხურზე ავიდა, სეზონის წინ დაიმატა გამოცდილი უკანახაზელები **დავით** და **ირაკლი ბერიშვილები** და **გიორგი ნიკოლაძე**. თუნდაც ამ სამეულის გუნდში გამოჩენამ დაგვანახვა, რომ გუნდი საპრიზო ადგილისთვის ბრძოლის ერთ-ერთი მთავარი კანდიდატი იყო. შუა სეზონში შეიცვალა მთავარი მწვრთნელი - კახა შენგელიას ადგილი კალათბურთელმა დავით ბერიშვილმა დაიკავა, თუმცა მეორე წრიდან შსს-ს მესამე მწვრთნელი **არჩილ ჟღენტი** გაუძღვა. რეგულარული ეტაპის შემდეგ გუნდები პლეი ოფში შსს-სთვის არასახარბიელოდ განაწილდნენ: მეოთხედფინალში **დავით უსტიაშვილის** „ბათუმი" დაუპირისპირდა, ხოლო ნახევარფინალში - „ენერჯი". არჩილ ჟღენტის შეგირდებმა ბოლო წამებზე დავით ბერიშვილის მიერ ჩაგდებული ორქულიანით მეოთხედფინალური სერია 2:1 მოიგეს. ნახევარფინალი მომავალ ჩემპიონ „ენერჯისთან" დათმეს და...

■ ■ ■

...ახალი სეზონისთვის გუნდის გაძლიერებას შეუდგნენ: 2010 წლის ზაფხულში შსს-ში გადავიდნენ **ბესიკ ლეჟავა** და **დავით იმნაძე** („ბათუმიდან"), **დავით ბარბაქაძე** (თსუ-დან) და **კოკა ტომარაძე** (ესპანური „მონსონიდან"). რადგან პირველ წრეში დასახულ მიზანს ვერ მიაღწიეს, შსს-ელებმა ამა წლის იანვარში ბათუმიდან მწვრთნელი დავით უსტიაშვილი გადაიყვანეს, ხოლო „ენერჯიდან" - **ბექა ნიჟნიკაძე** და **ჟულივეტ ტუჯანი**.

ერთი შეხედვით, შსს საჩემპიონო დავაში „არმიას" გაუტოლდა, მაგრამ მედალს მეორე მხარეც აქვს: ყოველ მწვრთნელს გუნდში თავისი სტრატეგია და სიახლეები მიაქვს. შესაბამისად, გუნდის შესათამაშებლად და ერთ მუშტად შესაკვრელად დროა საჭირო. შსს-ს სწორედ დრო არ ეყო... დავით უსტიაშვილმა გუნდი თავისი სტრატეგიით რეგულარული ეტაპის ბოლოს აათამაშა და თითქოს პლეი ოფებიც დამაჯერებლად უნდა ჩაეტარებინა, მაგრამ მწვრთნელის სიტყვებს მოვიშველიებთ: მოხდა წარმოუდგენელი რამ - „სოხუმთან" მეოთხედფინალებისას სასტარტო ხუთეულის ხუთივე წევრი ტრავმირებული იყო, ზოგი საერთოდ ვერ თამაშობდა, ზოგი ნახევარი ძალით ირჯებოდა. მაგალითად, დავით იმნაძეს მუხლის მძიმე ტრავმა ჰქონდა და ზამთრის შემდეგ თითქოს არ უნდა ეთამაშა, მაგრამ თავი არ დაზოგა და პლეი ოფებში გუნდს დაეხმარა. ასევე ტრავმირებულები თამაშობდნენ ბესიკ ლეჟავა და ტროი კოტონი, ხოლო ვერ ითამაშეს **გიორგი მარკოიშვილმა** და ბექა ნიჟნიკაძემ.

ბოლო მატჩში ნერვებმა უმტყუნა ბესიკ ლეჟავასაც, მსაჯის ფიზიკური შეურაცხყოფისთვის წელიწადნახევრიანი დისკვალიფიკაცია მიიღო.

■ ■ ■

მოკლედ, ხალისით დაწყებული სეზონი შსს-მ უხალისოდ დაასრულა, თუმცა ფაქტია, იგი წლიდან წლამდე უმჯობესდებოდა. ლოგიკურია, რომ ეს ტენდენცია სამომავლოდაც უნდა გაგრძელდეს, მაგრამ როგორც შევიტყვეთ, საქმეს ისეთი პირი უჩანს, მესამე საფეხურზე ასული გუნდი შესაძლოა ერთბაშად დაიშალოს, რაც ნამდვილად დასანანი ამბავი იქნება. თუმცა, იმედი დავიტოვოთ, რომ საკალათბურთო რუქიდან გაქრობის ნაცვლად შსს მეოთხე საფეხურზე აბიჯებს.

**ვაჟა სიმონიშვილი**



| სტატისტიკა | თ | წთ | 2ქ/ჩაგ | 2ქ/ნას | 2ქ% | 3ქ/ჩაგ | 3ქ/ნას | 3ქ% | 1ქ/ჩაგ | 1ქ/ნას | 1ქ/% | მ/შეტ | მ/საქ | მ/სულ | პ | ფ | შ | ჩ | დ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4. ლევან მიძაბერიძე | 2 | 6 | 0 | 0.5 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0.5 | 0.5 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 |
| 6. ლეძსო ლაფანაშვილი | 24 | 18 | 1.5 | 2.6 | 57.1 | 0.7 | 3 | 22.5 | 1 | 1.6 | 60.5 | 1.2 | 2.9 | 4.1 | 1.5 | 2.6 | 0.9 | 0.7 | 0.2 | 6 |
| 7. ბესიკ ლეჟავა | 21 | 25.2 | 3.8 | 7.2 | 52.3 | 1.3 | 4 | 33.3 | 2.3 | 3.5 | 64.9 | 0.8 | 2.6 | 3.4 | 3 | 1.8 | 2.9 | 1.1 | 0.3 | 13.8 |
| 8. გიორგი ნიკოლაძე | 23 | 17.1 | 1.5 | 2.9 | 52.2 | 0.7 | 2.4 | 29.1 | 1.6 | 2.7 | 60.7 | 0.7 | 2.3 | 3 | 1.9 | 1.9 | 1.3 | 0.9 | 0 | 6.7 |
| 9. ირაკლი ბერიშვილი | 14 | 21.6 | 1.1 | 3 | 38.1 | 1.1 | 3 | 35.7 | 2.5 | 2.7 | 92.1 | 0.4 | 1.4 | 1.7 | 3.4 | 2.3 | 1.8 | 1.4 | 0.1 | 8 |
| 10. ტროი კოტონი | 21 | 25.8 | 2.2 | 3.6 | 60.5 | 2 | 5.8 | 33.6 | 1.3 | 1.7 | 75 | 0.7 | 2.5 | 3.2 | 2 | 2.3 | 1.3 | 1 | 0.1 | 11.5 |
| 11. გიორგი მარკოიშვილი | 21 | 18.1 | 0.9 | 2 | 44.2 | 1.5 | 4.3 | 35.2 | 0.9 | 1.2 | 76 | 0.8 | 2.5 | 3.3 | 1.5 | 1.6 | 0.8 | 0.6 | 0.1 | 7.3 |
| 12. ჟულივეტ ტუჯანი | 14 | 19.9 | 2.2 | 4.6 | 48.4 | 0 | 0 | 0 | 1.7 | 2.8 | 61.5 | 2.2 | 3.3 | 5.5 | 1.1 | 2.2 | 1.4 | 1.1 | 0.5 | 6.1 |
| 13. დავით ბარბაქაძე | 25 | 21.5 | 2.8 | 4.8 | 59.7 | 1.4 | 3.4 | 40 | 1.6 | 2.8 | 57.7 | 2.4 | 4 | 6.4 | 1.5 | 1.5 | 1.4 | 0.8 | 0.4 | 11.4 |
| 14. დავით იმნაძე | 17 | 25.4 | 5.4 | 10.6 | 51.1 | 0.1 | 0.2 | 50 | 2.1 | 3.4 | 62.1 | 3 | 5.7 | 8.7 | 1 | 3.3 | 2.4 | 0.5 | 1.1 | 13.3 |
| 15. სოსო შერმადინი | 23 | 9.7 | 2 | 3.4 | 58.2 | 0 | 0 | 0 | 1.3 | 1.9 | 68.2 | 1.9 | 2 | 3.9 | 0.2 | 1.7 | 1.1 | 0.1 | 0.2 | 5.3 |
| 21. დავით დეკანოიძე | 6 | 6.7 | 1 | 2 | 50 | 0 | 0.2 | 0 | 0.7 | 1 | 66.7 | 0.8 | 1.2 | 2 | 0.3 | 1 | 0.2 | 0.7 | 0 | 2.7 |
| 23. ბექა ნიჟნიკაძე | 9 | 29 | 2.2 | 4.7 | 47.6 | 1.3 | 4.2 | 31.6 | 2.2 | 3.6 | 62.5 | 0.6 | 3.6 | 4.1 | 6.8 | 1.8 | 2.6 | 1.8 | 0.2 | 10.7 |
| 24. კოკა ტომარაძე | 20 | 16 | 1.9 | 3.6 | 52.8 | 0.5 | 1.8 | 28.6 | 1.9 | 2.2 | 86 | 1.4 | 2.5 | 3.9 | 1.3 | 2 | 1.6 | 0.8 | 0.2 | 7.2 |
| 25. ლადო სუხიშვილი | 9 | 7.8 | 0.8 | 2.2 | 35 | 0 | 0 | 0 | 0.6 | 1.2 | 45.5 | 1.1 | 1.3 | 2.4 | 0.2 | 0.9 | 0.1 | 0.1 | 0.2 | 2.1 |

● 18-წლამდელთა ნაკრები



# 14 ჭაბუკით უკრაინაში

საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრები, რომელიც ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპისთვის ემზადება (B დივიზიონი), უკრაინაში სპარინგ-მატჩების გასამართად მიემგზავრება. ჭაბუკთა ნაკრები ვაკეში მდებარე საკალათბურთო აკადემიის დარბაზში ემზადება მწვრთნელების **მიხეილ ბერუაშვილისა** და **ზაზა გაბისონიას** ხელმძღვანელობით. თავდაპირველად შეკრებაზე 20 კანდიდატზე მეტი იყო გამოძახებული, თუმცა სადღეისოდ შემადგენლობა 16 მოთამაშემდე შემცირდა. უკრაინაში 14 კალათბურთელი წავა. ბერუაშვილმა უკვე შეარჩია უცხოეთში წასაყვანი შემადგენლობა:

უკანა ხაზი: **ირაკლი მიქელაძე** (ავერსი), **რეზო როგავა** (სოხუმი), **ლევან გრძელიძე** (ქუთაისი), **ნიკა რამიშვილი** (ავერსი), **გელა გულმაგარაშვილი** (ზაზა), **ალეკო ჩოჩია** (სოხუმი)

ფორვარდები: **კახა ჯინჭარაძე** (ფოთი), **ლევან ლოლიშვილი** (ორბი), **ილია ჯიშიაშვილი, საბა ლობჟანიძე** (სტუ)

ცენტრები: **გიორგი ცირეკიძე** (ქუთაისი), **ბექა ნადირაძე** (ავერსი), **ლერი კვანტალიანი** (ავერსი), **დავით კორძაძე** (სოხუმი)

ამ შემადგენლობას უნდა დაემატოს **ბექა ბურჯანაძე**, რომელმაც გასული სეზონი ესპანურ „კახასოლში" გაატარა. იგი საქართველოში 1 ივლისს ჩამოვა და ნაკრებს შეუერთდება.

საქართველოს ჭაბუკთა ნაკრები უკრაინაში 25 ივნისს გაემგზავრება. დაგეგმილია, მასპინძელ თანატოლებთან მინიმუმ 2 სპარინგ მატჩი, თუმცა, როგორც ბერუაშვილმა განაცხადა, შესაძლებელია, მესამე მატჩიც ითამაშონ.

- უკრაინიდან რომ დავბრუნდებით, მომზადებას თბილისში გავაგრძელებთ. კალათბურთის ფედერაცია თურქეთის მხარესთან აწარმოებს მოლაპარაკებას და შესაძლებელია, 15 ივლისს ამ ქვეყანაში გავემგზავროთ სპარინგ-მატჩების გასამართად, - განაცხადა მიხეილ ბერუაშვილმა.

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი 21-31 ივლისს ბულგარეთის ქალაქ ვარნაში გაიმართება. ჩვენი ჭაბუკების მეტოქეები პირველ ჯგუფურ ეტაპზე ბულგარეთის, უნგრეთის, ავსტრიისა და ლუქსემბურგის ნაკრებები იქნებიან. ჯგუფიდან 2 საუკეთესო გავა და ბრძოლას ელიტარული A დივიზიონის (ევროპის ჩემპიონატი) საგზურების მოსაპოვებლად გააგრძელებს. ელიტაში B დივიზიონიდან ორი საუკეთესო გადავა.

www.gbf.ge

ლეგიონერები

# ზურაბ ჟვანია სტად ფრანსემ მიიწვია


ბურთით ზურაბ ჟვანია

საფრანგეთის ელიტურ, პირველ დივიზიონში მომავალი სეზონიდან კიდევ ერთი ქართველი, ქუთაისის „აიას“ პირველხაზელი **ზურაბ ჟვანია** ითამაშებს. საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრების·შერკინების ბურჯი საფრანგეთის ერთ-ერთმა ყველაზე ტიტულოვანმა გუნდმა, პარიზულმა „სტად ფრანსემ“ მიიწვია.

პარიზელებს გასულ სეზონში ფინანსური პრობლემები შეექმნათ, რაც გუნდის თამაშსაც მკვეთრად დაეტყო. „სტად ფრანსემ“ ჩემპიონატში ასპარეზობა მისთვის უჩვეულო მე-11 ადგილზე დაასრულა. ამჟამად, როგორც კლუბის პრეზიდენტი **მაქს გუზანი** ამტკიცებს, ყველა პრობლემა გადაჭრილია და გუნდი მხოლოდ მაღალი მიზნებისთვის იბრძოლებს.

გუზანმა საამისოდ კლუბში სამუშაოდ მიიწვია საფრანგეთის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი **ბერნარ ლაპორტი.** ამასთან, სატრანსფერო ციებ-ცხელებისას „სტად ფრანსემ“ გუნდში 21 ახალი მოთამაშე აიყვანა. უნდა ვივარაუდოთ, რომ გუზანი და კომპანია ახალი გუნდის შექმნას აპირებენ და მომავალს იმედიანად უყურებენ.

ახლახან ყოველდღიურმა სარაგბო გაზეთმა „მიდი ოლიმპიკმა“ რუბრიკაში, რომელშიც თითოეული გუნდის მიერ სეზონში ნაჩვენებ შედეგებს მიმოიხილავს, ქართველ მორაგბეთა გუნდის, „მონპელიეს“ ასპარეზობა შეაფასა. მონპელიელთა გუნდის სეზონის აღმოჩენად გაზეთმა ქართველი შერკინების ბურჯი **გიორგი ჟღენტი** დაასახელა.

აი, რას წერს „მიდი ოლიმპიკი“:

*„მან პირველი სეზონი ჩაატარა ელიტურ, პირველ დივიზიონში და შესანიშნავად წარმოაჩინა თავისი უზარმაზარი პოტენციალი. ჟღენტმა მთელი ჩემპიონატის განმავლობაში სტაბილურად იასპარეზა. თანაბრად კარგად ირჯებოდა როგორც შერკინებაში, ისე ღია თამაშისას. აღსანიშნავია, რომ პროფესიულმა გარემომ მასზე დადებითად იმოქმედა და, ფაქტობრივად, მთლიანად აღმოფხვრა ხარვეზები დისციპლინაში“.*

მსოფლიოს თასი

# არწივები სრული შემადგენლობით შეიკრიბებიან

მსოფლიოს თასისთვის მოსამზადებელი 50-კაციანი რაზმი დაასახელა ამერიკის შეერთებული შტატების ირლანდიელმა მწვრთნელმა **ედი ოსალივანმა.** „არწივების“ რიგებში ყველა უძლიერესი ამერიკელი მორაგბეა გამოძახებული. მათ შორის არიან ინგლისური „სარასენზის“ მოთამაშეები **კრის ვაილესი** და **ჰეიდენ სმითი**, ასევე ბასკური „ბიარიცის“ გარემარბი **ტეკუ ნგვენია.**

აშშ-ს ნაკრებმა ახალახან ინგლისში გამართულ „ჩერჩილის თასზე“ იასპარეზა, სადაც ზემოთ ნახსენებ მორაგბეებს არ უთამაშიათ. სხვადასხვა მიზეზის გამო ამ ტურნირზე გუნდს კიდევ რამდენიმე წამყვანი მოთამაშე აკლდა. „არწივებმა“ ინგლის A და ტონგას ეროვნულ ნაკრებებთან წაგების შემდეგ, რუსეთის ეროვნულ გუნდს სძლიეს, რომელსაც კიდევ ერთხელ ახალ ზელანდიაში დაუპირისპირდებიან ჯგუფურ ეტაპზე.

*„მსოფლიოს თასამდე სამი თვით ადრე შევძელი ნაკრების მოთამაშეების ნაწილი ჩერჩილის თასზე საქმეში მენახა. მაგრამ არიან მორაგბეები, რომლებმაც ამ ტურნირზე თამაში ვერ შეძლეს. წინ საკმაოდ დიდი დრო და სამი საწვრთნელი შეხვედრა გვაქვს გასამართი. იქ გამოჩნდება, ვინ იმსახურებს რეალურად, ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრების კვართი ეცვას.*

*ნაკრების 30-კაციან შემადგენლობას, რომლითაც მსოფლიოს თასზე წარვსდგებით 22 აგვისტოს დავასახელებთ“* - თქვა ედი ოსალივანმა.

ამერიკელები 6 და 13 აგვისტოს კანადის ნაკრებს ორჯერ დაუპირისპირდებიან კოლორადოსა და ტორონტოში. 20 აგვისტოს ტოკიოს ეწვევიან და იაპონიის ეროვნულ გუნდთან სპარინგში მოსინჯავენ ძალებს.

### აშშ-ს ნაკრები

შერკინება: **ინაკი ბასაური, კრის ბილერი, მარკ ბოხოვენი, რაიან ჩამპი, ტოდ კლევერი, პეტ დანაჰი, კემერონ დოლანი, ერიკ ფრეი, ჯეი ჯეი ჯეჯიანო, მეთ ჰოუკინსი, ნიკ ჯონსონი, ვილ ჯონსონი, ტომ კატზფეი, დენი ლა პრევოტე, სკოტ ლა ვალლა, მაიკ მაკდონალდი, სამუ მანოა, ბრაიან მკკლენანი, მათე მოეაკიოლა, ალეკ პარკერი, შოუნ პიტმანი, ანტონი პურპურა, ჰეიდენ სმითი, ლუის სტანფილი, ფილ თიელი, ჯონ ფან დერ გისენი.**

უკანა ხაზი: **პაულ ემერიკი, ტაი ენოსა, ტროი ჰალი, კოლინ ჰაველი, ნესე მალიფა, ტაკუ ნგვენია, ფილაუ ნიუა, თრეტონ პალამი, მაიკ პეტრი, ვოლნეი რუსე, ბლაინ სკული, რობი შოუ, ჯუნიორ სიფა, ენდრიუ სუნიულა, როლანდ სუნიულა, შალომ სუნიულა, კევინ სვირინი, ზაკ ტესტი, პიტ ტუილევუკა, სეტა ტუილევუკა, ტიმ უსასზი, კრის ვილესი.**

# სტივენ დონალდი მსოფლიოს მიღმა

ახალი ზელანდიის ნაკრების მწვრთნელმა **გრემ ჰენრიმ** იმ კლუბების მოთამაშეები, რომლებმაც ზე რაგბის პლეი ოფში ვერ გააღწიეს, საწვრთნელ ბანაკში იხმო. „ოლ ბლექსის“ თავკაცმა სულ 25 მორაგბეს მოუყარა თავი. ეროვნულ გუნდში ისინი „ჩიფსს“, „ჰარიკენზს“ და „ჰაილენდერზსს“ წარმოადგენენ.

პლეი ოფში კი ორი ახალზელანდიური კლუბი „კრუსეიდერზი“ და „ბლუზი“ იასპარეზებს. სწორედ ამ გუნდებშია თავმოყრილი „ოლ ბლექსის“ ძირითადი მოთამაშეების დიდი ნაწილი.

ცნობილი გახდა, რომ ჰენრიმ ნაკრებში არ მიიწვია და მსოფლიოს თასზე არ ითამაშებს მგეზავი **სტივენ დონალდი.**

*„სტივენს ახლახან ვესაუბრე. ავუხსენი, რომ ამ ეტაპზე მასზე უკეთეს ფორმაში დღესდღეობით რამდენიმე მგეზავია. სწორედ ამიტომ, მას ეროვნულ გუნდში არ გამოვიძახებთ“* - თქვა გრემ ჰენრიმ.

### ახალზელანდიური ბანაკი

**ბენ აფეკაი, ჰიკივერა ელიოტი, რიჩარდ კაჰუი, ბრენდონ ლეონარდი, ლიამ მესამი, მალილი მულიაინა, სიტივენი სივივიატუ (ყველა-ჩიფსი), აარონ კრადენი, ჰოსე გეარი, ანდრიუ ჰორი, ქორი ჯეინი, მაა ნონუ, კონრად სმითი, ჰეემია ტიალატა, ვიქტორ ვიტო, პირი ვიპუ (ყველა-ჰარიკენზი), ჯიმი ქოუანი, ტომ დონელი, ჯერარდ ჰოეათა, კოლინ სლედი, ბენ სმიტი, ადამ თომსონი (ყველა-ჰაილენდერზი),**

დაშავებულები არიან: **იზრაელ დაგი, ისაია ტოეავა, ტონი ვუდკოკი.**


სტივენ დონალდი

მეტოქეები

# მარტინ ჯონსონი მკაცრ დისციპლინას ითხოვს

ახალ ზელანდიაში გასამართ მსოფლიოს თასზე საქართველოს ნაკრების მეტოქის, ინგლისის ეროვნული გუნდის მთავარმა მწვრთნელმა **მარტინ ჯონსონმა** იმ 45 მორაგბის ვინაობა გამოაცხადა, ვინც ორშაბათიდან ოვალური ბურთით თამაშის უდიდესი ფორუმისთვის მზადებას შეუდგება.

ნაკრების გაფართოებულ შემადგენლობაში ჯონსონმა ახალი მოთამაშეები **მანუ ტულიგაი, თომას ვალდრომი, მორის ბოთა, ჯო სიმპსონი** და **ჩარლი შარპლი** გამოიძახა.

***„ნაკრების გაფართოებულ შემადგენლობაში გამოძახებულ ყველა მოთამაშეს აქვს შანსი თავისი შესაძლებლობები წარმოაჩინოს და მსოფლიოს თასზე გასამგზავრებელ 30-კაციან სიაში მოხვდეს.“*** - თქვა მარტინ ჯონსონმა.

„პომების“ თავკაცმა მკაცრად გააფრთხილა გუნდის ორი მოთამაშე **მანუ ტულიგაი** და **დელონ არმითიჯი**, რომლებიც გასულ სეზონში განსაკუთრებული უდისციპლინობით გამოირჩეოდნენ. პირველმა ბინძური თამაშის გამო დისკვალიფიკაცია მიიღო და ხუთი კვირა გაუცდა, მეორეს კი დისკვალიფიკაცია ორჯერ მიესაჯა.

*„ჩვენ მსოფლიოს თასზე მივემგზავრებით, სადაც ერის ღირსება უნდა დავიცვათ. ამიტომ გუნდში ისეთი მორაგბეები გვჭირდება, რომლებიც ზედმიწევნით შეასრულებენ დავალებას. ახალ ზელანდიაში სულელური სიურპრიზების და გიჟური გამოხდომების დრო არ გვექნება. ყველამ უნდა გაითვალისწინოს გუნდის და მისი თანამებრძოლის ინტერესები, ასევე ისიც, რომ უპასუხისმგებლო საქციელით ეროვნულ ნაკრებს უმძიმეს მდგომარეობაში აყენებს“* - დასძინა ჯონსონმა.

შეგახსენებთ, რომ „ბორჯღალოსნები“ ინგლისის ნაკრებს 18 სექტემბერს დანიდინში დაუპირისპირდებიან.

### ინგლისის ნაკრები

შერკინება: **მორის ბოთა, ჯორჯ ჩატერი, დენ კოლი, ალექს კორბისერო, ტომ კროფტი, ლუის დეკონი, პაულ დორან ჯოუნზი, ნიკ ისტერი, ჰენრი ფური, დილან ჰარტლი, ჯეიმზ ჰესკელი, კორტნი ლოუ, ლი მირსი, ლუის მუდი, ტომ პელმერი, ტიმ რაიანი, კრის რობშოუ, საიმონ შოუ, ანდრიუ შერიდანი, მეთ სტივენსი, სტივ თომსონი, თომ ვალდრომი, დევიდ ვილსონი, ტომ ვუდი, ჯო ვორსლი.**

უკანა ხაზი: **დელონ ერმითიჯი, კრის ეშტონი, მეთ ბანაჰანი, დენ კერი, მარკ კუეტო, ტობი ფლუდი, რიკუ ფლატი, ბენ ფოდენი, შონთაი ჰეპი, ჩარლი ჰოჯსონი, უგო მუნი, ჩარლი შარპი, ჯო სიმპსონი, ჯეიმზ სიმპსონ-დენიელი, დევიდ დტრიტლი, მაიკ თინდოლი, მანუ ტულიგაი, რიჩარდ ვიგლსვორსი, ჯონი ვილკინსონი, ბენ იანგზი.**

# არგენტინა ბანაკს ფლორიდაში დასცემს

„ბორჯღალოსნების“ კიდევ ერთი მეტოქე მსოფლიოს თასის ჯგუფურ ეტაპზე, არგენტინის ნაკრები საწვრთნელ შეკრებას ივლისის პირველ დეკადაში, ფლორიდაში დაიწყებს. „პუმების“ მთავარმა მწვრთნელმა **სანტიაგო ფელანმა** ნაკრების გაფართოებულ შემადგენლობაში 39 მორაგბე იხმო.

ნაკრებში მიწვეული არ არის საუკეთესო არგენტინელი მორაგბე, პარიზული „მეტრო რასინგის“ მგეზავი **ხუან მარტინ ერნანდესი**, რომელმაც წლევანდელი სეზონის მიწურულს მძიმე ტრავმა მიიღო და სერიოზული ოპერაცია გადაიტანა. ერნანდესი ექიმების მეთვალყურეობით რეაბილიტაციის პროცესს პარიზში, კლუბის ბაზაზე გაივლის და თუ დროულად გამოჯანმრთელება შეძლო, გამორიცხული არ არის, მსოფლიოს თასზეც ითამაშოს.

ფელანმა გუნდის კაპიტნობა ვეტერან მგეზავ **ფელიპე კონტეპომის** ანდო. ნაკრებში ასევე მიწვეულნი არიან ისეთი სახელოვანი მოთამაშეები, როგორებიც **ხუან ფერნანდეს ლობე, ხუან მანუელ ლეგუზამინი, პატრისიო ალბასეტე, როდრიგო რონსერო, ლუკას გონსალეს ამოროსინო** და **მარტინ როდრიგესი** არიან.

საქართველოს ნაკრები არგენტინის ეროვნულ გუნდს, ჯგუფური ტურნირის ბოლო მატჩში, 2 ოქტომბერს პალმერსთონში დაუპირისპირდება.

### არგენტინის ნაკრები

შერკინება: **ხუან ფერნანდეს ლობე, ხუან მანუელ ლეგუზამონი, გენარო ფესია, ლეონარდო სანტორე, ალეხანდრო კამპოსი, ალვარო გალინდო, პატრისიო ალბასეტე, მანუელ კარისა, ხულიო ფერის კაბელო, მარიანო გალარზა, სანტიაგო გუზმანი, ტომას ვალეხო, მარკოს აიერზა, ავგუსტინ კრევი, ხუან ფიგალო, ეუსებიო გუინასუ, ანდრეს ბორდოი, მაქსიმილიანო ბუსტოსი, მარიო ლედესმა, როდრიკო რონსერო, მარტინ სეკელსო.**

უკანა ხაზი: **მარტინ როდრიგესი, ჰორასიო აგულა, ხუან ხოსე იმჰოფი, გონსალო კამაჩო, ლუკას გონსალესი, ავგუსტინ გოსიო, ლუკას ბორხესი, მარტინ ბუსტოს მოიანო, გაბრიელ აზკარატე, რაფაელ კარბალო, გონსალო ტიესი, სანტიაგო ფერნანდესი, მარსელო ბოში, ფელიპე კონტეპომი, ნიკოლას სანჩესი, ავგუსტინ ფიგუერლოა, ალფრედო ლალანე, ნიკოლას ვერგალო**

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძე**

msy.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

ენეს კანტერი




# პირველი ნომერი თურქი იქნება?

## რეალის ახალი მწვრთნელი, ნოვიცკის გეგმები და სხვა ამბები

წლევანდელ დრატფზე პირველი ნომრის არჩევის უფლება „კლივლენდ კავალიერზს" აქვს და როგორც ამერიკული პრესა ვარაუდობს, გასული სეზონის აუტსაიდერი არჩევანს ცენტრ **ენეს კანტერზე** შეაჩერებს. თურქი კალათბურთელი კლივლენდში იმყოფებოდა და „კავალიერსთან" ერთად რამდენიმე ვარჯიში ჩაატარა.

კლუბის ხელმძღვანელობა ამ ფაქტთან დაკავშირებით კომენტარს არ აკეთებს, მაგრამ ჟურნალისტები ვარაუდობენ, რომ „კლივლენდი" სწორედ კანტერის დახმარებით აპირებს კრიზისიდან გამოსვლას.

**ლებრონ ჯეიმსის** წასვლის შემდეგ „კავალიერზმა" 82 მატჩში 63 წააგო და სეზონის მსვლელობისას რამდენიმე ანტირეკორდი დაამყარა.

■ ■ ■

კიდევ ერთი ევროპელი, რომელიც პროგნოზების მიხედვით დრაფტის პირველ ათეულში მოხვდება, ლიტველი ცენტრი **იონას ვალანჩიუნასია**. თუმცა ახალგაზრდა ბალტიისპირელს, შესაძლოა, კიდევ ერთი წელი მოუწიოს ევროპაში თამაშმა. ამას ითხოვს კალათბურთელის კლუბი „ლეტუვოს რიტასი", ამიტომაც ვალანჩიუნასი, შესაძლოა, მხოლოდ 2012-13 წლების სეზონში წავიდეს ოკეანის გაღმა სათამაშოდ.

თავად კალათბურთელს არ მოსწონს ამგვარი პერსპექტივა და ახლა ცდილობს „ლეტუვოს რიტასთან" კონტრაქტის გამოსყიდვას.

■ ■ ■

მადრიდის „რეალმა" მწვრთნელის საკითხი მოაგვარა. მომავალ სეზონში „სამეფო კლუბს" **პაბლო ლასო** გაწვრთნის - მასთან უკვე გაფორმდა ორწლიანი კონტრაქტი.

ესპანელ სპეციალისტს მოქმედი ხელშეკრულება ჰქონდა „ლაგუნ აროსთან", მაგრამ ლასომ კონტრაქტი გაწყვიტა და „რეალში" გადავიდა კარიერის გასაგრძელებლად.

■ ■ ■

მოსკოვის ცსკა-მ სერიოზული შევსება მიიღო ოკეანის გაღმიდან. არმიელებთან კონტრაქტი გააფორმა „ბოსტონ სელტიქსის" სერბმა ცენტრმა **ნენად კრსტიჩმა**. ხელშეკრულება ორწლიანია. ცსკა-ს მთავარი მწვრთნელი **იონას კაზლაუსკასი** ამბობს, რომ კრსტიჩი სწორედ ის ცენტრია, რომელიც გასულ სეზონში გუნდს აკლდა.

კრსტიჩმა გასული სეზონი „ოკლაჰომაში" დაიწყო და შემდეგ „ბოსტონში" გადავიდა, სადაც საშუალოდ 10 ქულას აგროვებდა.

სერბის გარდა, ცსკა-მ „შოლედან" შეიძინა დომინიკის რესპუბლიკის წარმომადგენელი **სემი მეჰია**. და კიდევ, არმიელებმა ორი წლით გააგრძელეს კონტრაქტი ლიტველ **რამუნას შიშკაუსკასთან**.

■ ■ ■

„გოლდენ სტეიტის" ხელმძღვანელობამ, როგორც იქნა, გადაწყვიტა თავისი საუკეთესო სნაიპერის **მონტა ელისის** სხვა გუნდში გაშვება. თუ HoopsHype-ს დავუჯერებთ, კლუბმა თითქმის მოაგვარა ელისის „ფილადელფიაში" **ანდრე იგუოდალას** ნაცვლად გაშვება. შესაბამისი შეთავაზება უკვე მიიღო „სიქსერზის" ხელმძღვანელობამ. ახლა ჯერი მათ გადაწყვეტილებაზეა.

■ ■ ■

გუშინდელ ნომერში ვწერდით იმის შესახებ, რომ „ფინიქსი" სადაცაა გამოისყიდის ვეტერანი ვარსკვლავის **ვინს კარტერის** კონტრაქტს, რის შემდეგაც ის თავისუფალი აგენტი გახდება. გუშინ ცნობილი გახდა, რომ კარტერის სამსახურით ორი კლუბია - „ჩიკაგო" და „ნიუ იორკი" დაინტერესებული. ამასთან, „ბულზს" ვინსისთვის მხოლოდ ვეტერანის მინიმალური ხელფასის შეთავაზება შეუძლია, სამაგიეროდ, ამ გუნდში მას ჩემპიონობის მეტი შანსი ექნება.

■ ■ ■

**დევიდ ანდერსენი**, რომელმაც მთელი წელი ჯერ „ტორონტოს", შემდეგ კი „ნიუ ორლეანის" სათადარიგოთა სკამზე გაატარა, სავარაუდოდ, ევროპაში დაბრუნდება. როგორც ვებგვერდი Sportando იტყობინება, ავსტრალიელ ცენტრს კონტრაქტს სთავაზობენ იტალიის „მონტეპასკი" და საბერძნეთის „ოლიმპიაკოსი".

■ ■ ■

წლევანდელი ფინალური სერიის უძვირფასესი მოთამაშე **დირკ ნოვიცკი** ევროპის ჩემპიონატზე გერმანიის ნაკრების რიგებში თამაშს აპირებს. „დალასის" ლიდერი უნდა დაეხმაროს თავის გუნდს ლონდონის ოლიმპიური თამაშების საგზურის მოპოვებაში.

სავარაუდოდ, ნოვიცკი საბოლოო გადაწყვეტილებას უახლოესი ორი კვირის განმავლობაში მიიღებს. გერმანულ გუნდს ევრობასკეტზე პირველ ექვსეულში მოხვედრა დასჭირდება იმისთვის, რომ 2012 წლის ზაფხულის ოლიმპიადაზე გაემგზავროს. დირკს 2008 წლის შემდეგ არ უთამაშია ეროვნულ გუნდში. მისი ბოლო დიდი ტურნირი პეკინის ოლიმპიადა იყო.

# ატლანტა ჯოშ სმიტს იშორებს, სპურსი პარკერს

როგორც ჩანს, ახალ სეზონში „ატლანტა ჰოქსის" ერთ-ერთი ლიდერი **ჯოშ სმიტი** ახალ გუნდში ითამაშებს. Yahoo! Sports საკუთარ წყაროზე დაყრდნობით წერს, რომ **ზაზა ფაჩულიას** გუნდი ფორვარდის ტრეიდის შესაძლებლობებს სერიოზულად განიხილავს.

თავად სმიტს გაცვლა არ მოუთხოვია - ეს გადაწყვეტილება კლუბმა მიიღო. ჯოშის ხელში ჩასაგდებად მთავარი პრეტენდენტები არიან - „ნიუ ჯერსი", „ჰიუსტონი", „ორლანდო" და „ბოსტონი".

*„სმიტისა და „ატლანტას" ურთიერთობამ უბრალოდ დრო მოჭამა"*, - ამბობს ინკოგნიტო წყარო, რომელმაც ვინაობის გამხელა არ ისურვა.

■ ■ ■

ტრეიდის განხორციელებას აპირებს „სან ანტონიო სპურსიც". ამ შემთხვევაშიც გაცვლის ერთ-ერთი მონაწილე გუნდის წამყვანი მოთამაშე იქნება. კერძოდ, „სპურსის" ხელმძღვანელობას ზეგინდელი დრაფტისთვის მაღალი ნომრის არჩევა სურს და ამისთვის მზად არის დათმოს ფრანგი გამთამაშებელი **ტონი პარკერი**.

არსებობს ინფორმაცია, რომ „სან ანტონიო" ორი მიმართულებით მუშაობს: პარკერს დაუთმობენ „ტორონტო რეპტორზს", რომელსაც დრაფტზე მეხუთე ნომრის არჩევის უფლება აქვს ან „საკრამენტოს", რომელიც მეშვიდე ნომერს აიყვანს.

ჯოშ სმიტი




გასულ სეზონში პარკერმა „სპურსის" შემადგენლობაში 78 მატჩი ჩაატარა და საშუალოდ 17.5 ქულა, 3.1 მოხსნა და 6.6 შედეგიანი პასი დააგროვა.

დუეინ კეისი



დღეს „ტორონტო რეპტორზი" ახალ მთავარ მწვრთნელს წარადგენს. „დალას მავერიქსის" დამრიგებლის **რიკ კარლაილის** ასისტენტი **დუეინ კეისი** მომავალი სეზონიდან კანადურ კლუბს ჩაუდგება სათავეში. „ტორონტოში" ის **ჯეი ტრაიანოს** შეცვლის, რომელმაც გასულ სეზონში 82-დან 60 მატჩი წააგო.

# ტორონტოს ახალი მწვრთნელი ჰყავს

54 წლის კეისის დამოუკიდებლად „მინესოტაში" უმუშავია და 2005 წლის ივნისიდან 2007 წლის იანვრამდე 49 მატჩი მოიგო და 59-ჯერ დამარცხდა. ის მერვე მწვრთნელია „ტორონტოს" ისტორიაში.

*„ჩემი ამოცანაა - ინდივიდუალური დაცვის დალაგება და მკაცრი სათამაშო სისტემის შემოღება"*, - განაცხადა „რეპტორზის" ახალმა დამრიგებელმა. კეისი არ მალავს, რომ დიდ მნიშვნელობას მიანიჭებს დაცვაში თამაშს. მისი თქმით, „დალასმა" „მაიამისთან" ფინალური სერია სწორედ კარგი დაცვის წყალობით მოიგო. მან ერთი საიდუმლო გაანდო ჟურნალისტებს - ფინალური სერიის დროს „დალასი" დაცვის საიმედოობის ასამაღლებლად ჰოკეის მატჩებს უყურებდა.

*„ვიგრძენით, რომ სერიის დასაწყისში ძალიან რბილად ვთამაშობდით „მაიამის" წინააღმდეგ. სწორედ ამის შემდეგ ვნახეთ ჰოკეის მატჩების კადრები. დიდი შთაბეჭდილება მივიღეთ ძალისმიერი ილეთებისგან - სწორედ ასეთი თამაში გვჭირდებოდა. „ტორონტოში" ვაპირებ დაცვაში ასეთი მანერით თამაშს, თავდასხმაში კი სრულად ვენდობი კალათბურთელებს და მათ სრულ თავისუფლებას მივანიჭებ"*, - ამბობს დუეინ კეისი.

ჰოკეი

# თავში დარტყმა აკრძალულია

## იარომირ იაგრი პიტსბურგს მიუახლოვდა



ჰოკეის ეროვნული ლიგა უხეშობის წინააღმდეგ ბრძოლას ამკაცრებს. გუშინ ნიუ იორკში გაიმართა NHL-ის მმართველთა საბჭოს სხდომა, რომელზეც რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი განიხილეს.

ლიგას მობეზრდა ჰოკეისტებს შორის გახშირებული მძიმე ტრავმები, ამიტომაც ცვლილებები შეიტანა წესებში, რომელიც ძალისმიერ ილეთებს ეხება.

პირველი ცვლილება შეეხო „ბარიერზე მიჯახების" (Boarding) წესს. ამიერიდან მსაჯებმა უნდა დასაჯონ მოთამაშე, რომელიც მოედნის დამცავ ბარიერზე მიახეთქებს მოწინააღმდეგეს ისე, რომ ამ უკანასკნელის ჯანმრთელობას შეიძლება საფრთხე შეექმნას. რეფერიმ თავად უნდა შეაფასოს მომენტის სერიოზულობა (დარტყმის ძალა, მოთამაშეთა მდგომარეობა, ასეთი ილეთის აუცილებლობა) და საკუთარი გადაწყვეტილება გამოიტანოს. გარდა ამისა, შემტევ მოთამაშეს მოსთხოვენ კონტაქტის მინიმუმამდე დაყვანას იმ დროს, როცა მეტოქე ზურგით დგას და ვერ ხედავს შეჯახების მომენტს.

მეორე ცვლილება შეეხება თავში დარტყმებს. ერთი წლის წინ ლიგამ აკრძალა თავში გვერდიდან დარტყმები. იმის გამო, რომ ტრავმებმა და ტვინის შერყევებმა მაინც არ იკლო, NHL-მ გადაწყვიტა მთლიანად აკრძალოს ძალისმიერი ილეთები, რომლებიც თავის არეშია მიმართული. ასეთ შემთხვევაში მსაჯს შეუძლია ორი წუთით დაითხოვოს ჰოკეისტი მოედნიდან და მატჩის ბოლომდე გააძევოს ის.

გარდა ამისა, საბჭოზე მხარი დაუჭირეს „ტრეშერზის" ატლანტადან ვინიპეგში გადასვლას. როგორც მოსალოდნელი იყო, ყველაფერმა მშვიდად ჩაიარა და კლუბი ოფიციალურად გადაბარგდა კანადაში. შემდეგ სეზონს „ვინიპეგი" სამხრეთ-აღმოსავლეთ დივიზიონში გაატარებს, 2012-13 წლების სეზონიდან კი დასავლეთში გადავა, თუმცა ჯერ დივიზიონი არ დასახელებულა.

■ ■ ■

ასევე საინტერესო ამბავია ის, რომ ჰოკეის ეროვნულ ლიგაში მოთამაშეთა სახელფასო ბიუჯეტის მაქსიმალური ზღვარი გაიზარდა.

ლიგის ხელმძღვანელობამ კლუბებს აცნობა, რომ 2011-12 წლების სეზონში სახელფასო ბიუჯეტი 64 მილიონ დოლარამდე აიწევს, რაც ხუთი მილიონით მეტია წინა მაჩვენებელზე. ამასთან, მინიმალური თანხა, რომელიც კლუბმა სეზონის მსვლელობისას შეიძლება მოთამაშეების ხელფასზე დახარჯოს, 48 მილიონს შეადგენს.

2010-11 წლების სეზონში მოთამაშეთა ხელფასის მაქსიმალური ბიუჯეტი 59.4 მილიონს შეადგენდა. პირველად ჰოკეის ეროვნულ ლიგაში ხელფასებზე შეზღუდვები 2005 წელს დაწესდა.

■ ■ ■

სულ უფრო რეალური ხდება ლეგენდარული ჩეხი ფორვარდის **იარომირ იაგრის** ჰოკეის ეროვნულ ლიგაში დაბრუნება. როგორც უკვე ვწერდით, იაგრს მინიმუმ ერთი წელი სურს NHL-ში თამაში, თუმცა რთული არჩევანის გაკეთება მოუწევს, რადგან მისი სამსახურით ერთბაშად ხუთი კლუბია დაინტერესებული.

ბოლო ინფორმაციის თანახმად, იარომირისთვის პრიორიტეტული ყოფილა „პიტსბურგში" გადასვლა, სადაც ჩეხმა ვარსკვლავმა თავისი კარიერის საუკეთესო წლები გაატარა. იაგრი დღეს გამართავს მოლაპარაკებებს **რეი შეროსთან** - „პიტსბურგის" გენერალურ მენეჯერთან.

*„იარომირი „პიტსბურგის" დიდი ფანია. მას მოსწონს გუნდი და ქალაქი. გარდა ამისა, გავიგე, რომ კლუბის ერთ-ერთი მფლობელი მარიო ლემიე დაინტერესებულია იაგრის გადაბირებით"*, - ამბობს ჰოკეისტის აგენტი.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

## ● ჩოგბურთი. უიმბლდონის 10 დიდი მატჩი


ბეკერის ლეგენდარული ნახტომი

# ლენდლის აუხდენელი ოცნება

უიმბლდონის ისტორიისადმი მიძღვნილი ციკლის მეხუთე სტატია **ივან ლენდლისა** და **ბორის ბეკერის** დაპირისპირების შესახებ მოგითხრობთ. სწორედ აქ გაიგებთ, როგორ დაიმსხვრა ჩეხი მოთამაშის ოცნება, კარიერაში ერთხელ მაინც გაემარჯვა სანატრელ უიმბლდონზე.

იმ დიად ჩოგბურთელებს შორის, რომლებმაც ვერ მოიპოვეს კარიერული „დიდი სლემი", ივან ლენდლი განცალკევებით დგას. როგორც წესი, კოლექციონერთა მთავარი პრობლემა როლან გაროსის მოგება იყო - ამ ტურნირის სპეციფიკური საფარის გამო. თუ ჩოგბურთელი წარმატებით თამაშობს გრუნტზე, „კარიერული სლემისკენ" გზა უფრო მარტივია, ვიდრე დანარჩენებისთვის. მაშინვე გვახსენდება **რაფაელ ნადალი** და **ბიორნ ბორგი**. თუმცა ამ უკანასკნელს სრული კოლექციის შესაგროვებლად ავსტრალიის ღია პირველობის ტიტული დააკლდა. მაგრამ ისიც აღსანიშნავია, რომ შვედი დიდად არ ინდომებდა მელბურნში ჩასვლას და იქ ერთადერთხელ კარიერის დასაწყისში ითამაშა. ივან ლენდლის კი, რომელიც უკანა ხაზზე თამაშის დიდოსტატი გახლდათ და სამჯერ მოიგო როლან გაროსი, სწორედ უიმბლდონზე არ უმართლებდა ფატალურად.

სწორედ რომ არ უმართლებდა. სხვა ჩოგბურთელებისგან განსხვავებით, რომლებიც ახლოსაც არ ყოფილან ლონდონში ტრიუმფამდე, ლენდლიმ უიმბლდონის ფინალში ორჯერ ითამაშა და კიდევ ხუთჯერ ნახევარფინალურ ეტაპამდე მიაღწია. დღეს სწორედ ერთ-ერთ ასეთ უიღბლობაზე მოგიყვებით.

1989 წელს ჩეხმა, როგორც იქნა, დაიპყრო ავსტრალიის ღია პირველობა. მან ფინალში დამაჯერებლად დაამარცხა თანამემამულე **მიროსლავ მეჩირჟი** და თან დაიბრუნა რეიტინგის პირველი ადგილი, რომელიც ცოტა ხნით **მატს ვილანდერს** გადააბარა. ამის შემდეგ მან დაიწყო „მოუთვინიერებელი" უიმბლდონის დასაპყრობად გეგმაზომიერი მზადება. ჩეხი ხვდებოდა, რომ გრუნტის კორტისთვის საჭირო თვისებები საკმარისი არ იქნებოდა ბრიტანულ ბალახზე წარმატების მისაღწევად, ამიტომაც ჯიუტად ამუშავებდა ბადესთან გასვლას. შესაძლოა, ამან იმოქმედა როლან გაროსზე მის გამოსვლაზე, სადაც ლენდლიმ ორი მოგებული სეტის შემდეგ სრულიად მოულოდნელად დათმო მატჩი რეაქტიულ ამერიკელ თინეიჯერთან **მაიკლ ჩანგთან**. მაგრამ უიმბლდონზე ტრიუმფი ყველანაირ წარუმატებლობას გადაფარავდა.

■ ■ ■

ლენდლიმ მძიმედ დაიწყო ტურნირი. სასტარტო შეხვედრაში მან მხოლოდ მეხუთე სეტში მოუძებნა გასაღები ვენესუელელი **ნიკოლას პერეირას** თამაშს. შემდეგ ოთხი სეტი იწვალა ძირითად ბადეში კვალიფიკაციიდან მოხვედრილ შვედ **რონი ბატმანთან**, მაგრამ უკვე მესამე წრიდან ივანმა „დაიჭირა" თავისი თამაში და მომდევნო სამ შეხვედრაში მეტოქეებს მხოლოდ ერთი სეტი დაუთმო. ნახევარფინალში ლენდლის ძველი მეტოქე - ბორის ბეკერი ელოდა.

გერმანელს უიმბლდონთან დაკავშირებით პრობლემა არ ჰქონია. ზედიზედ ორი მოგების შემდეგ (მეორე ტიტული 1986 წელს სწორედ ლენდლის ფინალში დამარცხებით აილო), იმ სეზონში ბეკერმა ქარიშხალივით გადაუარა სატურნირო ბადეს და ხუთ მატჩში არც ერთი პარტია არ წაუგია. საერთოდ, 1989 წელი ბეკერის კარიერის მწვერვალად მიიჩნევა. მისთვის მოუხერხებულ გრუნტზეც კი წარმატებას მიაღწია - საფრანგეთის ღია პირველობაზე ნახევარიფინალში ითამაშა. ბუნებრივია, მისთვის ბალახის კორტებზე თამაში გაცილებით იოლი იყო. მეოთხედფინალში ბორისმა გაანადგურა ამერიკელი **ჩემბერლენი** - 6:1, 6:2, 6:0 და ფავორიტის რანგში შეხვდა ლენდლთან მორიგ შეხვედას.

■ ■ ■

პირველივე გეიმში გამოჩნდა ლენდლის თამაშში მომხდარი ცვლილებები. ჩეხი პირველი შესაძლებლობისთანავე წინ მიდიოდა და საკმაოდ დამაჯერებლად გრძნობდა თავს ბადესთან. მას შემდეგ, რაც სასტარტო გეიმი თითქმის ათი წუთი გაგრძელდა, ცხადი გახდა, რომ მატჩის სცენარი დრამატული იქნებოდა.

ასეთი თამაშის ფონზე ბუნებრივი იყო, რომ მეტოქეები ერთი მეორის მოყოლებით ილებდნენ საკუთარ მოწოდებებს. სეტის ბედი მე-11 გეიმში გადაწყდა. ლენდლის მოწოდებაზე 40:15-ის დროს ბეკერმა ორჯერ იდეალურად მიიღო ბურთი, რის შემდეგაც განაწყენებულმა ივანმა შეცდომა დაუშვა ბადესთან თამაშისას. ბრეიკ-პოინტზე ლენდლიმ აქტიურად შეუტია, ბეკერმა კი მაქსიმალურად უკან დაიწია. დაცვა შეტევაზე უკეთესი აღმოჩნდა. ბორისმა ბრეიკი გააკეთა და მომდევნო გეიმში პარტია მოიგო.

მეორე სეტი კიდევ უფრო დაძაბული გამოდგა. თითოეულ გეიმში ყოველი გათამაშება ნამდვილ თრილერს ემსგავსებოდა. მერვე გეიმში ჩეხი ძალიან ახლოს იყო ბრეიკთან, მაგრამ „ნაკლებზე" ბეკერმა თავისი საფირმო ნახტომით გადაარჩინა გეიმი და სეტი. ეს მომენტი - მოედნის მიღმა გასული ლენდლი იდეალურად ჭრის ბურთს ბადესთან, მაგრამ გერმანელი ნახტომში ჰაერიდან აბრუნებს ბურთს ცარიელ კორტზე - დღემდე ბევრ საჩოგბურთო კლიპშია შესული. წარმატებით გამხნევებულმა ბეკერმა მოიგო გეიმი. 5:5-ზე ლენდლის გმირობების ჯერი დადგა. ივანმა ორი ბრეიკ-პოინტი მოიგერია, ვერ აილო მე-12 გეიმში მეტოქის მოწოდება, მაგრამ ტაიბრეიკზე შეუჩერებელი იყო. 7:2 - და მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა გაათანაბრა სეტებში ანგარიში.

ჩეხმა ამ ემოციურ ფონზე მოიგო მესამე სეტი, როცა ორჯერ აილო მეტოქის მოწოდება. მეოთხე სეტის მეხუთე გეიმში ლენდლიმ ბეკერის მოწოდება აილო. მორიგ ფინალამდე მას სამი საკუთარი გეიმის აღება სჭირდებოდა. შემდეგ გეიმში ანგარიში იყო „მეტი" მის მოწოდებაზე. თითქოს არაფერს არ უნდა შეეშალა ხელი მისთვის, არაფერს და არავის ბეკერის გარდა. გერმანელმა სამი მომდევნო ქულა აილო და სეტში თანაფარდობა აღადგინა. გადამწყვეტი აღმოჩნდა მეცხრე გეიმი ლენდლის მოწოდებაზე. ბეკერმა იდეალური ბეკჰენდით მოიპოვა სეტბოლი. ჩეხმა საფრთხე მოიგერია - მეტოქე კორტის კუთხეებში არბენინა. შემდეგი ორი ქულა ბორისმა იდეალური მიღებით მოიგო - თავიდან ზუსტად დაარტყმა ივანის მეორე მოწოდებისას, შემდეგ კი ფეხებში დაურტყა მეტოქეს - ლენდლის ჰაერიდან დარტყმა ბადეს მოხვდა. ბეკერმა გადაარჩინა სეტი და როგორც მოგვიანებით გაირკვა, მატჩი.

საქმე ისაა, რომ ლენდლი მეოთხე სეტის წაგების შემდეგ ანერვიულდა. გეიმებს შორის 1:2-ზე ივანმა მეორე მოწოდების შემდეგ ხაზის გაყოლებაზე დაარტყა. მსაჯმა „აუტი" დააფიქსირა და ჩეხს ნერვებმა უმტყუნეს. მსაჯთან კამათმა შედეგი არ მოიტანა, ანგარიში გახდა 0:30, ხოლო განაწყენებულმა ლენდლიმ თავიდან ცუდად ითამაშა ბადესთან, შემდეგ კი ორმაგი შეცდომა დაუშვა. უხერხულია იმის თქმა, რომ ბეკერმა ბრეიკი აილო. უფრო სწორია, რომ ლენდლიმ აჩუქა მას გეიმი.

საბოლოოდ გამოჩნდა, რომ ჩეხი გატყდა. ბეკერი კორტზე გაბატონდა, მისი გასვლები ბადესთან უფრო დამაჯერებელი და მეტოქისთვის მომაკვდინებელი გახდა. ივანი იბრძოდა, მაგრამ განწირული ჩანდა. ყოველი წაგებული ქულის შემდეგ კამერა ლენდლის განრისხებულ სახეს იჭერდა - ჩეხი საკუთარ თავს უწყრებოდა. თუმცა ასეთ მდგომარეობაში მყოფი ლენდლიც სახიფათო იყო მეტოქისთვის. ბოლო გეიმებში მაყურებელმა ბრწყინვალე ჩოგბურთი იხილა - ლენდლის შემხედვარე რთული დასაჯერებელი იყო, რომ ამ ადამიანმა სამჯერ მოიგო როლან გაროსი. ჩეხი ისე თამაშობდა, თითქოს სტილი serve-and-volley მას ბავშვობიდან ეხერხებოდა. ბორის ბეკერი კი ისედაც თავის საყვარელ საფარზე თამაშობდა.

ჩეხი იმ წუთებში მთელ სამყაროს ებრძოდა - ბეკერს, მსაჯებს, საკუთარ თავს. მან მოიგო მერვე გეიმი, მაგრამ ეს უკვე აღარაფერს წყვეტდა - საკუთარ მოწოდებაზე გერმანელმა ორი ეისი გააკეთა, შემდეგ ორჯერ კარგად გავიდა ბადესთან. მან პირველივე მატჩბოლი გამოიყენა, როცა ჰაერიდან უძლიერესი დარტყმა შეასრულა. უიმბლდონის მოგების მორიგი მცდელობა ივანისთვის კრახით დასრულდა.

■ ■ ■

ფინალში **სტეფან ედბერგმა** მხოლოდ ერთ პარტიაში გაუწია წინააღმდეგობა ბრწყინვალე გერმანელს. ბეკერმა მესამედ მოიგო უიმბლდონი, ორი თვის შემდეგ კი ლენდლი ამერიკის ღია პირველობის ფინალშიც დაამარცხა. მოგვიანებით კი ATP-ის წაეჩხუბა რეიტინგის არასრულფასოვანი სისტემის გამო, რომელმაც წლის ბოლოს ივანის გასწრების საშუალება არ მისცა.

ლენდლი კი აგრძელებდა თავის მცდელობებს. 1990 წელს როლან გაროსიც კი გამოტოვა ტურნირისთვის უკეთ მოსამზადებლად. მაგრამ უიმბლდონი მაინც ვერ დაიპყრო - ნახევარფინალში ედბერგმა ძალიან იოლად მოუგო. მომდევნო წლებში კი ჩეხის ლაშქრობა ადრეულ ეტაპებზე სრულდებოდა.

ეს მატჩი მხოლოდ მისი უმაღლესი ხარისხის გამო არ აგვირჩევია. 1989 წლის უიმბლდონის ნახევარფინალმა აჩვენა, რამდენად ძლიერი შეიძლება იყოს ადამიანის მისწრაფება კონკრეტული მიზნისკენ... და კიდევ, რამდენად მაღალია ერთი შეცდომის ფასი. შეცდომა, რომელიც ივან ლენდლის ოცნების დამსხვრევად დაუჯდა.

## ● ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **ევრო 2011** | |
| **UNDER 21** | |
| ესპანეთი-ბელარუსი | 1:1 დ.დ. 3:1 |
| შვეიცარია-ჩეხეთი | 0:0 დ.დ. 1:0 |
| **მს. ჩემპიონატი** | |
| **UNDER 17** | |
| ურუგვაი-რუანდა | 1:0 |
| აშშ-უზბეკეთი | 1:2 |
| **ნორვეგია** | |
| **II დივიზიონი** | |
| ასკერი-კონგსვინგერი | 2:1 |
| **ნორვეგიის თასი** | |
| **1/8 ფინალი** | |
| ოლესუნდი-სარპსბორგი | 3:0 |
| ალტა-ტრომსიო | 1:0 |
| ბრანი-სიოგნდალი | 1:1 პენ. 3:2 |
| ჰაუგესუნდი-ვიკინგი | 2:2 დ.დ. 2:3 |
| მიოლდე-ჰიონეფოსი | 3:1 |
| ოდ გრენლანდი-ფრედრიკსტადი | 1:2 |
| სტრატი-სტრიომსგოდსეტი | 1:0 |
| რუსენბორგი-ლილესტრ. | 1:1 პენ. 3:2 |
| **შვედეთი** | |
| აიკ-ნორჩოპინგი | 3:0 |
| გიოტებორგი-ელფსბორგი | 1:1 |
| **II დივიზიონი** | |
| ანგელჰოლმი-ვარნამო | 1:1 |
| ბრაგე-ლიუნგსკილე | 1:1 |
| ფალკენბერგი-დეგერფორსი | 4:0 |
| იონჩოპინგი-ჰამარბიუ | 0:2 |
| ვასტერასი-ასირისკა | 0:2 |
| **ფინეთი** | |
| ჰიკ-ტურკუ | 6:0 |
| მარიეჰამნი-მიუპა | 1:1 |
| ვაასა-ჰაკა | 1:1 |
| **II დივიზიონი** | |
| ლაჰტი-ჰიფკ | 1:0 |
| იიპო-კტპ | 1:0 |
| ვიიკინგიტი-პოპა | 3:1 |
| ოსპ-ოულუ | 0:1 |
| **რუსეთი** | |
| ტომი-როსტოვი | 1:1 |
| ამკარი-ნალჩიკი | 1:0 |
| რუბინი-ვოლგა | 2:0 |
| სპარტაკი-დინამო | 0:2 |
| კრილია-ანჟი | 0:3 |
| ცსკა-ლოკომოტივი | 3:1 |
| კრასნოდარი-ტერეკი | 0:2 |
| ზენიტი-ყუბანი | 1:0 |
| **ლატვია** | |
| მეტალურგსი-სკონტო | 0:1 |
| იეგლავა-ვენტსპილსი | 2:0 |
| **არგენტინა** | |
| **გადათამაშება** | |
| ურაკანი-ხიმნასია | 0:2 |
| **იაპონია** | |
| ვეგალტა-კოფუ | 4:0 |
| სერეზო-ნაგოია | 2:3 |
| ივატა-ომიია | 1:2 |
| კაშივა-გამბა | 2:4 |
| ჰიროშიმა-იამაგატა | 3:2 |
| შიმიცუ-კავასაკი | 2:3 |
| ურავა-ფუკუოკა | 3:0 |
| კობე-კაშიმა | 0:1 |
| იოკოჰამა-ნიიგატა | 1:0 |
| **კალათბურთი** | |
| **ევრობასკეტი 2011** | |
| **ქალები** | |
| ხორვატია-ჩერნოგორია | 60:81 |
| პოლონეთი-ლატვია | 53:62 |
| საფრანგეთი-ესპანეთი | 79:55 |

## ● TV პროგრამა

### 23 ივნისი. ხუთშაბათი

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** ჩემპიონის გზა. ესპანეთის ჩემპიონატი. ვალენსია-ბარსელონა.
**12:00** სეზონის შეჯამება. გერმანიის ჩემპიონატი. შალკე.
**13:30** სეზონის შეჯამება. ინგლისის ჩემპიონატი. ლივერპული.
**14:00** ჩემპიონის გზა. გერმანიის ჩემპიონატი. დორტმუნდი-ჰანოვერი.
**16:00** ჩოგბურთი. „დიდი სლემი". უიმბლდონი. IV დღე. ლონდონი. ბრიტანეთი (LIVE).
**23:30** ბრაზილიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**00:00** სუპერმატჩი. ინგლისის ჩემპიონატი. ტოტენჰემი-არსენალი.
**01:00** სეზონის შეჯამება. ინგლისის ჩემპიონატი. ლივერპული.

**GMG-სპორტი**

**10:00** რაგბი. ექვსი ერის თასი. ინგლისი-შოტლანდია.
**11:45** კალათბურთი. ევროლიგა. ვალენსია-ოლიმპიაკოსი. ბარსელონა. ესპანეთი.
**13:30** ტელეჟურნალი - მსოფლიო ფეხბურთი.
**14:00** ჩოგბურთი. უიმბლდონის მიმოხილვა.
**15:00** ჩოგბურთი. „დიდი სლემი". უიმბლდონი. IV დღე. ლონდონი. ბრიტანეთი (LIVE).

**НТВ-პლუსი (ონლაინი)**

**14:55** ჩოგბურთი. უიმბლდონი. IV დღე. ლონდონი. ინგლისი (LIVE).

**НТВ-პლუსი (ჩოგბურთი)**

**14:55** უიმბლდონი. IV დღე. ლონდონი. ინგლისი (LIVE).

**НТВ-პლუსი (კალათბურთი)**

**19:55** კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ქალები. მეორე ჯგუფური ეტაპი. ბელარუსი-რუსეთი. პოლონეთი (LIVE).
**22:25** კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ქალები. მეორე ჯგუფური ეტაპი. თურქეთი-ჩეხეთი. პოლონეთი (LIVE).
**03:30** NBA. დრაფტი 2011 (LIVE).

**SPORT+**

**19:55** კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ქალები. მეორე ჯგუფური ეტაპი. ბელარუსი-რუსეთი. პოლონეთი (LIVE).

**EUROSPORT**

**00:00** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (17-წლამდელები). ჯგუფური ეტაპი. ბურკინა ფასო-გერმანია. მექსიკა (LIVE).

**EUROSPORT-2**

**00:00** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (17-წლამდელები). ჯგუფური ეტაპი. ავსტრალია-ბრაზილია. მექსიკა (LIVE).

## ● სათხილამურო რბოლა

# ნორვეგიას ლეგენდა უბრუნდება

სენსაციური ინფორმაცია გავრცელდა ნორვეგიიდან - ლეგენდარული მოთხილამურე, ოლიმპიადის რვაგზისა და მსოფლიოს ცხრაგზის ჩემპიონი **ბიორნ დელი** წელს ტრასაზე დაბრუნებას აპირებს.

დელიმ სპეციალურ პრესკონფერენციაზე გამოაცხადა, რომ მალე დაიწყებს ვარჯიშებს ნორვეგიის ნაკრებთან ერთად და მონაწილეობას მიიღებს საკვალიფიკაციო გარბენებში ქვეყნის ეროვნულ გუნდში მოსახვედრად. გარდა ამისა, 44 წლის მოთხილამურეს სპორტული ტანსაცმლის მწარმოებელი საკუთარი კომპანია აქვს და სწორედ ის შემოსავს ნორვეგიის ნაკრების წევრებს.

*„გუნდს ტანსაცმლით მოვამარაგებ. გარდა ამისა, მინდა სპორტული კუთხითაც დავეხმარო ნაკრებს - თანაგუნდელებს საკუთარი ტექნიკის საიდუმლოებებს გავანდობ. თავიდან შევეცდები ვარჯიშებზე გავუთანაბრდე მათ და როცა ფორმაში შევალ, მაშინ ვიფიქრებ ნამდვილ შეჯიბრებებში გამოსვლაზე"*, - ამბობს ლეგენდარული მორბენალი.


ბიორნ დელი

დელიმ კარიერა 2001 წელს ზურგთან დაკავშირებული პრობლემების გამო დაასრულა და მას შემდეგ არ უვარჯიშია.

მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონი **პეტერ ნორტუგი** აღფრთოვანებით შეხვდა დელის ამ გადაწყვეტილებას.

*„შესანიშნავი იქნება ბავშვობის კერპთან კონკურენცია. ტრასაზე თვით ბიორნ დელის გასწრების შანსი მექნება"*, - განაცხადა თანამედროვე სათხილამურო რბოლის ერთ-ერთმა ლიდერმა.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეხბურთი



# სესკის არდადეგები

საფეხბურთო არდადეგების დროს პაპარაცების მორიგი მსხვერპლი გახდა „არსენალის" ნახევარმცველი **სესკ ფაბრეგასი.** ესპანელი სამხრეთ საფრანგეთში ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე ისვენებს და ის პირველად დააფიქსირეს ახალი შეყვარებულის - ვინმე **დანიელას** გვერდით. ეს ქალბატონი 24 წლის ფეხბურთელმა თავის ყოფილ გერლფრენდთან - **კარლა გარსიასთან** განშორებიდან ერთი თვის თავზე გაიცნო.

ფორმულა 1




# საფრანგეთი ფორმულას იბრუნებს

## რიგში ჰონგ კონგი, არგენტინა და მექსიკა არიან

საფრანგეთის პრემიერ-მინისტრმა **ფრანსუა ფიიონმა** სამუშაო ჯგუფი შექმნა, რომელმაც ფორმულა 1-ის კალენდარში უნდა დააბრუნოს ფრანგული ეტაპი. ამ ჯგუფის ერთ-ერთი წევრი გახლავთ „ლოტუს-რენოს" შეფი **ერიკ ბუიე.**

ფრანგული მხარე რბოლისთვის ახალი ტრასის აშენებას არ აპირებს. მათი ჩანაფიქრით, ფორმულა 1-ის ეტაპს **ჟერარ ნევეს** სახელობის ავტოდრომი უმასპინძლებს, რომელზეც 1971-90 წლებში 14 გრანპრი გაიმართა.

*„ოფიციალურად შემიძლია დავადასტურო, რომ შევქმენი სპეციალური ჯგუფი, რომელიც რეალობად აქცევს საფრანგეთის გრანპრის დაბრუნების პროცესს",* - ამბობს ფრანსუა ფიიონი.

როგორც ვარაუდობენ, საფრანგეთის გრანპრის კალენდარში 2013 წლისთვის დააბრუნებენ, თუმცა ყველაფერი იმაზე იქნება დამოკიდებული, რამდენაც სწრაფად შეძლებს ფორმულა 1-ის ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკებას ფრანგული მხარე.

■ ■ ■

ფორმულა 1-ის რბოლის გამართვა მხოლოდ საფრანგეთს არ სურს. რიგში ჩადგა ჰონგ კონგი. ქალაქის ხელმძღვანელობამ ოცნების ასრულებისკენ პირველი ნაბიჯი უკვე გადადგა - ორი დღის წინ ჰონგ კონგის ქუჩებში „რედ ბულის" სადემონსტრაციო გამოსვლა ჩატარდა. მანქანის საჭესთან ესპანელი **ხაიმე ალგერსუარი** იჯდა. სწორედ ქუჩის რბოლის ორგანიზება აქვთ დაგეგმილი ჰონგ კონგში.

*„ეს პირველი ნაბიჯია ოცნების ასრულებისკენ,* - ამბობს ჰონგ კონგის საავტომობილო ასოციაციის პრეზიდენტი **უესლი ვანი.** - *დიდი ბედნიერება იქნება, თუ ერთად კალენდარში მოხვდება სინგაპურის, მალაიზიის, ჩინეთისა და ჰონგ კონგის ეტაპები".*

გარდა ამისა, ფორმულა 1-ის ეტაპის ორგანიზებაზე ზრუნვა დაიწყეს არგენტინასა და მექსიკაში.

ჩოგბურთი. უიმბლდონი 2011

# უსენსაციო დღე

უიმბლდონზე სამ დღეს გაიწელა პირველი წრის მატჩები. გუშინ, სწორედ ამ ეტაპის შეხვედრები სრულდებოდა და პარალელურად, ჩოგბურთელებმა მეორე რაუნდში დაიწყეს ურთიერთობის გარკვევა.

წვიმა ამჯერადაც ჩაერია საქმეში და მოთამაშეები დაახლოებით საათნახევრიანი დაგვიანებით გავიდნენ კორტზე. ეს არ ეხებოდათ მხოლოდ ცენტრალურ კორტზე მყოფ **ვენუს უილიამსსა** და **კიმიკო დატეს**. უიმბლდონის მთავარი სტადიონი მოძრავი სახურავით გადაიხურა და დღის პირველი მატჩი დროულად დაიწყო. სწორედ ამ შეხვედრაში განვითარდა ყველაზე დრამატულად მოვლენები.

უიმბლდონის ხუთგზის ჩემპიონი ვენუსი ქალთა ტურის ყველაზე ხანდაზმულ მონაწილეს ხვდებოდა. იაპონელმა **კიმიკო დატემ** პირველად უიმბლდონზე 1989 (!) წელს ითამაშა და ერთხელ (1996 წელს) ნახევარფინალამდე მიაღწია. რა თქმა უნდა, იმის ილუზია არავის ჰქონდა, რომ 40 წლის აზიელი წელს იმავე შედეგს აჩვენებდა, მაგრამ იმ ორი თამაშით, რომლის ჩატარებაც იაპონელმა მოასწრო, ბრიტანული პუბლიკის საყოველთაო სიმპათია დაიმსახურა.

ვენუსს სამი სეტის ჩატარება დასჭირდა საბოლოო გამარჯვების მისაღწევად. თამაში თითქმის სამ საათს გაგრძელდა და ამერიკული ბეწვზე გადაურჩა წაგებას. პირველ სეტში ის 1:5 ჩამორჩა, მაგრამ ძალების არანორმალური დაძაბვის ხარჯზე ზედიზედ ხუთი გეიმი მოიგო და წინ გავიდა. გზად მას სამი სეტბოლის მოგერიებამ მოუწია, 6:5-ზე თავად ჰქონდა ერთი დარტყმით პარტიის აღების შანსი. საბოლოოდ, დაინიშნა ტაი-ბრეიკი და იქაც ძალიან დრამატულად განვითარდა მოვლენები - დატე 6:2 გავიდა წინ და ვენუსმა ზედიზედ ოთხი სეტბოლი გადაარჩინა. 6:6-ზე იაპონელმა მაინც იძალა და ზედიზედ ორი ქულის აღებით სეტი თავის სასარგებლოდ დაასრულა.

მეორე სეტში უილიამსს ერთხელ ჰქონდა კრიტიკული მომენტი, როცა 2:1-ზე საკუთარი გეიმის დროს ექვსი ბრეიკ პოინტის მოგერიებამ მოუწია. საბოლოოდ, ის პარტია ვენუსმა 6:3 მოიგო და დაინიშნა გადამწყვეტი სეტი.

მესამე პარტიაში მეტოქეებმა თავიდან ბრეიკები გაცვალეს, რის შემდეგაც ორივე დამაჯერებლად ინარჩუნებდა საკუთარ მოწოდებას, თუმცა ბრეიკის გაკეთების უფრო მეტი შანსი მაინც ვენუსს ჰქონდა. საბოლოოდ, ყველაფერი მე-14 გეიმში გადაწყდა, რომელშიც უილიამსმა გადამწყვეტი ბრეიკი გააკეთა და სეტი 8:6 მოიგო.

*„პირველ სეტში კიმიკომ საოცარი ჩოგბურთი აჩვენა - მისი თითქმის ყველა დარტყმა ხაზზე ჯდებოდა. თითქოს შევძელი იმ პარტიის გადარჩენა, მაგრამ ტაი-ბრეიკზე არ გამიმართლა... რა თქმა უნდა, უკეთესია უფრო იოლად მატჩების მოგება, მაგრამ ამასთან, ძალიან საჭირო გამოცდილება მივიღე",* - განაცხადა მატჩის შემდეგ ვენუს უილიამსმა.

■ ■ ■

გუშინ მაინცდამაინც განებივრებული არ ვყოფილვართ მოულოდნელი შედეგებით. ყველა ფავორიტმა დამაჯერებელ გამარჯვებას მიაღწია. მაგალითად, **რაფაელ ნადალმა** წელს მეორედ დაამარცხა სამ სეტში ამერიკელი **რაიან სვიტინგი.** ესპანელმა მხოლოდ შვიდი უნებლიე შეცდომა დაუშვა, თუმცა ერთხელ სტივინგმა შეძლო ბრეიკის გაკეთება, ოღონდ ამას მატჩის შედეგზე გავლენა არ მოუხდენია - 6:3, 6:2, 6:4.

აღსანიშნავია, რომ ნადალს 2007 წლის ფინალში **როჯერ ფედერერთან** დამარცხების შემდეგ უიმბლდონზე შეხვედრა არ წაუგია. ახლა მისი მოგებათა სერია 16 მატჩს აღწევს.

შემდეგ წრეში ნადალი ლუქსემბურგელ **ჟილ მიულერს** შეხვდება, არადა, მესამე რაუნდში მაყურებელი რაფაელისა და კანადელი ვუნდერკინდის **მილოშ რაონიჩის** დუელს ელოდა. სამწუხაროდ, რაონიჩმა მხოლოდ ხუთი გეიმის თამაში შეძლო მიულერის წინააღმდეგ და შემდეგ ტრავმის გამო მიატოვა მატჩი.

არც **ენდი მიურეის** გასჭირვებია მეორე წრის მოგება. ბრიტანელის მეტოქე 25 წლის გერმანელი **ტობიას კამკე** იყო. მასპინძელს კარგად ეჭირა საკუთარი მოწოდება და ერთი ბრეიკი არ დაანება მეტოქეს, თავად კი ოთხჯერ აიღო გერმანელის მოწოდება - 6:3, 6:3, 7:5. თამაში საათსა და 52 წუთს გაგრძელდა.

მამაკაცთა ბადეში განთესილებს შორის რამდენიმე დანაკლისი მაინც იყო. მოულოდნელი გახლდათ **ფერნანდო ვერდასკოს** მარცხი ჰოლანდიელ **რობინ ჰაასესთან** მატჩში. თუმცა ესპანელი ბოლო დროს საშინელ ფორმაშია და, შესაძლოა, მისი წაგება ბევრისთვის მოულოდნელობა არ ყოფილა. ოთხსეტიან მატჩში ფერნანდომ ძალიან არასტაბილურად ითამაშა - მის ანგარიშზე 44 უნებლიე შეცდომა იყო, იმ დროს, როცა ჰაასეს ანალოგიური მაჩვენებელი მხოლოდ 13-ს უდრიდა. ჰოლანდიელმა ოთხი ბრეიკი გააკეთა და ორჯერ წააგო საკუთარი მოწოდება. საბოლოოდ, ორსაათნახევრიან შეხვედრაში ასეთი ანგარიში დაფიქსირდა - 6:3, 6:4, 4:6, 6:2.

ვერ გავიდა მესამე წრეში **სტანისლას ვავრინკაც**. მოულოდნელად მას სამ სეტში მოუგო იტალიელმა **სიმონე ბოლელიმ.** ბრეიკების რაოდენობა აპენინელის მხარეს იყო - 4:3. მატჩში ორი ტაი-ბრეიკი გათამაშდა და შეიძლება ითქვას, რომ იმ დღეს ვავრინკას უბრალოდ არ გაუმართლა.

კიდევ ერთი განთესილი, რომელიც მეორე წრიდან გამოეთიშა ბრძოლას, არგენტინელი **ხუან-იგნასიო ჩელაა.** მას შანსი არ ჰქონია ამერიკელი **ალექს ბოგომოლოვის** წინააღმდეგ. მატჩის სურათს კარგად ახასიათებს ბოლო სეტის ანგარიში - არგენტინელმა მესამე პარტია „მშრალი" ანგარიშით დათმო.

### კაცები

#### I წრე

**გრიგორ დიმიტროვი (ბულ)**-სედრიკ მარსელ შტებე (გერ) 7:5, 7:5, 7:6; **დმიტრი ტურსუნოვი (რუს)**-ერნესტ გულბისი (ლატ) 6:3, 3:6, 7:6, 7:6; **კევინ ანდერსონი (ს. აფრ)**-ილია მარჩენკო (უკრ) 6:7, 7:6, 6:4, 4:6, 6:1.

#### II წრე

**რაფაელ ნადალი (ესპ, 1)**-რაიან სვიტინგი (აშშ) 6:3, 6:2, 6:4; **ჟილ მიულერი (ლუქ)**-მილან რაონიჩი (კან, 31) 3:2 რაონიჩის უარი; **ჟილ სიმონი (საფ, 15)**-დუდი სელა (ისრ) 7:6, 6:4, 7:5; **მარდი ფიში (აშშ, 10)**-დენის ისტომინი (უზბ) 7:6, 6:4, 6:4; **რობინ ჰაასე (ჰოლ)**-ფერნანდო ვერდასკო (ესპ, 21) 6:3, 6:4, 4:6, 6:2; **ალექს ბოგომოლოვი (აშშ)**-ხუან იგნასიო ჩელა (არგ, 25) 6:0, 6:3, 6:4; **ტომას ბერდიხი (ჩეხ, 6)**-ჟულიან ბენეტო (საფ) 6:1, 6:4, 6:2; **ენდი მიურეი (ბრიტ, 4)**-ტობიას კამკე (გერ) 6:3, 6:3, 7:5; **ივან ლუბიჩიჩი (ხორ)**-სერგეი სტახოვსკი (უკრ) 6:4, 6:4, 6:2; **რიშარ გასკე (საფ, 17)**-იგორ კუნიცინი (რუს) 6:1, 6:4, 6:4; **სიმონე ბოლელი (იტა)**-სტანისლას ვავრინკა (შვეიც, 14) 7:6, 6:3, 7:6; **გაელ მონფილსი (საფ, 9)**-გრეგა ჟემლია (სლოვენ) 4:6, 6:3, 6:3, 7:6; **ლუკაშ კუბოტი (პოლ)**-ივო კარლოვიჩი (ხორ) 7:6, 6:3, 6:3; **ფელისიანო ლოპესი (ესპ)**-რაინერ შუტლერი (გერ) 7:6, 6:7, 6:2, 6:2; **ენდი როდიკი (აშშ, 8)**-ვიქტორ ჰანესკუ (რუმ) 6:4, 6:3, 6:4.

### ქალები

#### I წრე

**ანდრეა ჰლავაჩკოვა (ჩეხ)**-ანასტასია როდიონოვა (ავსტრა) 6:1, 6:2; **იარმილა გაიდოშოვა (ავსტრა, 27)**-ალიონა ბონდარენკო (უკრ) 7:5, 6:3; **დომინიკა ციბულკოვა (სლოვაკ, 24)**-მირიანა ლუჩიჩი (ხორ) 3:6, 6:3, 8:6; **პოლონა ჰერცოგი (სლოვენ)**-იოჰანა ლარსონი (შვედ) 6:7, 6:3, 6:3; **მატილდ იოჰანსონი (საფ)**-ჰიზერ უოტსონი (ბრიტ) 2:6, 6:4, 6:4; **იულია გორგესი (გერ, 16)**-ანაბელ მედინა გარიგესი (ესპ) 6:3, 6:0; **ლაურა რობსონი (ბრიტ)**-ანჟელიკ კერბერი (გერ) 4:6, 7:6, 6:3; **საბინ ლისიცკი (გერ)**-ანასტასია სევასტოვა (ლატ) 6:1, 6:1; **ჟიე ჟენგი (ჩინ)**-ჟუჟანა ონდრაშკოვა (ჩეხ) 7:5, 6:0; **მისაკი დოი (იაპ)**-ბეტანი მატეკი (აშშ, 30) 6:4, 5:7, 7:5; **პეტრა ჩეტკოვსკა (ჩეხ)**-კრისტინა ბაროისი (გერ) 6:2, 5:7, 6:2; **აგნიეშკა რადვანსკა (პოლ, 13)**-ოლგა გოვორცოვა (ბლრ) 6:0, 3:0 გოვორცოვას უარი; **ევგენია როდინა (რუს)**-შანელ სხეპერსი (ს. აფრ) 6:3, 7:5; **ფლავია პენეტა (იტა, 21)**-ირინა კამელია ბეგუ (რუმ) 7:6, 4:6, 6:2.

#### II წრე

**ქსენია პერვაკი (რუს)**-პოლინ პარმენტიე (საფ) 6:2, 1:6, 6:3; **ანდრეა პეტკოვიჩი (გერ, 11)**-სტეფანი დუბუა (კან) 6:3, 4:6, 6:3; **დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკ, 25)**-მარინა ერაკოვიჩი (ზელ) 6:3, 6:1; **ვიქტორია აზარენკა (ბლრ, 4)**-ივეტა ბენეშოვა (ჩეხ) 6:0, 6:3; **პეტრა კვიტოვა (ჩეხ, 8)**-ენ კეოტავონგი (ბრიტ) 6:2, 6:1; **რობერტა ვინჩი (იტა, 29)**-რებეკა მარინო (კან) 7:6, 6:2; **მარია ხოსე მარტინეს სანჩესი (ესპ)**-მონაკა ნიკულესკუ (რუმ) 6:3, 6:0; **ვენუს უილიამსი (აშშ, 23)**-კიმიკო დატე (იაპ) 6:7, 6:3, 8:6; **ცვეტანა პირონკოვა (ბულ, 32)**-პეტრა მარტიჩი (ხორ) 6:1, 6:4; **ვერა ზვონარევა (რუს, 2)**-ელენა ვესნინა (რუს) 6:1, 7:6.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**




ნადალმა მესამე წრისკენ გაიხედა